ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

11 მარტიდან!
3ფ[ფქბ სფჯ,ფ4 +
სამარხვო კერძები
@ კფჰბ ლფ ^) სტსჰბ




jhif,fsb7 !& vfhnb7 @)!$ 163 (6374) afcb5 #) stshb

# ზაალ კასრელიშვილი: თემურ ალასანია ასპარეზზე სპეცსამსახურების დავალებით გამოვიდა“



რა მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ სააკაშვილი და მისი ბიძა რუს სამხედროებთან 2006-2008 წლებში

გვ.3



## აკაკი ასათიანი: რუსეთი ჩვენთვისაც მოიცლის“



გვ.5



## მე-9 არხის ყოფილი თანამშრომლები ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრას ითხოვენ

გვ.2



## ნორა კვიციანი: სააკაშვილს, მერაბიშვილსა და ოქრუაშვილს პასუხისგება მოუწევთ!“

გვ.2

# საქართველოს ეროსქესიანთა ქორწინების დაკანონებას აიძულებენ“

გვ.7



## გია მაისაშვილი: მთავრობაში ნეპოტიზმი ყვავის“

გვ.4



## ჯემალ გამახარია: მსოფლიომ ყირიმის პრობლემა აფხაზეთთან და ცხინვალთან ერთად უნდა მოაგვაროს“

გვ.6



## ირაკლი სესიაშვილი: რუსეთს ყირიმი, ფაქტობრივად, ოკუპირებული აქვს“

გვ.7



## ვაჟა ოთარაშვილი: ქართულ კულტურას პატრონი არ ჰყავს!“

გვ.4

## ყირიმი: რეფერენდუმი ძალადობის თანხლებით



გვ.11

ISSN 1987-9385
9 771987 938006

**3** ილია II: ყოველი ადამიანის მოვალეობა არის ის, რომ გააანალიზოს, დაინახოს, სად კეთილია და სად ბოროტი“

**7** რუსეთის საელჩოს შენობასთან მომხდარი დაპირისპირებისას ორი ადამიანი დააკავეს

**6** თამარ ცინცაბაძე: საქართველო დემოგრაფიული თვალსაზრისით ყველაზე უპერსპექტივო ქვეყნების სიაშია“

**7** ლევან ქარდავას, გიორგი მაზმიშვილსა და დათა ახალაიას ალკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდათ

კეჰ]ბ ოზსტქბ .ღზსტქბ იფღზ

# მე-9 არხის ყოფილი თანამშრომლები ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრას ითხოვენ

შორენა გონგლაძე





**ბოლო რამდენიმე დღეა, სოციალური ქსელით ყოფილი მე-9 არხელების მიმართვა ვრცელდება, რომელსაც 150-მდე ყოფილი თანამშრომელი აწერს ხელს. ისინი ივანიშვილთან შეხვედრასა და მისთვის საკუთარი მოსაზრებების გაზიარებას ითხოვენ. „მეცხრე არხის" თანამშრომლების აზრით, ამ ტელეკომპანიის ხელახლა ამუშავების შემთხვევაში არხი შეასრულებს საზოგადოებრივი მაუწყებლის ფუნქციას.**

რა თქმა უნდა, თავად იდეა ნამდვილად კარგია, თუმცა ამ იდეას ბევრი კითხვა ახლავს, რაზეც დაზუსტებულ პასუხს არავინ გაგვცემს, სამაგიეროდ, სხვადასხვა ვარაუდის გამოთქმა შეიძლება. როგორც აღვნიშნე, იდეა მისასალმებელია, თუმცა საინტერესოა, ამდენი ხნის შემდეგ ვის და რატომ მოუვიდა ეს აზრად. ბიძინა ივანიშვილმა თავშივე საკმაოდ გასაგებად თქვა, რომ ეს არხი მას და მის ოჯახს გარკვეულ უხერხულობას უქმნის, ამასთან ერთად, მის შესანახად კოლოსალური თანხების გაღების აზრს ველარ ხედავდა. ის, რომ არხი, სერიოზული დაფინანსების მიუხედავად, ყურებადი მაინც ვერ გახდა და ამაზე აღარავინ დავობს, არც იმაზე ღირს დავა, რომ რაც არ უნდა რეიტინგული ყოფილიყო არხი, ივანიშვილი მას მაინც დახურავდა. რატომ? იმიტომ, რომ ივანიშვილი ბიზნესმენია და არა პოლიტიკოსი, ბიზნესს კი ანგარიში და სწორი სტრატეგიული გათვლები უყვარს, არ უყვარს გულჩვილი და დეპრესიული საზოგადოება, რომელიც მუდამ წარსულში იქექება და პოლიტიკურად და ეკონომიკურად არამომგებიან იდეებს ისვრის.

საინტერესოა, ვის და რატომ მოუვიდა თავში ის, რომ თუკი ივანიშვილს მე-9 არხის აღდგენა-განვითარების გეგმის მოსმენის შემდეგ ყველაფრის თავიდან დაწყების სურვილი გაუჩნდება, რატომ ვერ გაიგო ხალხმა, რომ მე-9 არხმა, ისევე, როგორც ინფო9-მ თავისი ფუნქცია შეასრულა, ამის შემდეგ კი ივანიშვილისთვისაც და მისი თანაგუნდელებისთვის ის ზედმეტი ტვირთი გახდა. ორივე მედიასაშუალების დახურვა ლოგიკურია და ამაზე დავა არც ღირს. შესაძლოა, დადგეს დრო, როდესაც ოცნებას ჟურნალისტების მხარდაჭერა კიდევ დასჭირდება (და ეს დღე აუცილებლად დადგება), სამწუხაროდ, კიდევ მრავლად გამოჩნდებიან ადამიანები, რომლებიც კიდევ ერთხელ დროებით გამოყენებას ჭყლოპინით დათანხმდებიან.

მიმართვაში ასევე ნათქვამია, რომ აღდგენის შემთხვევაში მე-9 არხი საზოგადოებრივი მაუწყებლის ფუნქციას შეასრულებს. აქ ერთი ანდაზა მახსენდება: „ძაღლი შინ არ ვარგოდა, სანადიროდ გარბოდაო". ამ არხმა შესანიშნავი პოლიტიკური ვითარებისა და დიდი დაფინანსების პირობებში გამართულად მომუშავე მედიასაშუალების როლიც კი ვერ შეასრულა, რომ როდესაც მის დახურვაზე მიდგა საქმე, ივანიშვილისთვის მისი არსებობის აუცილებლობა დაესაბუთებინა ვინმეს. საინტერესოა, როგორ უნდა შეასრულოს დღეს მან საზოგადოებრივი მაუწყებლის როლი? ეს იმ დროს, როდესაც ხელისუფლების სათავეში არის ივანიშვილის გუნდი და, შესაბამისად, უკვე არსებული საზოგადოებრივი მაუწყებლის მართვის სადავეები მათ ხელშია (და თუ ტვინი ეყოფათ, პირველი არხისგანაც შექმნიან ნამდვილ საზმაუს).

ერთადერთი, რის აღდგენაზეც ნამდვილად შეიძლება ლაპარაკი და რაც ნამდვილად დაახლოებული იქნება ყველა პოლიტიკურ გათვლასთან, ეს არის ინფო9 და მისი აღდგენა. მიუხედავად იმისა, რომ თავიდანვე ეს სააგენტო ძირითადად არაპროფესიონალი კადრებით დაკომპლექტდა, არც ერთ პროფესიონალებით გაძეძგილ ტელევიზიას და მათ შორის არც მე-9 არხს არ გაუკეთებიათ ის, რაც მაშინ ინფო9-მ გააკეთა. ინფო9-მ გააკეთა ის, რაც რუსთავი 2-მა 2003-ში. არც ერთ ტელევიზიას და მათ შორის არც ერთ საინფორმაციო სააგენტოს არ დასიზმრებია ის რეიტინგი, რაც ამ სააგენტომ თავისი მუშაობის პერიოდში მოიპოვა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ იმ პერიოდში ინფო9-მ რეალურად შეასრულა საზოგადოებრივი მაუწყებლის ფუნქცია. დღესაც კი, სააგენტო, რომელიც, ფაქტობრივად, აღარ ფუნქციონირებს, თავისი რეიტინგით ყველა მოქმედ საინფორმაციო სააგენტოს უსწრებს, ხოლო რა დაემართა იმ პროფესიონალ ადამიანთა ჯგუფს, ვინც ეს მართლაც ლეგენდარული სააგენტო შექმნა? სახლში სხედან და სივების უიმედოდ დაგზავნით არიან დაკავებულნი.

უმუშევრობაზე გამახსენდა და არ შეიძლება, ორიოდე სიტყვა ამ თემაზეც არ ვთქვა. რამდენიმე დღის წინ პრემიერ ღარიბაშვილს სტუდენტებთან ჰქონდა შეხვედრა, სადაც თქვა, რომ კვალიფიციურ კადრებს სანთლით ეძებს. პრემიერის პასუხს ინფო9-ის ყოფილი ტექნიკური დირექტორის ბაკურ სვანიძის საინტერესო პასუხიც მოჰყვა. აი, რას პასუხობს სვანიძე ღარიბაშვილს:

– ბატონო ირაკლი! ზუსტად მახსოვს, როდესაც 24-საათიან რეჟიმში რამდენიმე ათეული ძალიან არაკვალიფიციური კადრი ვმუშაობდით „ქართულ" ვაკის სპეციალურ საწყობში, პროექტზე, რომელიც ითვალისწინებდა 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებში ყველა (3 ათას 664) საარჩევნო უბანზე თითო ვიდეოკამერის მიმაგრებას, რეგიონებში, ადგილებზე კადრების მომზადებასა და მართვას, იქიდან ჩიპების ორგანიზებულ ჩამოტანასა და სპეციალური პროგრამით „ფეისკონტროლით" „კარუსელების" გამოვლენას

(აქვე განგიმარტავთ, რატომ ვუწოდე ჩვენს თავს არაკვალიფიციური – დღეს ყველა ჩვენგანი დაუსაქმებელია... ამასთანავე, ვერ გაკადრებთ, გითხრათ, რომ იტყუებით, როცა ამბობთ, თითქოს სანთლით ეძებთ და ასაქმებთ კვალიფიციურ კადრებს. ამიტომ ჩვენ არაკვალიფიციურები გამოვდივართ)... მოკლედ, მაშინ იმ საწყობში 4 ათას ცალზე მეტი „ბატარეებზე" მომუშავე ფანარი მივიღე (გათვლილი იყო შემთხვევა საიმისოდ, რომ „ნაციონალებს" უბნებზე ელექტროენერგია გაეთიშათ). ზუსტად ვიცი, რამდენიმე ასეული

ფანარი არ დარიგებულა რაოდენობაში მეტობის გამო და იმავე საწყობში დარჩა. იქნებ აიღოთ ეს ფანრები და იმით განაგრძოთ ძებნა? „სანთელი", როგორც ჩანს, ძალიან ცუდად ანათებს და მეცოდებით, ტყუილად არ დაიღალოთ კვალიფიციური კადრების ძებნაში. პარალელურად ვაკეთებდით სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვან საქმეს, კერძოდ, პირადად მე და ჩემი ჯგუფი ვხელმძღვანელობდით საინფორმაციო პორტალ ინფო9-ის დაარსებას, შექმნას, ტექნიკურ უზრუნველყოფას, რეგიონებში ჯგუფების მართვას და უშუალოდ ვახორციელებდით რეგიონებიდან პირდაპირ ეთერს

(ამასთანავე, არც ამ სამსახურში ვიღებდით რაიმე „განსაკუთრებულ" ანაზღაურებას... მაგალითისთვის, ჩვენზე ათჯერ მეტ ხელფასს იღებდა „ნაციონალების" ტელევიზიებიდან თქვენ მიერ „ახალგადაბირებული" რამდენიმე ადამიანი, რომელთა საქმიანობაც არანაირ რისკთან არ იყო დაკავშირებული)... გეთანხმებით, ნებისმიერი კვალიფიციური კადრი აუცილებლად უარს იტყოდა ჩვენს ადგილზე, საკუთარ თავზე აელო შეთავსებით და თანაც სრულიად დამატებითი ანაზღაურების გარეშე ასეთი 24-საათიანი და შარიანი სამუშაო (დავაზუსტებ, გარდა შრომატევადობისა, სამუშაო მიმდინარეობდა „ნაციონალების" აგრესიული ჯგუფების მხრიდან მუდმივი თავდასხმების ფონზე. ამასთანავე, არჩევნების შემდეგ თითოეული „დაკარგული" შტეფსელისა თუ „უდლინიტელის" გამო უსაფრთხოების „დაკითხვებზე" და პოლიციის განყოფილებებში გვარბენინეთ უკვე არა „ნაციონალებმა", არამედ თქვენ – „ქართუმ", მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ „არჩევნები" კი არა, „ომი" გამოვიარეთ და „უდლინიტელები" კი არა, ლამის ადამიანები „დავკარგეთ"... ყველა ძირითადი აგრეგატი უკლებლივ ჩაბარდა „ქართუს")!!! „სანთლით ვეძებთ კვალიფიციურ კადრებს" – ეს, იცით, „თარგმანში" რას ნიშნავს, ირაკლი ბატონო? აი, ამას: – სამუშაო ადგილების მეტი რა არის, უბრალოდ, ქართველი ხალხია უცოდინარი, გაუნათლებელი, ზარმაცი და უშნო! – აი, ამას ნიშნავს მაგი და... თუ მეხსიერება არ მღალატობს, ეგ „ფილოსოფია" საქართველოში „ნაციონალების" დამკვიდრებულია...

სწორედ ასეთი აზრების გამო აგინებდა ნახევარი საქართველო ფორუმზე უშვერი სიტყვებით გიგა ნასარიძეს და მის მსგავსთ....

კარგად რომ გადავხედოთ ტელეარქივებს, მიხეილ სააკაშვილის ანალოგიურ ფრაზებს ალბათ ასობით ამოგიყრით... ახლა ეს ჩემი ნათქვამიც გნებავთ „გადაგათარგმნოთ" თუ თავადაც მიხვდებით, რასაც ვგულისხმობ??? – წერს საკუთარ ფეისბუქის გვერდზე ბაკურ სვანიძე.

## ირაკლი ღარიბაშვილი საპარლამენტო უმრავლესობას შეხვდა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი საპარლამენტო უმრავლესობას შეხვდა. საუბარი შეეხო მოახლოებულ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს და მასთან დაკავშირებულ საკითხებს.

პრემიერ-მინისტრმა უმრავლესობის წევრებს საარჩევნო შტაბის უფროსი კახა კალაძე წარუდგინა და შტაბის სამომავლო მუშაობის შესახებ ინფორმაცია გააცნო.

შეხვედრაზე ქვეყანაში მიმდინარე პროცესები განიხილეს და პარლამენტში შეტანილი კანონპროექტების შესახებ იმსჯელეს. ირაკლი ღარიბაშვილმა პარლამენტის წევრებს ამერიკის შეერთებულ შტატებში ვიზიტის შედეგები გააცნო.

მედიანიუსი

# ნორა კვიციანი: სააკაშვილს, მერაბიშვილსა და ოქრუაშვილს პასუხისგება მოუწევთ!"

### რის აღიარებას ითხოვს ყოფილი პოლიტპატიმარი ნაციონალებისგან

შორენა მარსაგიშვილი



ყველა ელოდა, რომ ემზარ კვიციანის სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ბევრ საიდუმლოს აეხდებოდა ფარდა. კოდორის ხეობაში პრეზიდენტის ყოფილი რწმუნებული მართლა ბევრ ინფორმაციას ფლობს. მას ჯერ არაფერი უთქვამს. მოგეხსენებათ, ის თებერვლის ბოლოს სამშობლოში დაბრუნდა და სამართალდამცავებს ჩაბარდა. დაწყებულია ხელახალი გამოძიება. როგორც ამბობენ, წინ საინტერესო ამბები გველოდება.

ემზარ კვიციანის მიერ მიწოდებული ინფორმაცია რომ მნიშვნელოვანი იქნება, ამაში ნორა კვიციანს ეჭვი არ ეპარება. წლების წინ ის სწორედ კოდორის მოვლენების გამო გაუშვეს ციხეში. ქალს, რომელიც იარაღით ხელში იცავდა ტერიტორიულ მთლიანობას, ციხეში 6 წელზე მეტი გაატარებინეს. ახლა ნორა კვიციანი იმათ პასუხისმგებლობას სვამს, ვინც ეს ოპერაცია ჩაატარა.

**ნორა კვიციანი:**

– კოდორის მიმართ დიდია ინტერესი. ყველანი ელოდებოდით, რომ სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ემზარი სკანდალურ განცხადებებს გააკეთებდა. მას ბევრი ინფორმაცია აქვს, რომელიც გამოძიებას სიმართლის დადგენაში გამოადგება. დაწერეს, თითქოს ვთქვი, ემზარის მიწოდებული მასალა შოკისმომგვრელი იქნებოდაო. ასეთი განცხადება მე არ გამიკეთებია. ჩემი ძმა არც კი მინახავს და საიდან მეცოდინება, მისი განცხადება შოკისმომგვრელი იქნება თუ დამამშვიდებელი. ერთ რამეში კი დარწმუნებული ვარ, გამოძიება მისი ჩვენებით სიმართლეს დაადგენს. ციხეში ემზარის ნაცვლად სხვები უნდა ისხდნენ. მალე დადგება მათი პასუხისმგებლობის საკითხიც.

***– კონკრეტულად ვისზე საუბრობთ?***

– იმათზე, ვინ 2006 წელს კოდორის ხეობაში სპეცოპერაცია ჩაატარა, რომელსაც მხოლოდ ერთი მიზანი ჰქონდა. რაც იყო ის მიზანი, 2008 წელს ვნახეთ. იმ დროის ხელისუფლებაში, მართალია, არ ყოფილა, მაგრამ კოდორის ჩაბარებაში დიდი წვლილი მიუძღვის ირაკლი ოქრუაშვილს. მისი ბრძანებით გააუქმეს ბატალიონი „მონადირე", რომელიც თავდაცვის სამინისტროს ექვემდებარებოდა. ოქრუაშვილი ჯერ კიდევ 2005 წელს ითხოვდა კოდორში ე.წ. ანტიკრიმინალური ოპერაციის ჩატარებას. ცხადია, ის სააკაშვილის მითითებით სარგებლობდა, მაგრამ მაინც უნდა აგოს პასუხი. მე სულაც არ ვითხოვ, რომ ის ციხეში ჩასვან, მაგრამ ის ხომ მაინც უნდა გვითხრას, რატომ გააკეთა ასეთი რამე. დღეს ის აცხადებს, რომ წარსულზე საუბარი არ სურს.

***– თქვენი აზრით, რატომ არ სურს?***

– იმიტომ, რომ მის წარსულში ბევრი რამ არის ბურუსით მოცული. მათ შორის არის კოდორის ჩაბარება. მე ვერ ვხვდები, რატომ არ უსვამენ ამ თემაზე კითხვებს სააკაშვილს, მერაბიშვილსა და ოქრუაშვილს. საქმე ხომ ქვეყნის ტერიტორიის დაკარგვას ეხება. ეს ხომ ნივთი არ არის, დაკარგო და შეეგუო. ეს საქართველოს ნაწილია, რომლის დაცვასაც ამდენი წელი შევალიეთ. მაინტერესებს, რას ეტყვიან კოდორის მოსახლეობას, რომლებსაც იარაღი არ დაუტოვეს, რომ საკუთარი თავი და ქვეყანა დაეცვა. ის სპექტაკლი იმიტომ დაიდგა 2006 წელს, რომ ხეობიდან იარაღი ამოეღოთ, რათა საჭირო დროს არ გამოეყენებინათ ის. საქართველოში ყველამ იცის, რომ 2006 წელს ემზარი სამშობლოს წინააღმდეგ არ წასულა. ამ ნდობისთვის მათ მადლობა, მაგრამ სიმართლე გამოძიებით უნდა დადგინდეს. ყველამ უნდა გაიგოს, ვინ უღალატა საქართველოს და ვინ გაწირა კოდორის ხეობა. როგორც კი ხელისუფლებამ „მონადირის" გაუქმება გადაწყვიტა, მაშინვე ვთქვი, რომ კოდორი დაიკარგებოდა. ასეც მოხდა. ახლა აგვიხსნან, რატომ ჩააბარეს იქაურობა მოწინააღმდეგეს წინააღმდეგობის გარეშე.

***– ამბობენ, რომ 2008 წლის აგვისტოში მოწინააღმდეგე რამდენიმე დღე მიტოვებულ ხეობაში არ შედიოდა. მართალია?***

– მართალია. მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ შევიდნენ. ბევრ რამეზეა პასუხი გასაცემი. ამიტომ გთხოვთ ჟურნალისტებს, ჰკითხეთ მერაბიშვილს, სააკაშვილს, ოქრუაშვილს, რატომ გაწირეს ხეობა. ჰკითხეთ, რატომ გამოატარეს რუსმა სამშვიდობოებმა ქართველი სამხედროები 2006 წლის ზაფხულში? მოსკოვთან მოლაპარაკებების გარეშე ეს არ მოხდებოდა. ვიცი, რომ კითხვები ჩემს ძმასთანაც არის. ის მზადაა ჩვენების მისაცემად და ბევრ რამეს იტყვის. ყველა გაიგებს, რა მოხდა კოდორის ე.წ. ამბოხებისას. ეს იყო ბინძური პროვოკაცია, რომელიც სააკაშვილმა დაგეგმა. ამისთვის ის აუცილებლად აგებს პასუხს. პასუხს სხვებიც აგებენ. კიდევ ერთხელ მოვუწოდებ ოქრუაშვილს, თქვას სიმართლე. იმ ოპერაციას ის ხელმძღვანელობდა და ყველაფერი იცის.

ახალი თაობა
www.atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

# ზაალ კასრელიშვილი: თემურ ალასანია ასპარეზზე სპეცსამსახურების დავალებით გამოვიდა“

## რა მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ სააკაშვილი და მისი ბიძა რუს სამხედროებთან 2006–2008 წლებში

შორენა მარსაგიშვილი



ბოლო 11 წლის მანძილზე თემურ ალასანიას სახელი ბევრ ხმაურიან საქმესთან იყო დაკავშირებული. მასზე ძალიან ბევრი იწერებოდა. ბრალდებებიც სერიოზული იყო. ერთ დროს ქვეყნის პირველი ბიძა აქამდე ამ ყველაფერს ოლიმპიური სიმშვიდით ხვდებოდა, ყოველ შემთხვევაში, საჯაროდ კომენტარი არასდროს გაუკეთებია. კამერების წინ გამოჩენასაც ერიდებოდა. არადა, ამბობენ, როცა სააკაშვილი პრეზიდენტი იყო, თემურ ალასანია უშიშროების საბჭოს სხდომებს ესწრებოდა.

ახლა ალასანია ჩრდილიდან გამოვიდა. ცოტა ხნის წინ ის კიევში დისწულს ახლდა თან, რამდენიმე დღის წინ კი გვაუწყა, საქართველოს პრემიერ-მინისტრს ღირსების შელახვისთვის სასამართლოში ვუჩივლებო. ეს ამბავი ირაკლი ღარიბაშვილს გულზე დიდად არ მოხვედრია. ღაწვები არც მთავრობის სხვა წევრებს დაუხოკავთ. ექსპერტები ბიძის აღშფოთებას სხვა მიზეზს უკავშირებენ. მათი აზრით, პრემიერის წინააღმდეგ სარჩელის შეტანას სულ სხვა მიზეზები აქვს.

კავკასიელ ხალხთა კონფედერაციის თავმჯდომარე ზაალ კასრელიშვილი დარწმუნებულია, რომ თემურ ალასანია აქტიურ ქმედებებზე უცხო ქვეყნის სპეცსამსახურების დავალებით გადავიდა. რომელი ქვეყნის სპეცსამსახურები დგანან ალასანიას უკან, იბრძოდა თუ არა ის აგვისტოს ომის დროს, ვინ და რისთვის წავიდა კიევში, რისთვის უნდა იყოს მზად საქართველოს ხელისუფლება, ამ თემებზე ზაალ კასრელიშვილი „ახალ თაობას“ ესაუბრება.

**ზაალ კასრელიშვილი:**

– შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ ყოფილი პრეზიდენტის ბიძა, თემურ ალასანია, პოლიტიკურ არენაზე გამოდის. ჩვენ ვფიქრობთ, რომ მისი გააქტიურება 2 მიზეზს უკავშირდება. პირველი მიზეზი გახლავთ ის, რომ მას და მის დისშვილს ამერიკის შეერთებულ შტატებში აღარ დაედგომებათ, რადგანაც უფუნქციოდ არიან დარჩენილი. მეორე მიზეზი მისი გააქტიურებისა გახლავთ რუსეთის ქმედებები. ბოლო დროს რუსეთის ინტერესები პოსტსაბჭოთა სივრცეზე დაუფარავად ვრცელდება. ეტყობა, თემურ ალასანიას ამ პროცესებში მოხვედრა სურს. ზუსტად რა გეგმები აქვს, ვერ გეტყვით. სამაგიეროდ, ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ის პოლიტიკურ არენაზე სპეცსამსახურების დახმარებითა და დავალებით გამოვიდა.

***– რომელი ქვეყნის სპეცსამსახურები გყავთ მხედველობაში?***

– გაგვიჭირდება იმის თქმა, რომელი ქვეყნის სპეცსამსახურები დგანან მის უკან. შესაძლოა, ეს რუსეთი იყოს ან ამერიკა. ფაქტია, რომ ალასანიას ტიპის ადამიანები სპეცსამსახურების სერიოზული დაზღვევის გარეშე პოლიტიკურ არენაზე არ ჩნდებიან. პოლიტიკას ვინ ჩივის, მყარი გარანტიების გარეშე ბიზნესარენაზეც კი არ გამოდიან. მისი და მისი დისშვილის რიტორიკა ანტირუსული გახლავთ. მაგრამ, თუ კარგად დავაკვირდებით, შესაძლოა, ეჭვები გაჩნდეს, რომ ისინი სწორედ რუსეთის სასარგებლოდ აკეთებენ ყველაფერს.

***– რას გულისხმობთ, ბატონო ზაალ?***

– ანტირუსული განცხადებებითა და რიტორიკით სააკაშვილი პრეზიდენტობის დროსაც გამოირჩეოდა. მის ასეთ აგრესიულ გამოხდომებს შედეგად აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დამოუკიდებლობის აღიარება მოჰყვა. აქედან გამომდინარე, ჩნდება საფუძვლიანი ეჭვი, რომ ბიძა და დისწული ამავე მიმართულებით მუშაობენ.

***– ასეთი გონივრული ეჭვი დასავლეთს არ უჩნდება ბიძა-დისწულის მიმართ?***

– დასავლეთს მათი ასეთი რიტორიკა რაღაცა დოზით აწყობს. ამიტომაც უწყობენ მათ გამოჩენას ხელს. აქედან ბევრი არაფერი გამოვა. დარწმუნებული ვარ, სააკაშვილიც და ბიძამისიც პოლიტიკურ არენაზე ძალიან მალე მინავლდებიან. თავის მხრივ, ისინი ყველაფერს აკეთებენ საიმისოდ, რომ რუსეთისთვისაც საინტერესონი იყვნენ და დასავლეთისთვისაც.

***– თემურ ალასანიამ გადაწყვიტა, ირაკლი ღარიბაშვილის წინააღმდეგ შეიტანოს სარჩელი. თქვენი აზრით, მართლა შეელახა ღირსება პრემიერის განცხადებების გამო თუ რაღაც სხვა რამეშია საქმე?***

– ირაკლი ღარიბაშვილთან დაპირისპირებით მან თავის წონით კატეგორიას გაუსვა ხაზი. საქართველოს პრემიერთან დაპირისპირებით ცდილობს ის თავისი სტატუსის წარმოჩენას. მისი მხრიდან სარჩელის შეტანა ჩვეულებრივი ხრიკია. ეს ისეთი მარტივი მოსაფიქრებელია, პიარტექნოლოგებიც კი არ სჭირდება. საქართველოს მთავრობის მეთაურთან კონფლიქტში შესვლა მას საერთაშორისო ასპარეზზე გარკვეულ ქულებს მოუტანს.

***– რა ქულები უნდა მოუტანოს?***

– დასავლეთს დაანახვებს, ისეთი მაღალი რანგის ადამიანია, რომ სასამართლოში პრემიერს უჩივის.

***– პრემიერი რას მოიგებს ან რას წააგებს ამ სარჩელით?***

– ღარიბაშვილი არაფერსაც არ წააგებს. ისე, სასურველი იქნება, თუ ხელისუფლება თემურ ალასანიას განცხადებებს სათანადოდ უპასუხებს. ეჭვი მეპარება, რომ საერთოდ შეიტანოს ნაპრეზიდენტალის ბიძამ სარჩელი. ეს განცხადება მხოლოდ განცხადებისთვის გააკეთა. საერთაშორისო თანამეგობრობას შეახსენა, რომ ის არსებობს და პრემიერს უპირისპირდება. ბიძა-დისშვილი, ეტყობა, ერთიანი ძალებით ცდილობენ საზოგადოების ყურადღების მიპყრობას და ყველაფერზე მიდიან.

***– ალბათ, ამიტომაც გაგვაგებინეს, რომ 2008 წლის ომის დროს თემურ ალასანია სანგარში მჯდარა და იბრძოდა. თქვენ ამის შესახებ ოდესმე რამე გსმენიათ?***

– თემურ ალასანია იბრძოდა კი არა, უმაღლესი მთავარსარდალი მიხეილ სააკაშვილი და მისი ძალოვანი მინისტრები მიმოიფანტნენ. ზოგი მარჯანიშვილის მეტროში იმალებოდა და ზოგი საზღვარზე გარბოდა, ზოგმა კი თავის ცხენს გამოასწრო. თემურ ალასანია სანგარში იჯდაო. საინტერესოა, რა იარაღი ეკავა ხელში. ისიც საინტერესოა, ვის სანგარში იჯდა. მისი მეომრობის შესახებ მართლა პირველად გავიგე. თუ თემურ ალასანიასნაირები ისხდნენ სანგარში, კიდევ კარგა ხანს გაგვიძლია რუსებისთვის. ასეთი ხალხი თუ იყო ომში, 3 დღე მოწინაალმდეგისთვის გაძლება გმირობის ტოლფასია. არავითარი სანგარი და თავგამოდება არ ყოფილა. ეს არის პიარის ნაწილი. ხდება თემურ ალასანიას პოლიტიკურ ასპარეზზე გამოყვანა, რომელიც ბიზნესმენის ამპლუაში ველარ ეტევა, ანდა შესაძლოა სპეცსამსახურებმა პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსვლა მოსთხოვეს. სააკაშვილი და მისი ბიძა ის ხალხი არაა, რომლებიც გადაწყვეტილებებს მარტონი მიიღებენ. მათი გადაწყვეტილებები შორსაა პატრიოტიზმთან. მხოლოდ მაშინ იღებენ ხმას და მოქმედებენ, როცა მყარი გარანტიები აქვთ. გარანტიების გარდა, იმასაც ითვლიან, თუ რა სარგებელს მიიღებენ ამა თუ იმ საქმიდან.

***– ამ შემთხვევაში რა სარგებელი შეიძლება მიიღონ?***

– სარგებლის მიღება ახლო მომავალში ძალიან გაუჭირდებათ. ზემოთაც გითხარით, რომ მალე მინავლდებიან. ოღონდ, ერთი რამე იცოდეთ, სააკაშვილი და ბიძამისი საშიში ხალხია. ისინი ყველაფერზე წავლენ, რომ დამკვეთს დავალება შეუსრულონ.

***– რას უნდა ელოდოს საქართველო მათგან?***

– ყველაფერია მოსალოდნელი. ხელისუფლება ყველა მოსალოდნელი სცენარისთვის უნდა იყოს მზად. საქართველოს მოსახლეობას არ დავძაბავ და წინასწარი პროგნოზებისგან თავს შევიკავებ, ვიღაცებს კი ვეტყვი, რომ მიტინგების იმედად ტყუილად არიან. აქ თუ მიტინგები დაიწყო, ეს იმას არ ნიშნავს, რომ საქართველო ყოფილ პრეზიდენტს მიიღებს, თანაც, ჯერ ხომ არ ვიცით, შეასრულებენ თუ არა ისინი თავიანთ მისიას. თუ შეასრულებენ, დააჯილდოებენ, არ შეასრულებენ და დასჯიან. მაგათნაირები დაუსჯიათ.

***– დიდი გამოხმაურება მოჰყვა სენატორ მაკკეინის განცხადებას. მან თქვა, რომ სააკაშვილმა შეცდომა დაუშვა, როცა 2008 წელს რუსეთთან წამოიწყო კონფლიქტი. აქამდე მას ასეთი რამ არ უთქვამს. ეს რას ნიშნავს?***

– ბევრს არაფერს ნიშნავს. იმავე მაკკეინმა სხვა განცხადებაც გააკეთა, სადაც თქვა, რომ სააკაშვილმა სწორი გააკეთა, რუსებს რომ შეუტია.



***– ანუ ამ კაცის განცხადებები სერიოზულად არ უნდა აღვიქვათ?***

– მე ეს არ მითქვამს. მაკკეინს ჩვენი ორგანიზაცია დიდ პატივს სცემს.

***– რატომ სცემთ პატივს?***

– ის არის ღირსეული მებრძოლი და ღირსების ოფიცერი. ჩვენ სენატორს დიდ პატივს ვცემთ, იმის მიუხედავად, რომ ის სააკაშვილს მფარველობს. მისი განცხადებებიც მნიშვნელოვანია ჩვენთვის. თუმცა ეს ბოლო განცხადება არაფერს ნიშნავს. იმაზე საუბარი, ვინ დაიწყო ომი, არაფრისმომტანია. ამის გასარკვევად დიდი და სერიოზული გამოძიების ჩატარებაა საჭირო. გამოძიების დასრულებამდე ჩვენ ამ თემაზე კომენტარს არ ვაკეთებთ. სამაგიეროდ, ჩვენ ვსვამთ კითხვებს: რატომ წააგო საქართველომ ომი, რატომ გაიქცა სარდლობა ბრძოლის ველიდან, რა სტრატეგიული და ტაქტიკური შეცდომები იქნა დაშვებული ომის დროს. ყველაზე მნიშვნელოვანი კი იმის გარკვევაა, რა სახის მოლაპარაკებები მიდიოდა რუსეთთან 2006-2008 წლებში.

***– ვინ და რა ძალებთან აწარმოებდა ამ მოლაპარაკებებს?***

– ამ მოლაპარაკებებს საქართველოს სამხედრო და პოლიტიკური ხელმძღვანელობა რუსეთის სამხედრო და პოლიტიკურ ხელმძღვანელობასთან აწარმოებდა. საქართველოს ისტორიაში უამრავი ომი იყო. ზოგი მოვიგეთ, ზოგი წავაგეთ, ზოგი გაურკვეველი შედეგით დასრულდა. საქართველომ ამ ომების შესახებ ყველაფერი იცის. წაგების მიზეზებიც ვიცით და მოგებისაც. მარტო ეს ომია ბურუსით მოცული.

***– იმ ომიდან ჯერ დიდი დრო არ გასულა.***

– მერე რა. მიზეზების შესწავლა ძალიან მალე უნდა მომხდარიყო. ის ხომ მაინც უნდა ვიცოდეთ, სად და რა შეცდომა დავუშვით. შეცდომები კი მრავლად იქნა დაშვებული. უშეცდომოები რომ ვყოფილიყავით, ასეთ სამარცხვინო შედეგს არ მივიღებდით, თან თურმე ყველანი ბრძოლის ველზე ყოფილან. მარტო თემურ ალასანია კი არ იყო იქ, იქ იყვნენ და მტერს თავზარს სცემდნენ ლეგენდარული მეომრები: გიორგი ბარამიძე, დავით კეზერაშვილი, გივი თარგამაძე, ლადო ვარძელაშვილი, გოგა ხაჩიძე, აკვირინე, ხალამპრე.... მოკლედ, ყველა იქ იყო. მე არავის არაფერს ვერჩი. არც იმას ვყვირი, რატომ წააგეთ ომი-მეთქი. უბრალოდ, მიზეზების გარკვევა მაინტერესებს. ყველაზე მეტად კი ის მოლაპარაკებები მაინტერესებს, რომელთა შესახებ ზემოთაც გესაუბრეთ.

***– ამ მოლაპარაკებებს ისე ახსენებთ. ეტყობა, რაღაც ისეთი იცით.***

– რაღაცა ვიცით, რაღაცას კიდევ ვარკვევთ. ბევრი საინტერესო დეტალი იკვეთება. ამ ამბების გარკვევაში ჩვენი კავკასიელი მეგობრებიც დაგვეხმარებიან. იმ ომის საეჭვო წაგებას ეს მოლაპარაკებები უძღოდა წინ.

***– ამის რისი თქმა გინდათ, რომ ომის წაგება მოლაპარაკებული იყო?***

– მხოლოდ ეჭვს გამოვთქვამ. ფაქტია, რომ ეს მოლაპარაკებები შემთხვევით არ გაიმართებოდა. 2 წელი მოლაპარაკებებს, როგორც წესი, შემთხვევით არ აწარმოებენ ხოლმე, ისევე, როგორც შემთხვევითი არ არის თემურ ალასანიას გააქტიურება.

***– ამ მოლაპარაკებებში თემურ ალასანიაც ხომ არ მონაწილეობდა?***

– მისი დისშვილი, ცხადია, ჩართული იყო. თემურ ალასანიას რაც შეეხება, მაგის როლზე მაშინ გესაუბრებით, როცა დეტალებს გავარკვევთ. ეს დეტალები ყველასთვის საინტერესო უნდა იყოს.

***– წინასწარ არაფერს გვეტყვით ამ მოლაპარაკებებზე?***

– სანამ ბოლომდე არ გავარკვევთ, არ ღირს. სანამ მოლაპარაკებების დეტალებს გავარკვევდეთ, თქვენი გაზეთის საშუალებით ნაციონალებისა და რაღაც ჯგუფების მისამართით ერთი განცხადება უნდა გავაკეთო. ამ ადამიანებისგან ბოლო დროს ხშირად ისმის მოწოდებები, რომ უკრაინაში უნდა წავიდეთ და მათთან ერთად ვიომოთ რუსეთის წინააღმდეგ. ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ, უკრაინას უნდა დავეხმაროთ. უკრაინელები ყველა ბრძოლის დროს ჩვენ გვერდით იდგნენ. ისინი ჩეჩნებსაც კარგად ეხმარებოდნენ. უკრაინელებს ასეთი განცხადებები ხმამაღლა არ გაუკეთებიათ. ისინი ჩუმად ჩამოვიდნენ და ჩუმად დადგნენ ჩვენ გვერდით. ასე რომ, თუ ვინმეს უკრაინისთვის ბრძოლა სურს, ჩუმად წავიდეს. ისე ჩუმად წავიდეს, როგორც ეს ასეულობით ადამიანმა გააკეთა.

***– საქართველოდან წავიდა ვინმე უკრაინელების მხარეს საომრად?***

– არა მარტო საქართველოდან. იქ უკვე დიდი ხანია ჩავიდა ხალხი. ისინი ასეულებში და ოცეულებში არიან გადანაწილებული და წვრთნებს გადიან. ასე რომ, თუ ვინმეს სურს წასვლა, ჩუმად წავიდეს და ხმამაღალი განცხადებებით პიარს ნუ იკეთებენ.

## ილია II: ყოველი ადამიანის მოვალეობა არის ის, რომ გააანალიზოს, დაინახოს, სად კეთილია და სად ბოროტი“

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, ფიქრობს, რომ განათლების სამინისტრო მივა იმ დასკვნამდე, რომ საშუალო სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში ანალიტიკური აზროვნება შეტანილი იყოს.

როგორც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსმა, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ ბრძანა ადამიანმა უნდა ისწავლოს ანალიტიკური აზროვნება.

„ძალიან ხშირად ჩვენ გვინდა ავხსნათ, ესა თუ ის მოვლენა, ჩვენი ადამიანური გონებით, ჩვენი მსჯელობით, ანალიტიკური აზროვნებით. ადამიანს სჭირდება ცოდნა ანალიტიკური აზროვნებისა. ჩვენ ვცხოვრობთ ძალიან რთულ დროს, როცა სიკეთეც ბევრია და ბოროტებაც მსოფლიოში და ყოველი ადამიანის მოვალეობა არის ის, რომ გაანალიზოს, დაინახოს, სად კეთილია და სად ბოროტი“, – აღნიშნა პატრიარქმა. მისივე თქმით, ანალიტიკური აზროვნება საჭიროა, რადგან ძალიან ხშირი შემთხვევაა, როცა ადამიანი ანალიტიკური აზროვნების გარეშე იწყებს ამა თუ იმ საქმეს და იწყებს იმ დროს, როცა არ არის მზად ამისთვის, ამის გასაკეთებლად.

მედიანიუსი

## როლანდ ახალაიას საკითხზე პარლამენტის თავმჯდომარე განცხადებას დღეს გააკეთებს

დეპუტატ როლანდ ახალაიას პასუხისგებაში მიცემასთან დაკავშირებულ საკითხზე დღეს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი სპეციალურ განცხადებას გააკეთებს. ამის შესახებ დეპუტატმა ეკა ბესელიამ განაცხადა.

ბესელიას თქმით, პროკურატურამ ახალაიასთვის ბრალის წარდგენის თაობაზე პარლამენტს კანონის სრული დაცვით მიმართა.

„კანონი დაცულია, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით ამგვარი მომართვის პროცედურაა გათვალისწინებული. რაც შეეხება პარლამენტის გადაწყვეტილებას, ხვალ პარლამენტის თავმჯდომარე აპირებს, რომ გააკეთოს განცხადება და დეტალურად ახსნას პარლამენტის პოზიცია. ბუნებრივია, ყველაფერი სამართლებრივ ჭრილში გადაწყდება“- განაცხადა ეკა ბესელიამ.

მთავარმა პროკურატურამ დეპუტატ როლანდ ახალაიას მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისა და ბრალდებისათვის თანხმობის მისალებად, პარლამენტს წინადადებით 14 მარტს მიმართა. პროკურატურის განცხადებით, საქმე ეხება როლანდ ახალაიას სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურორად მუშაობის პერიოდში, მის მიერ ჩადენილ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტებს. უწყების განმარტებით, როლანდ ახალაიას მიერ ჩადენილი ქმედება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის პირველი ნაწილით კვალიფიცირდება და მას ბრალდება ამ მუხლის შესაბამისად უნდა წარედგინოს.

მედიანიუსი

მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი
ქ-ნი მარიამი
☎ 599-90-54-78, 234-02-38

# გია მაისაშვილი: მთავრობაში ნეპოტიზმი ყვავის“



ნათია ხურცილავა

## ინტერვიუ ეკონომიკის ექსპერტ გია მაისაშვილთან

***— როგორ შეაფასებთ მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებია რამდენიმე თვეში, დემოკრატიისკენ მივდივართ თუ ადგილზე ვართ?***

— ორპარტიული პოლიტიკური სისტემა ჩამოყალიბდა. ორი სიამის ტყუპივით მსგავსი პოლიტიკური პარტია გვაქვს.

***— „ქართული ოცნება“ და ნაციონალური მოძრაობა ერთმანეთს ჰგვანან?***

— ერთი და იმავე შინაარსის მატარებელი პარტიაა, რომელთაც აწყობთ დახურული პოლიტიკური სისტემა. ერთი მხრივ, „ნაციონალური მოძრაობა“ ვერ ინატრებდა ასეთ ოპონენტს, როგორიც მმართველი ძალაა. მეორე მხრივ, ნაციონალური მოძრაობა რომ მთავარ ოპოზიციას წარმოადგენს დღეს, ეს მხოლოდ და მხოლოდ მმართველი ძალის უსუსურობის დამსახურებაა. მმართველ ძალასაც აწყობს ასეთი ოპოზიცია. ყველა კრიტიკაზე მათ ხელისუფლება ეტყვის: თქვენ რა გაქვთ სალაპარაკო?! ერთიც და მეორეც მართლები არიან ერთმანეთთან მიმართებით, მაგრამ ქვეყანასთან მიმართებით ორივე უვარგისია. ჩვენს ქვეყანას კიდევ ერთი შანსი მიეცა. გეოპოლიტიკური ფანჯარა კიდევ ერთხელ გაიღო. ახლა ისეთი უსუსურობა, რომელიც ხდება ეკონომიკაში, რომელიც ყოველდღიურობაში ხდება, დამღუპველია. ეს შანსი გამოყენებულ უნდა იქნეს. ევროკავშირს ასეთი ყურადღება რომ აქვს საქართველოსადმი, ასევე ამერიკის შეერთებულ შტატებს ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, ეს უნდა გამოვიყენოთ რეალურად. ეს ყურადღება გლობალური გეოპოლიტიკიდან გამომდინარეა. საქართველოს შეუძლია, ახლა ყურადღების ცენტრად იქცეს. ახლა ისე, როგორც არასდროს, მას სჭირდება ეფექტური და გაერთიანებული მთავრობა და არა ისეთი, როგორიც დღეს გვყავს.

***— როგორი მთავრობა გვყავს?***

— ისეთი, სადაც ნეპოტიზმი ყვავის და სადაც არაკომპეტენტურობაა.

***— ამერიკაში გამართულ შეხვედრებზე რომ ვისაუბროთ, ობამა-ღარიბაშვილის აუდიენციაზე მინდა გკითხოთ, ეს დაინტერესება ქვეყნის გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარეობს?***

— რასაკვირველია. ამის გამო მოხდა შეხვედრა და დაინტერესება. ახლა ჩვენმა ხელისუფლებამ ეს დაინტერესება ეფექტურად უნდა გამოიყენოს.

***— ვერ იყენებს? სუსტ რგოლს სად ხედავთ?***

გაგრძელება მე-5 გვერდზე

# ვაჟა ოთარაშვილი: ქართულ კულტურას პატრონი არ ჰყავს!“

შორენა კოწოწაშვილი

**რა საფრთხეებზე ხუჭავს თვალს ხელისუფლება, რატომ უნდა გასამართლდეს კულტურის მინისტრი გურამ ოდიშარია და რამდენად არის მოქმედი საარჩევნო გარემო დემოკრატიული და სამართლიანი არჩევნების ჩატარების გარანტი? ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს მწერალ ვაჟა ოთარაშვილთან.**

***— ბატონო ვაჟა, რამდენად მნიშვნელოვანია დღეს რუსეთ-საქართველოს შორის მოლაპარაკებები? მოსკოვში საქართველოს დიასპორის წარმომადგენელი ხუბუტია მნიშვნელოვნად მიიჩნევს ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის ნორმალიზებაში კულტურის მუშაკთა ჩართვას. აგვისტოს ომიდან და იმ მოვლენებიდან გამომდინარე, რაც დღეს უკრაინაში ხდება, რუსეთთან ურთიერთობის დათბობა შესაძლებელია?***

— ვფიქრობ, დიალოგს აზრი აქვს ნებისმიერ შემთხვევაში, მით უფრო ისეთ შემთხვევაში, როდესაც ჩვენი მოწინააღმდეგე ჩვენზე გაცილებით ძლიერია, მე ვიტყოდი, ათი თავით. ეს რაც შეეხება სამხედრო ძლიერებას, თორემ სულიერი ძლიერებით ქართველზე ძლიერი არავინ მიმაჩნია. უკრაინის მოვლენებს მე ცოტა სხვა ინტერპრეტაციას მივცემდი. ჩემი კეთილი სურვილი იქნებოდა, რომ ვთქვათ, საქართველოს მთავრობას გარკვეულწილად ეს გაეთვალისწინებინა თავის მომავალ მოქმედებაში. რუსეთის მიმართე. ერთი. უკრაინის მომავალი ზოგადად, მაგრამ კონკრეტულად ყირიმის მოვლენები, როდესაც რუსეთი თავის იმპერიული მიწა-წყლის ნაწილს, ასე ვთქვათ, უკან იბრუნებს, საქართველომ შეიძლება გამოიყენოს ასე: საქართველოს მთავრობამაც დააყენოს იმავე ევროპის და საერთოდ, მსოფლიო დემოკრატიული ინსტიტუტების წინაშე, ეს იქნება გაერო თუ სხვა, თავისი ისტორიული მიწა-წყლის დაბრუნების საკითხი. ოდესმე რომელიმე მთავრობას გაუჟღერებია ეს საკითხი ამ 22 წლის მანძილზე, რომ ტაო-კლარჯეთი, ლორე-ტაშირი, ჰერეთი, დღეს რომ საინგილოს ეძახიან და პლუს ჩვენ თვალწინ მომხდარი აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ოკუპაციის შედეგად მიღებული მიწა-წყალი, რომ ეს არის ისტორიული საქართველოს ტერიტორია, მე ვამბობ, ერთიანად. ერთიან ისტორიულ საზღვრებში, რასაც წერდა ჩვენი დიდი ისტორიკოსი ივანე ჯავახიშვილი. შეიძლება, ზოგს ეს უტოპიად მოეჩვენოს. ეს აუცილებელია იმიტომ, რომ უფალი გეუბნება, ითხოვდეთ და მოგეცემათ. რომელიმე ხელისუფლებას მოუთხოვია?! ოფიციალური განცხადება ყოფილა, რომ ნამდვილად ჩვენია ჰერეთი, ლორე-ტაშირი და ა.შ. აი, ასეთი პარალელები უნდა გააკეთონ თუ რუსეთი თავის ისტორიულ მიწა-წყალს იბრუნებს, ასეთივე ისტორიული მიწა-წყალია სამაჩაბლო და აფხაზეთი. სამაჩაბლოში ოსები შემოვიდნენ სადღაც მე-19 საუკუნის დასაწყისიდან. აფხაზეთს რაც შეეხება, ადიღეურ ტომს, საუკუნე-ნახევარია, რაც შემოსულები არიან. ეს არის უბედურება, რომ მოდიან მსოფლიოში მთავრობები, ფულით და გაუნათლებლობით ანუ მსოფლიოს მასობრივად მოევლინა ფულიანი და გაუნათლებელი მთავრობა. ამ ფერხულს ჩვენ ვერ დავუპირისპირეთ ქართული განათლება, ინტელექტი, ის ტრადიციული სიბრძნე, რაც ქართველ კაცს გააჩნდა და მსოფლიო ფერხულს ავყევით. ჩვენ როდესაც სხვას ვაკრიტიკებთ, უნდა ვიცოდეთ, ჩვენი ქვეყნის ინტერესებს სად ვითვალისწინებთ. რაში გავითვალისწინეთ ჩვენი ინტერესები. ახლა წამოვიდა ეს შეთავაზება პუტინის მხრიდან, რომელიც გააჟღერა, თუ არ ვცდები, ოლიმპიადაზე, შევხვდები საქართველოს პრეზიდენტსო. შეხვდეს, ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ. მე, პირადად, ამ შეხვედრისგან დიდი შედეგს არ ველი. ცდა ბედის მონახევრეა, რატომ არ უნდა შეხვდეს?! მაგაზე უარესებს არ ხვდებიან? თუ ვინმეს ჰგონია, რომ თურქეთს საქართველოს ნაკლები მიწები აქვს მიტაცებული, ან სომხეთს და აზერბაიჯანს, ძალიან ცდება. ჩვენ ხომ ვხვდებით აზერბაიჯანის, სომხეთისა და თურქეთის პრეზიდენტებს, რატომ არ უნდა შევხვდეთ რუსეთის პრეზიდენტს?! ამას წინათ პრეზიდენტი მარგველაშვილი სომხეთის პრეზიდენტს შეხვდა. ლორე-ტაშირი არის ჩვენი ისტორიული მიწა-წყალი. ეს იყო ქართლის სადროშოს ერთ-ერთი ფლაგმანი, დღეს რომ სომხეთისაა. მაშინ არც სომხეთის პრეზიდენტს შევხვდეთ. პუტინს ასე, წითელი გოჭივით ნუ გამოვყოფთ.

***— ანუ დამპყრობლისა და აგრესორის რანგში უნდა მოვიხსენიოთ მეზობელი სომხეთისა და აზერბაიჯანის პრეზიდენტები, ამაზე მიანიშნებთ? იმავე თურქეთს დღეს საქართველოს კეთილ მეზობლად მოიხსენიებენ.***

— საქართველოსთვის კეთილი მეზობელი არ არსებობდა არც ერთი ისტორიული პერიპეტიის დროს. ჭაბუას სიტყვებით რომ ვთქვა, საქართველო იყო და არის ობოლი ერი. არასდროს საქართველოს კეთილი მეზობელი არ ჰყავდა. ამიტომაც ჩვენ ასე ნუ შევხედავთ, თურქეთი კეთილი მეზობელია, რუსი — ავი. ისინი არიან ჩვენი მეზობლები, რომელთაც საქართველოს მიმართ თავისი ინტერესები აქვთ. მეზობლების დიფერენციაცია კეთილ და არაკეთილ მეზობლებად, მცდარია. პოლიტიკაში არსებობს ინტე-



რესები და თუ შენი პოლიტიკური მრუდე ამას არ აყოლე, დაიღუპები, ან მიწებს ჩამოგაჭრიან, ან ზღვას წაგართმევენ. ამიტომაც სტრატეგიულად, საქართველოს წინა ხელისუფლების მსგავსად, ეს მთავრობაც შეცდომას უშვებს, რომელიც, სხვათა შორის, პრორუსული ორიენტაციის იყო და კაგებეშნიკებით სავსე. სააკაშვილიც აკადემიაში გამოზრდილი ვირთხაა და არა დასავლური ორიენტაციის. სააკაშვილი ამქვეყნიდან ისე წავა, რომ იქნება ჩვეულებრივი კაგებეს აგენტი. უკრაინა მისთვის, როგორც აგენტისთვის, არის სამშობლო. ამიტომაც ის სწორედ უკრაინაში მიავლინეს. არ იფიქროთ, რომ მიშა იქ უკრაინელი ხალხის სიყვარულით ჩავიდა. ის ამჯერადაც დავალებას ასრულებს. სპეცსამსახურის ჩინოვნიკები ძალიან კარგად ხვდებიან იმას, რასაც მე ვამბობ.

***— პოლიტიკოსების ნაწილი მიიჩნევს, რომ დღეს თურქულ ანექსიაზეც უნდა ხდებოდეს ყურადღების გამახვილება, რადგანაც სახეზეა ეკონომიკური, კულტურული ექსპანსია და ა.შ. რატომ არის ასე დიდწილად დაკმაყოფილებული თურქული ინტერესები საქართველოში?***

— მომწონს, როცა ამ საკითხზე ვინმე ხმას იღებს. კულტურის მინისტრის ყოფილი მოადგილე მარინე მიზანდარი დღეს რომ დიდ ოპოზიციონერობას თამაშობს, ქაქანებს და ერთ ამბავშია, დაახლოებით ერთი წლის წინ ბათუმში განცხადებას აკეთებდა, რომ დაცული უნდა იქნეს თურქული კულტურის ძეგლები, რომ აზიზიეს მეჩეთი უნდა აშენდეს და ა.შ. ანუ ის აზიზიეს მეჩეთის მხარდამჭერი იყო, დღეს გულანთებულ პატრიოტად გვაჩვენებს თავს იმიტომ, რომ თანამდებობიდან მოხსნეს. ასეთი განცხადებების გაკეთება, მით უმეტეს, კულტურის სფეროში, არ შეიძლება. რუსული კულტურა, როგორც მართლმადიდებელი ქვეყნის კულტურა, სომხურ, აზერბაიჯანულ და თურქულ კულტურებთან შედარებით, ყველაზე ახლოს არის ქართულთან, იმიტომ რომ რუსეთი არის მართლმადიდებელი ქვეყანა. ამიტომაც ფასეულობები და კულტურული ღირებულებები, ტრადიციები და ეროვნული ღირებულებები ქართველისა და რუსის უფრო ემთხვევა, ვიდრე ქართველისა და თურქის, ქართველისა და სომხეთის ან ქართველისა და აზერბაიჯანელის. ამიტომაც რუსეთში მტრის და თურქეთში მოყვრის დანახვა ტყუილია. რა დატვირთვა აქვს თბილისში ალიევის და ან თუნდაც ბუშის ქუჩას?! ილიას, ერის მამის, ძეგლი თბილისიდან 15 კმ-ში ნაგავშია დადგმული და ნაგვისგან ვერ გაუწმენდიათ. მსგავს რაღაცებს პირსისხლიანი ბოლშევიკები იყენებდნენ ინტერნაციონალიზმის დროშის ქვეშ. ამიტომაც დღეს აუცილებელია რუსეთთან ურთიერთობის დათბობა. დღეს მიდის მსოფლიო გადანაწილება რუსეთისა და ამერიკის მიერ. ევროპა მესამე მოთამაშედ არის შემოსული, რომელიც ამერიკის „მოტეხას“ ცდილობს. ამ თამაშში ჩვენ სწორი სტრატეგია უნდა ავირჩიოთ, რომ როგორც სახელმწიფო, გადავრჩეთ. უნდა ვეძებოთ საერთო ღირებულებები, რომელიც ერს გადაარჩენს. წარსულთან ისტორიული პარალელები უნდა გავავლოთ. ყველას პატივს ვცემ, მაგრამ საქართველო ქართველებმა უნდა გადაარჩინონ. მას რომელიმე მეზობელი ვერ გადაარჩენს. ზოგი მიწებს წაართმევს, ზოგი რას მოითხოვს და ა.შ.

***— ამ კონტექსტში უნდა განვიხილოთ სომხების მხრიდან ეკლესიების დათმობის საკითხი, რომელიც ბოლო დროს გააქტიურდა?***

— რატომ ჩვენი კულტურის ვაი მინისტრი — ოდიშარია, რომელიც თვალებგაბრწყინებული და ლაბაბდამშვენებული მოგზაურობს, ამავე დროს, სამარცხვინო განცხადება გააკეთა თქვენი გაზეთის საშუალებით კულტურის სამინისტრომ, რომ მილიონ ლარამდე თუ უფრო მეტი, ბიუჯეტში უკან შეიტანა. იმის მაგივრად, რომ დაეფინანსებინა კულტურის სფეროს პროექტები, ოდიშარიამ ფული ბიუჯეტს უკან დაუბრუნა კულტურული პროექტებისთვის გამოყოფილი თანხა, არადა, კულტურის სფეროს წარმომადგენლები სულს ღაფავენ. საერთოდ, გურამ ოდიშარია, როგორც საჯარო მოხელე, რომელმაც ვერ გაამართლა და ანტიქართული კულტურის ქმედებებს ეწევა, საერთოდ ჩამოსაშორებელია ამ თანამდებობიდან. ამავე დროს, მისი საქმიანობა შესაბამისმა საგამოძიებო ორგანოებმა უნდა გამოიძიონ. ეს რომ ნორმალური სახელმწიფო იყოს, გურამ ოდიშარია უკვე ციხეში უნდა იჯდეს, იმიტომ რომ ამდენი კულტურის მუშაკი გააუბედურა. ეს შეეხება იგივე ცხინვალის თეატრს, კინოცენტრის საქმიანობას, თეატრალურ ინსტიტუტს და რომელი ერთი ჩამოვთვალო. სფერო არ დარჩა, ამ კაცს რომ არ დაენგრია. დღევანდელი კულტურის მინისტრი გოკა გაბაშვილზე და ნიკა რურუაზე უფრო დიდი თემურლენგი აღმოჩნდა. მას კულტურის არაფერი გაეგება, ანდა სპეციალურად ასრულებს ქართული კულტურის დამანგრევლის როლს. აქეთ რომ გვიყენებენ წინადადებებს, რატომ ვერ მოახერხა კულტურის სამინისტრომ, ჩვენი კულტურული ძეგლების გადარჩენის საკითხი დაეყენებინა საერთაშორისო ინსტიტუტების დონეზე და მიეღწია იმისათვის, რომ ქართველი სპეციალისტები, უცხოელ სპეციალისტებთან ერთად, იქნებ ჩასულიყვნენ ქართული კულტურის ძეგლების რესტავრაციაზე; ერთობლივი საერთაშორისო პროგრამები შემუშავებულიყო მსოფლიო დონის კულტურული ძეგლების გადარჩენის თაობაზე. ეს რატომ ვერ მოახერხა კულტურის სამინისტრომ?! რომელიმე მთავრობის სხდომაზე დასმულა ასეთი მნიშვნელოვანი კითხვა?! ან თუ სომხები ზრუნავენ თავისი ვითომ ისტორიული ძეგლების არსებობაზე საქართველოში, მივიდა ჩვენი საქმე ბოლომდე, რომ ლორე-ტაშირი ქართული ძეგლებით არის მოფენილი?! რამე კომისია გამოიყო ან დაფინანსება გაეზარდა მეცნიერებათა აკადემიას ან შესაბამის ინსტიტუტებს, რომლებსაც ევალებათ აღნიშნული საკითხების შესწავლა? ცნობილი არმენოლოგი, მეცნიერი, ალექსანდრე აბდალაძე, რომელმაც ძველი სომხურიც იცის, ახალიც, 20-ზე მეტი წიგნის ავტორია და შესანიშნავად აქვს გაშუქებული სომხურ-ქართული პრობლემები. ერთხელ არ დაუძახია არც მთავრობას, არც აკადემიას, რომ რჩევა ეკითხათ — ეს ისტორიული ძეგლები, რომლებიც სომხეთის ტერიტორიაზეა და ჩვენ გვართმევენ, ან ის ისტორიული ძეგლები, რომლებსაც აქ ითხოვენ სომხები, მართლა მათია თუ არა? მაინტერესებს, ამას ვინმე იკვლევს? რომ გამოვიდნენ და გამოაცხადეს, იცით, ჩვენი ძეგლები, რომლებიც საბჭოთა დროს თურმე წაართვეს და ქართველებს გადასცეს, ეს ხომ ყალბია და თვალის ახვევაა ქართველი კაცისთვის. თქვან, რომელ ქართველ არმენოლოგს შეეკითხნენ, ეს მართლა სომხური ეკლესიებია თუ ქართული.

***— მოდით, ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმასა და მოახლოებულ არჩევნებზე ვისაუბროთ. რეფორმაზე საუბრისას ჯავახეთიდან მოსალოდნელ საფრთხეზეც გაკეთდა აქცენტი. ცვლილებების შეტანის შემდგომაც შეიცავს თვითმმართველობის კანონი საფრთხეებს?***

— კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ, ვფიქრობ, ძალიან დიდი საფრთხეების შემცველია. მე მგონი, ამას სპეციალურად აკეთებენ. ეროვნული ღირებულებების გაფრთხილების კუთხით საქართველოში არაფერი კეთდება. სამწუხაროდ, არც ერთი კანონი არ იქმნება ეროვნული იდეოლოგიის საფუძველზე. დღეს ქვეყანაში ხელისუფლებაში ეროვნული მოღვაწეც კი არ გაგვაჩნია. ამიტომაც გასაკვირი არ არის, რომ ასეთი კანონი მივიღეთ ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ. უფრო მეტს გეტყვით: კანონზე უფრო უარესია ის, რომ დღესაც იგივე ყალბი საარჩევნო სიებია. სამწუხაროდ, ისევ კაციტაძის სიებით უნდა ჩატარდეს არჩევნები. აქცენტს კანონზე ვაკეთებთ, მაგრამ გვავიწყდება, როგორი კანონიც არ უნდა გვქონდეს, თუ ყალბი სიები იქნება, რა არჩევნებზეა საუბარი. როდესაც მილიონზე მეტ კაცს უმატებენ საარჩევნო სიებს, რა სამართლიან და დემოკრატიულ არჩევნებზეა ლაპარაკი. მეორე საკითხი: ადგილობრივი არჩევნები მოდის, საქართველოს მოქალაქეების ინტერესებს ვინ ითვალისწინებს. საქართველო მოიცვა საპროტესტო ტალღამ. აგერ მეშახტეები გაიფიცნენ, საყდრისის პრობლემა, ხულოში ხალხი აპროტესტებს. ვიღაც ელოშვილზეა თურმე დამოკიდებული საქართველოს ენერგეტიკული განვითარება და მისი ინტერესებით უნდა იმოქმედოს ქვეყანამ. რატომ მოიყვანა კალაძემ ასეთი მოადგილე, ვინ არის ეს ელოშვილი, რა დიდი დამსახურება აქვს?! ეს ხალხი ხალხის მოთხოვნას არაფრად აგდებს. აჭარამ უამრავ შემოტევასა და მეწყერს გაუძლო, მაინცდამაინც გინდა, გვირაბითა და ელექტროსადგურებით დაანგრიო ეს ულამაზესი კუთხე? ეს ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე ელოშვილი არის მოღალატედ გამოსაცხადებელი. „ქართული ოცნება“, რაც დრო გადის, ემსგავსება ნაციონალურ ბანდას. ერთადერთი, მასობრივი დაჭერები და დაპატიმრებები არ წასულა, თორემ დანარჩენი ყველაფერი ჩვეულებრივად ისევ ისე მიმდინარეობს. ცხოვრება ყოველდღიურად უკან-უკან მიდის. თუ არა არჩევნების გაყალბება, მიკვირს, სხვანაირად „ქართულმა ოცნებამ“ როგორ უნდა გაიმარჯვოს. ამასთან, ყველა ვხედავთ, რომ არათანაბარია საარჩევნო გარემო პოლიტიკური ძალებისთვის. „ქართულ ოცნებას“ აწყობს, რომ პოლიტიკურ ასპარეზზე ორი მოთამაშე იყოს, ისეთი კრიმინალი მოთამაშე, როგორიცაა ნაციონალური მოძრაობა. მისი ნალები დღეს აუცილებლად ციხეში უნდა იჯდეს. მათ წესიერი მოთამაშის გამოჩენა პოლიტიკურ არენაზე აღარ აწყობთ. ამიტომაც ამ ფულებს მარტო თვითონ ინაწილებენ. პლუს ამას, საარჩევნო გარემო „ოცნებამ“ და ცრუ ოპოზიციამ თავის თავზე მოირგო.

# გია მაისაშვილი: მთავრობაში ნეპოტიზმი ყვავის“

დასაწყისი მე-4 გვერდზე

— სუსტი რგოლია მთლიან მმართველობაში, რადგან მთავარი სტრატეგია არ არის ჩამოყალიბებული. სამოქმედო გეგმა არავინ იცის. ვერავინ ვერ იწინასწარმეტყველებს, როგორ განვითარდება მოვლენები. ეს გაურკვევლობა ყველაზე დიდი პრობლემაა. საგარეო პარტნიორებისთვის, ინვესტორებისთვისაც და შიდა პროცესებისთვისაც. ყველაზე მთავარი, რაც ქვეყნის გაჯანსაღებას უწყობს ხელს, არის ღია პოლიტიკური პროცესი. პოლიტიკაა თანამედროვე გარემოში ერთადერთი მექანიზმი, რომელიც ქვეყნის პრობლემებს წყვეტს. ახლა საქართველო ამ გეოპოლიტიკური გარემოდან გამომდინარე სწრაფად დაწინაურდეს. საქართველოს შეუძლია, ევროკავშირის ფრთებს ქვეშ აღმოჩნდეს.

***— რა არის ამისთვის საჭირო?***

— ხელისუფლებამ უნდა შექმნას ის პირობები, რომელიც თანამედროვე ქვეყანას სჭირდება. რა პირობებია ეს? მოახდინოს სწრაფად ჰარმონიზაცია ევროპის კანონმდებლობასთან, რომ ეფექტურ მთავრობად, ღია და გამჭვირვალე მმართველობად გამოჩნდეს ეს ხელისუფლება. ევროპელები დიდ რისკზე უნდა წავიდნენ, რომ ჩვენ გვენდონ, რომ ეს ფუნქციონირებადი სახელმწიფოა, რომ ეს სახელმწიფო ერთ პიროვნებაზე დაფუძნებული კი არ არის, არამედ ძირითადი აქ სისტემა, დემოკრატიული მმართველობაა. რომ ამ სახელმწიფოს შეუძლია ინსტიტუციონალური განვითარება, რომ ამ სახელმწიფოს ჰყავს ჯანსაღი სამოქალაქო სექტორი, რომ ამ სახელმწიფოსთვის ნდობა შეიძლება, რომ ერთი პიროვნების წასვლით ან მოსვლით არაფერი შეიცვლება. ეს არის ყველაზე მთავარი. ხელისუფლებამ ფართოდ უნდა გაშალოს ნიჭიერებისთვის კარი და არა ნეპოტიზმისთვის. საქართველოში ინსტიტუციონალიზმი უნდა დამკვიდრდეს. ეკონომიკური წინსვლა, სოციალური საკითხების გადაწყვეტა უნდა დაიწყოს. ასევე გარემოს დაცვას უნდა ენიჭებოდეს ყურადღება. მმართველობა უნდა იყოს ღია. მმართველობაში ჩართული უნდა იყოს საზოგადოების სხვადასხვა ფენები. ეს არის ე.წ კარგი მმართველობა. როდესაც ამ გზას დავადგებით და ამას ნახავენ ევროპელები, მაშინ ნდობა მეტი იქნება. მოსაწონია რიტორიკა, რომელიც რუსეთის მიმართ შეიცვალა. არ გვჭირდება ისტერიკული რიტორიკა, რომელიც წინა ხელისუფლებას ჰქონდა. ჩვენი მიზანი უნდა იყოს თანმიმდევრული, მიზანმიმართული, დარბაისლური კურსი, ევროინტეგრაციისკენ სვლა. ამ ყველაფრით კი ჩვენ შეგვიძლია, პლაცდარმი გავხდეთ როგორც ეკონომიკური, პოლიტიკური, ასევე კულტურული თვალსაზრისით. საქართველოს პრეფერენციული დამოკიდებულება აქვს ევროპაში. ეს გვაძლევს დიდ შანსს, რომ დიდი ბიძგი მოხდეს განვითარების. ამაზე ლაპარაკია საჭირო. ამის შეგნება არ აქვს ხელისუფლებას. დღეს ხელისუფლება ფაციფუცობს. დღევანდელობით ცხოვრობს, პატარა ხანძარი თუ გაჩნდება, მისი ჩაქრობით არის დაკავებული და არა ფუნდამენტური ცვლილებებით. საქართველოს შეუძლია, ახალი ეკონომიკის ცენტრი გახდეს, როგორც ახლო აღმოსავლეთში, ასევე შავი ზღვის აუზის რეგიონში. ახალი ეკონომიკა განახლებად ენერგიასა და ეკოლოგიურ განვითარებაზეა დაფუძნებული.

***— ბიზნესმენებს პრემიერ-მინისტრმა პირობა მისცა, რომ მათი თითოეული თეთრის გარანტორი იქნება. რას იტყვით ახალ ინვესტორებზე, რა შეიძლება, მიმზიდველი იყოს მათთვის?***

— ეს აფრიკული მიდგომაა. ქვეყანა და ქვეყნის ინსტიტუციური განვითარება უნდა იყოს გარანტორი. ერთი პიროვნება ვერ იქნება ვერაფრის გარანტორი. ქვეყნის სტრატეგიული განვითარება უნდა გამოკვეთოს ხელისუფლებამ და ამ ხედვის ირგვლივ უნდა მოხდეს ინვესტიციის მოზიდვა. ტროტუარზე და შუა ქუჩაში შენობის აშენება არ არის ინვესტიციების შემოსვლა და ინვესტორის შემოსვლა. ეს ინვესტიცია ახალ ეკონომიკას ვერ შექმნის. ჩვენ უნდა გამოვკვეთოთ ჩვენი პრიორიტეტები. განახლებადი ენერგიის ფორპოსტი საქართველო უნდა იყოს, რომ გრძელვადიანი ინვესტიციები უნდა მოვიზიდოთ. ამისთვის კი მკაფიო ხედვის ჩამოყალიბებაა საჭირო. საქართველო 10-15 წელიწადში ყველაზე განათლებულ ერთა შორის უნდა ჩადგეს. ამისთვის განათლების სისტემა მოწინავე უნდა იყოს. ამის გარეშე ყოველგვარი ინვესტიცია და მისი განვითარება ზღაპარია. საქართველოს აქვს ამ ყველაფრის შანსი აქვს, მთავარია, ხელისუფლებამ რეალური გეგმა შეიმუშაოს და ამ სტრატეგიის მიხედვით იმოქმედოს, რათა ეს ყველაფერი განხორციელდეს.

# აკაკი ასათიანი: რუსეთი ჩვენთვისაც მოიცლის“

ნონა ცაბაძე



## ინტერვიუ ტრადიციონალისტ აკაკი ასათიანთან

***— ბატონო აკაკი, მოდით, ყირიმის თემით დავიწყოთ საუბარი. ვნახეთ, რომ დასავლეთის დიდი წინააღმდეგობის და სანქციების მიუხედავად, რუსეთმა მაინც თავისი გაიტანა და ყირიმში რეფერენდუმი ჩაატარა. როგორია თქვენი შეფასებები, რა შედეგები შეიძლება რომ დაიდოს?***

— რომელ სანქციებზეა საუბარი? სად იყო სანქციები? იყო მუქარა სანქციების და უბრალოდ ამ ოჯახებს აუკრძალეს ამერიკაში და დასავლეთში შესვლა და ეს არის სანქციები?! იმათ დარდი არა აქვთ. არანაირი სანქციები არ არის, სამწუხაროდ. თქვენ თუ გაეცანით ევროსაბჭოს რეზოლუციას, იქ დაახლოებით ასეთი რამ წერია — შეიძლება გავბრაზდეთ, ძალიან გვეწყინება, ძალიან სამწუხაროა... აი, ეს არის სულ და მათგან მეტი არც იყო მოსალოდნელი. ერთხელ და სამუდამოდ, ჩვენც, უკრაინელებმაც და ყველა სხვა ხალხმა, ვინც ამ მდგომარეობაშია, თავი უნდა დაანებოს ილუზიებს, რომ რაღაცა მოხერხდება, რომ ჩვენი გულისთვის ვილაცა დაიწყებს მესამე მსოფლიო ომს. აგერ ბუდაპეშტის ხელშეკრულება და გარანტიები ჰქონდა უკრაინას და მათ შორის ერთ-ერთი რუსეთი იყო, ვინც ხელს აწერდა. გარანტიებიო, ეწერა და რა გარანტიებია? არანაირი! ვნახეთ, რომ ჩატარდა რეფერენდუმი, მას დიდი მხარდაჭერაც ექნება და სხვათა შორის, ეს მხარდაჭერა ობიექტური იქნება. ახლა თავის მოტყუების და ილუზიების დრო არ არის. ყირიმში ხალხი მართლა თვლიდა თავს რუსეთის განუყოფელ ნაწილად. თუმცა ამით არ მთავრდება ეს ყველაფერი და ამით მხოლოდ იწყება. ჩვენც და სხვებმაც უნდა იფიქრონ მომავალში უფრო რეალისტურ მიდგომებზე. მე ვერ წარმომიდგენია, რომ დასავლეთში ვინმეს არ ესმოდა, რა მოჰყვებოდა აი, იმ შეთანხმების დარღვევას, რასაც იანუკოვიჩთან მიაღწიეს ოპოზიციონერებმა ევროპის შუამავლობით. რატომ იყო იმის შეცვლა საჭირო, ან რატომ არ ეგონა ვინმეს, რომ ამას ეს მოჰყვებოდა, ყირიმის გასვლა კი არა, პირიქით, ყირიმის რუსეთთან მიერთება. ჩვენ თვითონ ვნახავთ უკრაინის აღმოსავლეთის ოლქებში კიდევ რა იქნება ამის მერე. საინტერესოა, ეს უმეცრებაა თუ შეგნებული მოქმედებები.

***— როგორც ჩანს, რუსეთს საერთოდ არ ანაღვლებს ვენეციის კომისიის დასკვნა, იმის თაობაზე, რომ ეს რეფერენდუმი უკანონოა...***

— როგორც ჩანს, კი არა, ასეა და ჩვენ ამაზე დროს ნუ დავკარგავთ, რომ ვენეციის კომისიის დასკვნამ რუსეთი შეიძლება რაღაცნაირად შეაშინოს. რა, ვინმეს მანმადე წარმოედგინა, რომ ეს შეაშინებდა რუსეთს? გამოვიდა გუშინ გაეროში წარმომადგენელი და გაზეთ პრავდაზე ანგლობდა, რომ პრავდაში სიმართლე არ ეწერა და ასე შემდეგ... ეს არის უსუსურთა ქილიკი, მეტი არაფერი. ძალიან ვწუხვარ, რომ ამ ყველაფერმა ასეთი სახე მიიღო. რა ვიცი, ეს კომპეტენტურობის პრობლემაა თუ შეთქმულების თეორიის მიხედვით განზრახ მოქმედებენ, არ ვიცი. ის რომ უკრაინელი ხალხი არავის ედარდება, ცხადია. ყველაზე ცუდი კი ის არის, რომ უკრაინის სათავეშიც ისეთი ხალხი მოექცა, რომლებიც ან ავანტიურისტები არიან, ან იდიოტები! ეს არის ფაქტი.

***— ფაქტია, რომ უკრაინა ყველანაირად წაგებული რჩება ამ სიტუაციაში და კიდევ რა იქნება, კაცმა არ იცის...***

— ჯერ ერთი, უკრაინას ისეთი მმართველები და პოლიტიკური ელიტა არ უნდა ჰყავდეს, რომელიც სამ თვეს ვერ მოითმენს. იანუკოვიჩი ნამდვილად წააგებდა იმ არჩევნებს. ქვეყნის მთლიანობა ვერ შეინარჩუნეს სამი თვის გულისთვის. რა ცეცხლი ეკიდებოდათ, საინტერესოა, ერთი. ვილაცა დეგენერატი იარუშის ჭკუაზე რომ ივლის 46 მილიონი კაცი. შედეგიც ამიტომ არის ასეთი.

***— ეს იყო გაუთვლელი ნაბიჯები თუ მიზანმიმართული პროვოკაცია?***

— აი, ეგ არ ვიცი. საკითხავი სწორედ ეგ არის.

***— ბატონო აკაკი, რაც შეეხება ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს, ვემზადებით ადგილობრივი არჩევნებისთვის. რას ელოდებით ამ არჩევნებისგან? უკვე სახელდება მერობის კანდიდატები, უმრავლესობის კანდიდატი დიდი მოწონებით ვერ სარგებლობს... ოპოზიციამ უამრავი ნაკლი გამოუძებნა მას, აქვეა ნარმანიას გამარჯვების შანსი?***

— ოპოზიციას თუ არ მოსწონს, ეს მათი პრობლემაა, ეტყობა ოცნებას მოსწონს და ამიტომაც დაასახელა. ასეთი რამ მხოლოდ საქართველოში ხდება, რომ რომელიმე პარტია დაასახელებს კანდიდატს, იტყვის, მოგება მინდაო და აქედან საყვედურია — მოგება რატომ გინდაო? ასეთი კომიკური რამ მარტო ჩვენთან შეიძლებამ რომ მოხდეს. მოგება უნდათ, კანდიდატს ასახელებენ და ეცდებიან, რომ მოიგონ. ეს ბუნებრივია. დანარჩენებმა კი უნდა იფიქრონ თავის პრობლემებზე, როგორც ჩანსმ ოპოზიციისაგან ერთიანი კანდიდატი არ იქნება. ასეთი რამ პრინციპში სულ ერთი-ორჯერ მოხდა საქართველოში. მთავარია ჩატარდეს ეს არჩევნები. ჩვენ ახლა რადაც არ უნდა დაგვიჯდეს იმ ასოცირების ხელშეკრულებამდე არანაირი პრობლემები არ უნდა შევქმნათ. ვიფიქროთ იმაზე, რა გაგრძელება შეიძლება ჰქონდეს ამ უკრაინის საქმეებს, იმიტომ, რომ ჩვენ ერთი რამე გავითვალისწინოთ, პუტინს შიდა პროპაგანდისთვის, შიდა მხარდაჭერისთვის სჭირდება საგარეო წარმატება. თუ გავითვალისწინებთ იმას, რა ცნობიერებაც არის რუსეთში, ეს წარმატება შეიძლება იყოს, თუნდაც ილუზია საბჭოეთის აღდგენის. ამიტომ უკრაინის პროცესი ასე არ დამთავრდება, აუცილებლად გაგრძელდება და ჩვენც აუცილებლად შეგვეხება.

***— რა ფორმით და რა კუთხით შეგვეხება? სულ არის ამაზე საუბარი, თუმცა კონკრეტულად ვერავინ ვერაფერს ამბობს...***

— ეს რომ ვიცოდე, კარგი იქნებოდა. ნამდვილად არ ვიცი, რა ფორმით და რა კუთხით, თუმცა აუცილებლად შეგვეხება.

***— ანუ იმის თქმა გინდათ, რომ ჩვენთვისაც აუცილებლად მოიცლის რუსეთი?***

— ჩათვალეთ, რომ მოცლილია, ოღონდ რა ფორმას და რა სახეს მიიღებს ეს ყველაფერი, მე ამის შესახებ ინფორმაციას არ ვფლობ. ნამდვილად არ ვიცი, რა სიურპრიზს უნდა ველოდოთ, მიხვედრაც მიჭირს. ეს კიდევ სხვა საკითხია, მთავარია, რომ ჩვენ ისტერიკების და წივილ-კივილის გარეშე მშვიდად ვიაროთ ჩვენი გზით. თან ვიფიქროთ პრობლემის მოგვარების გზებზე. ჩვენ, სულ მინიმუმ, უშუალო კონტაქტი რუსეთის ხელისუფლებასთან გვჭირდება, სხვაზე რომ აღარაფერი ვთქვათ.

***— რატომ აჭიანურებს ჩვენი ხელისუფლება ამ დიალოგის დაწყებას?***

— ამ სიტუაციაში არა მგონია, რომ ჩვენი ხელისუფლება აჭიანურებდეს. ახლა უფრო რუსეთი შვება ამას. კარასინი-აბაშიძის შეხვედრა გადაიდო კარასინის ინიციატივით, ხომ მართალია?

***— ახლა არ სცალია რუსეთს ჩვენთვის, თუ უბრალოდ გაღიზიანებულია ამ ასოცირების ხელშეკრულების გამო?***

— გაღიზიანებული დიდი ხანია ჩვენზე არის. მოცლით როგორ არ სცალია, ჩვენთვის ყოველთვის სცალია. ის ერთ საქმეს ამთავრებს, მაგრამ პარალელურად ფიქრობს ჩვენზეც. შესაძლოა უკვე გეგმაც აქვს და იმ გეგმის კორექტირებას ახდენს, იმის მიხედვით, თუ როგორ განვითარდება უკრაინაში მოქმედებები. რაღაც უბედურება გვჭირს, ამ ჩვენს ვითომ ექსპერტებს და ვითომ პოლიტიკოსებს დაჩემებული აქვთ, რომ ეს პროცესები საქართველოში განვითარებულ პროცესებს ჰგავს. პირველად ხდება ასეთი რამ, რუსეთი ყირიმს იერთებს, იმას კი არ აკეთებს, რაც აფხაზეთის და ოსეთის შემთხვევაში, დამოუკიდებლობა რომ მისცა, პირდაპირ იერთებს. ასეთი რამ აქამდე არ ყოფილა. ამიტომ სერიოზული საფიქრალია ეს ყველაფერი. ჩვენ ვხედავთ, რომ ჩვენი დასავლელი პარტნიორები, ომახიანი განცხადებების გარდა არაფრის გამკეთებლები არ არიან და იმ განცხადებებსაც კი არ აკეთებენ წესიერად. დააკვირდით, როგორ მობოდიშებით ლაპარაკობენ ქერი, ობამა... ჩვენ პუტინს კი არ ვერჩით, რაიმე პირადი კი არა გვაქვსო, მოკლედ, ბოდიშს იხდიან, იძულებულები ვართ, რაღაც განცხადებები გავაკეთოთო. ჯერჯერობით ასეა და ამას ყველანი ვხედავთ. ჩვენი ომის მიზეზიც სწორედ ეს იყო, ზედმეტი ილუზიები იმის თაობაზე, რომ ვინმე ჩვენი გულისთვის დისკომფორტს შეუქმნის თავის თავს და თავის ხალხს.

***— აგვისტოს ომი ახსენეთ და ამ ბოლო პერიოდში კვლავ გააქტიურდა ეს თემა, ხელისუფლება გაიძახის, რომ მოხდეს გამოძიება, გაგოს ხალხმა ვინ გარბოდა, ვინ რჩებოდა... რისი მომტანია ეს ყველაფერი?***

— ვინ გარბოდა, ვინ რჩებოდა, ეს არის დიდი სისულელე, ჯერ ერთი, ოლიმპიადა იყო მაშინ და ბევრი ოლიმპიადაზე მიდიოდა. უნდა მოხდეს იმის გარკვევა, რამდენად სწორად მოიქცა ჩვენი იმდროინდელი ხელისუფლება. მე ვთვლი, რომ არასწორად მოიქცა და ეს არასწორი მოქმედება რით იყო გამოწვეული? მე ვფიქრობ, რომ უგუნურებით. წარმოდგენა არ ჰქონდა ამ ხალხს არაფერზე. დღესაც ისე ლაპარაკობენ ნაციონალები, რომ კიდევ ვერაფერს ვერ მიხვდნენ. უკრაინა თუ რამეს სწორს შვრება, იმას შვრება, რომ საბაბს არ იძლევა სროლის, თუ რამეს სწორს აკეთებს. შედეგი დაახლოებით იგივეა, მაგრამ ყოველ შემთხვევაში მსხვერპლი მაინც არ იქნება. აქ კიდევ არ ისვენებენ ადამიანები, რომლებმაც ქვეყანა კატასტროფის წინაშე დააყენეს და ხალხს კატასტროფა დამართეს. გამოსაძიებელი თუ რამეა, ეგ არის, თორემ ვინ როდის გავიდა და შემოვიდა, ეს აღარავის აინტერესებს. ჩვენ ვიცით ხოლმე რაღაც წვრილმანებზე თავის გამოდება და სწორედ იმიტომ ვართ ამ დღეში, რა დღეშიც ვართ!

***— თქვენ ხედავთ ამ სიტუაციაში იმის შანსს, რომ მოხდეს აგვისტოს ომის რეალური მიზეზების გამოძიება და დაიდოს სრულყოფილი სურათი?***

— ამ სიტუაციაში არა მგონია, ეს მოხდეს. მე არ ვიცი, საერთოდ რა უნდა დღევანდელ ხელისუფლებას, ის გადართულია ნაციონალებთან უაზრო კინკლაობაზე. ხალხი ამას კარგად ხედავს. რეალურად არ ხდება არაფერი, გარდა ნაციონალებისა და ოცნების კინკლაობისა ტელეეთერებში. მეტი არაფერი! ერთადერთი დასავლეთი შეფუცხუნდა და აჩქარებს ამ ასოცირებას. ისიც რუსეთმა შეაფუცხუნა, თანაც ეს ასოცირება ადვილია მათთვის. ეს არ არის ნატოში მიღება, ან ევროკავშირში. ამ ხნის მანძილზე ერთადერთი დადებითი ეს მოხდა. ისიც ჩვენდა უნებლიეთ. ჩვენი ჩარევის გარეშე.

***— თქვენ ბრძანეთ, მხოლოდ კინკლაობენო. მართლაც რომ დიდია მოსახლეობაში იმედგაცრუება, ალბათ, დამეთანხმებით...***

— დიდია და კიდევ უფრო დიდი იქნება, თუ ასე გააგრძელეს. ხალხში ზოგს ჰქონდა გადაჭარბებული მოლოდინი, ეს კიდევ ცალკე საკითხია. მცირე რაღაცა გაკეთდა, თუნდაც საზოგადოების ჰუმანიზაციის თვალსაზრისით, ასევე სოციალურ საკითხებშიც ნამდვილად გადაიდგა ნაბიჯები, ესეც მნიშვნელოვანია, მაგრამ ფუნდამენტალური და ძირეული ნაბიჯები არ გადადგმულა. მე იმედი მაქვს, რომ ხელისუფლებას აქვს ამის გეგმა და რაღაც მოსაზრებების გამო ამას ჯერ არ ახორციელებს. ყველაზე ცუდი ის იქნება, თუ არც არსებობს ასეთი გეგმა.

***— ეს ყველაფერი მათთვის ცუდ შედეგს ხომ არ აჩვენებს ადგილობრივ არჩევნებზე?***

— მე ვფიქრობ, ადგილობრივში ეს არ მოესწრება, თუმცა რეიტინგის რაღაცა ვარდნა ნამდვილად იქნება. ხალხში ჯერ კიდევ არის იმედი და ხელისუფლება ამას საკმაოდ მოხერხებულად ათამაშებს. საპარლამენტოში ნაძირალები უნდა დაემარცხებინათ, მერე საპრეზიდენტოში უნდა დაემარცხებინათ, ახლა ადგილობრივში აპირებენ დამარცხებას. ეს მუშაობს ხალხში ჯერჯერობით, რომ აი, ნაცები არ დაბრუნდნენ. ამას თუ აპირებენ ორი წლის მერე საპარლამენტოში, მაშინ წარმატება მათ აღარ ექნებათ. ხალხი უკვე სხვანაირად უყურებს ამ ყველაფერს. ამ ქვეყანაში ნაციონალების დამარცხება ამოცანა იმიტომ იყო, რომ ამ ხალხს უკეთესად ეცხოვრა. ნაციონალების დამარცხებას ხელი უნდა შეეწყო ქვეყნის წინსვლისთვის. აი, ეს რის ჩვენი ამოცანა. თუ ამაზე არ გადაერთვება ოცნება, ისინი დიდხანს ვერ შეინარჩუნებენ ხელისუფლებას. მათ თუ ჰგონიათ ნაცებივით ათი წელი იპარპაშებენ, ასე აღარ გამოვა.

გახდომა 5-დან 20 კგ-მდე თვეში
გასუქება 2-დან 5 კგ-მდე თვეში

ნარჩუნდება და უაარყოფოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიური. დიდხანს ინარჩუნებთ სასურველ წონას, შეინარჩუნებთ სტაბილურად შედეგს და საბოლოოდ დაივიწყებთ ამ პრობლემას.

სიმაღლეში ზრდის უახლესი პროგრამები:
სწრაფი და ეფექტური ზრდა 2-დან 25 წლამდე, კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ინდივიდუალურად შედგენილი პროგრამა-დანიშნულებით. კურსის გამეორება შეიძლება ასაკის შესაბამისად. შედეგები 100%-იანია. ქ-ნი ქეთევანი

☎ 577-29-37-41, 247-58-83

# ჯემალ გამახარია: მსოფლიომ ყირიმის პრობლემა აფხაზეთთან და ცხინვალთან ერთად უნდა მოაგვაროს“

გულიკო ბალაძე

### ინტერვიუ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს წევრ ჯემალ გამახარიასთან

*— ბატონო ჯემალ, მოგეხსენებათ, 15-16 მარტის გამარჯვება აფხაზეთის ომის ნათელი წერტილია, როცა ჩვენმა ჯარმა გაიმარჯვა მტერზე. დღეს რა მნიშვნელობას ანიჭებთ ამ გამარჯვებას? მიუხედავად იმისა, მას შემდეგ რუსეთი იმდენად შორს წავიდა, რომ აფხაზეთისა და ცხინვალის პრობლემა მოგვარებულად ჩათვალა და უკრაინასთან კონფლიქტში ჩაება, არის თუ არა ეს გამარჯვება იმის მაჩვენებელი, რომ თუ იბრძოლებ, აუცილებლად გაიმარჯვებ, რაც არ უნდა უთანასწორო ბრძოლა იყო?*

— 15-16 მარტი მნიშვნელოვანია იმით, რომ მიუხედავად დიდი უპირატესობისა, იქ მარტო აფხაზები არ იბრძოდნენ. ჩვენს ახლად ჩამოყალიბებულ არმიას, ფაქტობრივად, რუსეთის შეიარაღებულ ძალებთან უხდებოდა შეტაკება — რუსეთის მიერ კარგად დაგეგმილ და მომზადებულ ოპერაციას ჩვენებმა უპასუხეს არნახული გმირობით. რუსეთის ეს ოპერაცია ჩავარდა და ქართულმა ჯარმა ამ დამოუკიდებლობის პერიოდში, შეიძლება ითქვას, ერთადერთი სერიოზული სამხედრო გამარჯვება მოიპოვა. სხვა გამარჯვებები, სამწუხაროდ, არ ყოფილა. არ ვსაუბრობ ლოკალურ გამარჯვებებზე, რომელიც იყო. მაგალითად, ცოტა მოგვიანებით მოხდა ტამიშის დესანტის განადგურება. ესეც ძალიან მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ 15-16 მარტის მასშტაბის არ ყოფილა. რუსეთის მიერ დაგეგმილ ფართო მასშტაბის ოპერაციას ჩვენებმა დაუპირისპირეს სიმტკიცე, ვაჟკაცობა, გმირობა და, რა თქმა უნდა, სამხედრო ხელოვნება. სხვანაირად იქ ვერ გაიმარჯვებდი. ამ ბრძოლაში განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვის ქართულ არტილერიას, რომელმაც უზარმაზარი ზიანი მიაყენა მოწინააღმდეგეს. მტერი ამის შემდეგ გონს დიდხანს ვერ მოვიდა. ეს იყო ბრწყინვალე გამარჯვება. ეს გამარჯვება ამ თვალსაზრისით ძალიან მნიშვნელოვანია, რაც ჯერ კიდევ კარგად არ არის შესწავლილი არც სამხედრო და არც პოლიტიკური თვალსაზრისით. ეს იმდენად მნიშვნელოვანი და მასშტაბური გამარჯვება იყო და მტერი იმდენად დეზორგანიზებული გახლდათ, რომ ამ ბრძოლას პატარა გაგრძელება რომ მისცემოდა, შეიძლება, კვლავ აღგვედგინა საზღვარი ფსოუზე.



*— თუმცა, ამ შემთხვევაში ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ ბრძოლა არ გაგრძელდა. აღებული სოფლების უკან დაბრუნება ხდებოდა. კონტრშეტევა რომ არ განხორციელდა, მან გადაწყვიტა ომის ბედი?*

— ომის ბედი ბევრმა ფაქტორმა განსაზღვრა. მათ შორის, კონტრშეტევის განუხორციელებლობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი გახლავთ. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ფრონტის ხაზი ჩვენთვის ხელსაყრელი არ იყო. ფაქტობრივად, მთელი ქალაქი მტრის დარტყმის ქვეშ იყო. ქალაქიდან გადიოდი და იქვე იყო ფრონტის ხაზი. ეს მოწინააღმდეგისთვის იყო ხელსაყრელი. ამბობენ, რომ იქ ჩვენს კონტრშეტევას რუსები უშლიდნენ ხელს. 15-16 მარტის ბრძოლების დროს იქ რუსები დამარცხდნენ და გარბოდნენ აფხაზებთან ერთად, თანაც, რა სალაპარაკო ჰქონდათ რუსებს, რომლებმაც ყველა ხელშეკრულება დაარღვიეს, რაც მანამდე იყო, მათ შორის, მოსკოვის ხელშეკრულება, რომელიც გაგრასთან დაკავშირებით დაიდო. იქ გაგრა აიღეს. გაგრის აღების შემდეგ კიდევ იყო ერთი შემოტევა სოხუმზე, სოფლების შრომისა და ახალშენის მხრიდან 1992 წლის ნოემბერში. ამ ყველაფერს რუსები აკეთებდნენ. მათ სალაპარაკო არაფერი ჰქონდათ. ჩვენ, როგორც მინიმუმ, შეგვეძლო, ფრონტის ხაზი ახალ ათონამდე მაინც გადაგვეწია. შედეგად მტერი ვერ შეძლებდა ვერც სოხუმის დაბომბვასა და ვერც სხვა მნიშვნელოვან ობიექტებზე დარტყმას. ჩვენ საშუალება გვექნებოდა, თუ საჭირო იქნებოდა, გუდაუთა და სხვა მნიშვნელოვანი წერტილები დაგვებომბა, რომელიც მტერს ჰქონდა დაკავებული. ასე რომ, იქ მინიმუმი არ გაკეთდა. თუმცა, დარწმუნებული ვარ, მაქსიმუმის მიღწევაც შეიძლებოდა. მტრის მთელი ძალები 15-16 მარტს იქნა განადგურებული. ბევრი დაიღუპა, ხოლო 1500-მდე დაჭრილი იყო. ბრძოლისა და წინააღმდეგობის გაწევის თავი არავის ჰქონდა. ამ დროს ჩვენ ვუყურებდით ამას და ვზეიმობდით ვითომ გამარჯვებას. ისინი კი ახალი შეტევისთვის ემზადებოდნენ. ახალი შეტევა ივნისში განხორციელდა. მაშინ, როცა ბატონმა შევარდნაძემ, რომელიც მოსკოვში იყო ჩასული 14 მაისს ელცინთან, ჩამოიტანა ამბავი, რომ რუსეთი უკვე ჩვენი ძმა გახდა, დამთავრებულია ყველაფერი და მალე ეს ომი მშვიდობიანად დასრულდება. ორ კვირაში დაიწყო სამხედრო მოქმედება, რომელიც, საბოლოო ჯამში, ჩვენთვის კატასტროფით დასრულდა. ამიტომ ეს იყო ის გამარჯვება, რომლის შედეგი ჩვენ ვერ გამოვიყენეთ. ეს იყო პოლიტიკური ხელმძღვანელობის დანაშაული და არა იმ მეომრებისა, რომლებმაც მართლაც სასწაული ჩაიდინეს.

*— მართლაც, ეს დიდი გამარჯვება ქართულმა მხარემ ვერ გამოიყენა, ქართულ ჯარს დაკავებულ სოფლებს უმიზეზოდ ატოვებინებდნენ, მით უმეტეს, რომ რუსეთი ღიად არ იყო ჩაბმული ამ ომში.*

— ახლაც თითქოს ღიად არ არის ჩაბმული უკრაინაში, მაგრამ ყველაფერს ის აკეთებს.

*— უკრაინაში პროცესი უფრო ღიაა, ვიდრე მაშინ იყო აფხაზეთში.*

— მთლად ასე არ არის. აფხაზეთის ომის დროს ყველაფერს რუსი ოფიცრები გეგმავდნენ და აკეთებდნენ. მთელ რუსეთში, განსაკუთრებით სამხრეთის რეგიონებში, ყველგან იყო სამობილიზაციო პუნქტები გახსნილი და ხდებოდა რუსი მოხალისეების „ვერბოვკა“, რომლებიც აქ ჩამოჰყავდათ. ომში კარგად გაწვრთნილი რუსი მეომრები მონაწილეობდნენ. ასევე ჩვენ წინააღმდეგ იბრძოდა ავღანეთში ნაბრძოლი, ჯარი და სხვადასხვა კონფლიქტგამოვლილი ხალხი.

*— ეს გასაგებია, მაგრამ მე სხვა რამეს ვამბობ. დღეს რუსეთი ყირიმთან დაკავშირებით ღიად აცხადებს, რომ ის გამორიცხავს შესვლას ყირიმში და „დახმარებას“ ყირიმელებისთვის, თუ ამას ისინი მოითხოვენ, შესაბამისი მოქმედებისთვის ნიადაგსაც ამზადებს. რამდენადაც მახსოვს, მაშინ რუსეთი ასე ღიად არ ამბობდა, ჩვენ შევალთ აფხაზეთშიო და აფხაზების სახელით იბრძოდა.*

— ამაში გეთანხმებით. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის ჩართულობა იყო მაქსიმალური, ოფიციალურად ისინი არ ამბობდნენ, ჩვენ იქ ვომობთო. თუმცა, მოხალისეები, რეგულარული ჯარის ნაწილები და ოფიცრები ძალიან კარგად მონაწილეობდნენ. იარაღით მომარაგებაში კი არავითარი პრობლემა არ ჰქონდათ.

*— როგორც ჩანს, მსოფლიო საზოგადოებრიობის მიერ აფხაზეთის მოვლენების გააზრება სათანადოდ არ მოხდა. სათანადოდ არ შეფასდა ქართველების გენოციდი და ეთნოწმენდა, რაც განხორციელდა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში. ამიტომ შემდეგ დაუშვეს კოსოვოსთვის დამოუკიდებლობის მინიჭება, რამაც, როგორც ჩანს, რუსეთი წააქეზა. რუსეთმა მაშინ განაცხადა, რომ კოსოვოსთვის დამოუკიდებლობის მინიჭება გავლენას მოახდენდა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონის ბედზე. მაშინ ყირიმი არ უხსენებია, მაგრამ ახლა ყირიმისა და კოსოვოს შორის პარალელებს ავლებს და კარგადაც იყენებს.*

— დიახ, ყირიმთან დაკავშირებით რუსეთი კოსოვოს პრეცედენტს ძალიან კარგად იყენებს. რუსეთი აცხადებს, რომ რასაც დღეს ყირიმში აკეთებს, საერთაშორისო სამართლისა და კოსოვოს პრეცედენტის გამოყენებით აკეთებს. ადრე გააკეთეს ჩვენთან, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში. რა თქმა უნდა, დასავლეთმა ჩაიდინა ძალიან დიდი შეცდომა, როდესაც მან კოსოვო აღიარა სერბეთის თანხმობის გარეშე. ეს იყო ძალიან დიდი შეცდომა. ამ შეცდომას მომავალში კიდევ რა შედეგები მოჰყვება, ეს ჯერ კიდევ საკითხავია. საერთაშორისო სამართალი, რომლის ამოსავალი დებულება გახლავთ სახელმწიფოების ტერიტორიული მთლიანობა, ფაქტობრივად, თავდაყირა დადგა. რამდენიც არ უნდა ამტკიცონ აშშ-მ და ევროპამ, კოსოვოში გენოციდი მოხდა და ამიტომ ამ ხალხის გადასარჩენად მივეცით დამოუკიდებლობაო, ეს არ არის დამაჯერებელი. ბევრად უფრო მასშტაბური გენოციდი მოხდა ჩვენთან. კოსოვოში ისეთი მასშტაბური გენოციდი არ ყოფილა, როგორიც აფხაზეთში იყო, მაგრამ, ვინც მოახდინა ქართველების გენოციდი, ის იქნა აღიარებული. ასე რომ, ჩვენთან დაკავშირებით შეცდომა დაუშვეს.

*— ამ პოლიტიკის გაგრძელებაა ისიც, რომ ახლა კატალონიელებმა განაცხადეს, რომ ესპანეთისაგან გამოყოფის თაობაზე რეფერენდუმის ჩატარებას გეგმავენ. იმის გამო, რომ რუსეთი აფხაზეთისა და ცხინვალის გამო არ დაისაჯა არც გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისისა და არც 2008 წლის ომების გამო, პირიქით, 2008 წლის ომის შემდეგ ობამამ რუსეთთან ე.წ. გადატვირთვის პოლიტიკა წამოიწყო რუსეთთან. ამით გათამამებულმა რუსებმა დღეს ყირიმი დაიკავეს. როგორც ჩანს, გადატვირთვის პოლიტიკა რუსეთმა მიიღო, როგორც პატიება. რა შედეგის მომტანი იქნება, საერთოდ, უკრაინისა და პოსტსაბჭოთა სივრცისთვის, თუკი რუსები ახლაც გაიმარჯვებენ?*

— რუსეთის მიერ წამოწყებული პროცესი თუ არ შეჩერდა, ეს გამოიწვევს ძალიან დიდ კონფლიქტებს მთელ მსოფლიოში, მათ შორის, შუაგულ ევროპაში, კერძოდ, დასავლეთ ევროპაში. უკრაინაც შუაგული ევროპაა, მაგრამ ამ შემთხვევაში დასავლეთ ევროპას ვგულისხმობ. იქაც, ძალიან ბევრ ქვეყანაში, იმავე ესპანეთში, დიდ ბრიტანეთში, იტალიაში, ჰოლანდიაში და სხვა ქვეყნებში არის სეპარატისტული მოძრაობები და მათ ხელ-ფეხი გაეხსნებათ. თუმცა, რუსეთი იმაზე არ ფიქრობს, რომ, კარგად თუ დაითვლი, მისი ტერიტორიის უმეტესი ნაწილი ავტონომიებს უჭირავს. ამიტომ ეს ტალღა მოედება თვითონ რუსეთსაც და მის მიერ სხვა ქვეყნებში გაჩაღებული ცეცხლი მის ავტონომიებსაც მოედება. ამას ისინი ჯერჯერობით არ ითვალისწინებენ.

*— როგორც ჩანს, რუსეთს შეუძლია, თავის ავტონომიებში სეპარატისტული მოძრაობები ჩაახშოს ხიშტით, როგორც ეს ჩეჩნეთში გააკეთა.*

— თუ დასავლეთ ევროპამ და აშშ-მ ძალიან ქმედითი ღონისძიებები არ განახორციელეს და რუსეთის აგრესიას არ მოჰყვა მისი დასჯა (სამხედრო დასჯას არ ვგულისხმობ, ამაზე არავინ წავა. რუსეთის ეკონომიკურ დასჯაზე ვსაუბრობ), როგორც საბჭოთა კავშირი დაისაჯა თავის დროზე, რასაც მთლიანად საბჭოთა კავშირის დასჯა მოჰყვა, ძალიან მალე მსოფლიო გაეხვევა რუსების მოქმედებით წაქეზებული სეპარატისტული მოძრაობებისა და ომების ქარცეცხლში. ამიტომ რუსეთის მოქმედება უნდა შეჩერდეს, უნდა შეჩერდეს ყირიმთან, აფხაზეთთან, ცხინვალთან. ყირიმის პრობლემა ცალკე კი არ უნდა გადაწყდეს, არამედ აფხაზეთთან და ცხინვალთან კავშირში. ეს არის აუცილებელი. ესენი არიან ერთი დიდი ჯაჭვის პატარ-პატარა რგოლები.

# თამარ ცინცაბაძე: საქართველო დემოგრაფიული თვალსაზრისით ყველაზე უპერსპექტივო ქვეყნების სიაშია“

## გასული საუკუნის 80-იანი წლების შემდეგ მოსახლეობა მილიონით შემცირდა

თამარ ნინიძე

### ინტერვიუ დემოკრატიული მოძრაობის“ მთავარი კომიტეტის წევრთან, მედიცინის დოქტორ თამარ ცინცაბაძესთან

*— ხელისუფლებამ დაიწყო საუბარი დემოგრაფიული პოლიტიკის გადახედვაზე. თქვენი აზრი როგორია ამასთან დაკავშირებით?*

— ამ დღეებში გაჟღერდა ხელისუფლების გადაწყვეტილება, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით დემოგრაფიულ საკითხებზე მომუშავე სამთავრობო კომისია იქმნება, რაც უდავოდ ძალიან მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებაა. ასევე უდავოდ პოზიტიურია პრემიერ-მინისტრის პირველი ინიციატივა ამ მიმართულებით, რომ რეგიონში, სადაც შობადობის მნიშვნელოვანი კლებაა და არ არის ბუნებრივი მატება, ყოველი მესამე, 2 წლამდე ასაკის ბავშვის მშობელმა სახელმწიფოსგან ყოველთვიური დახმარება მიიღოს. პრემიერ-მინისტრის ინიციატივა, როგორც აღვნიშნეთ, ნამდვილად არის მნიშვნელოვანი, მაგრამ არა საკმარისი ქმედება ქვეყნის უმძიმესი დემოგრაფიული მდგომარეობიდან გამოსაყვანად. ყველასთვის ცნობილია ის სამწუხარო ფაქტი, რომ 80-იანი წლების შემდეგ მოსახლეობა მილიონით შემცირდა და საქართველო გაეროს მოსახლეობის მსოფლიო ფონდის მიერ შეყვანილ იქნა დემოგრაფიული თვალსაზრისით ყველაზე უპერსპექტივო ქვეყნების სიაში. სურათი არის მძიმე, პერსპექტივა — უმძიმესი. ქართველი ერი შეიძლება გადაშენების საფრთხის წინაშე აღმოჩნდეს. ასეთ სიტუაციაში ფინანსური წახალისება მხოლოდ მესამე შვილზე და მხოლოდ პირველი 2 წლის განმავლობაში არის ზღვაში წვეთი და თუ დროულად არ მოხდა სათანადო ცვლილება სხვადასხვა მიმართულებით, ქვეყნის გამოყვანა უმძიმესი დემოგრაფიული სიტუაციიდან შეუძლებელი იქნება.



*— თქვენ საკუთრივ თუ გაქვთ შემუშავებული გეგმა, როგორ უნდა მოგვარდეს ეს პრობლემა?*

— მრავალი ასპექტიდან მინდა გამოვყო რამდენიმე მნიშვნელოვანი: წლების განმავლობაში ჩვენს ქვეყანაში ფიქსირდებოდა უარყოფითი მიგრაციული სალდო. საქართველო შევიდა იმ ქვეყნების ათეულში, რომლის მოქალაქეებიც ყველაზე ხშირად ითხოვენ თავშესაფარს საზღვარგარეთ. 2009 წელს დადებითი მიგრაციული სალდო შეიძლება აიხსნას უცხო ქვეყნებიდან საქართველოს მოქალაქეთა იძულებითი დეპორტაციით და არა მათი სამშობლოში დაბრუნების სურვილით. ქვეყნიდან გასული მოსახლეობის უდიდესი ნაწილი სწორედ იმ ასაკის არის, რომელთაც უნდა შექმნან ოჯახი, იყოლიონ შვილები, იმუშაონ საკუთარი ოჯახისა და ქვეყნისთვის. თუ არ მოხდება მათი უკან სამშობლოში დაბრუნება, უკვე დაცარიელებულ სოფლებში ადამიანიც არ იქნება, ვისაც ექნება შესაძლებლობა, იყოლიოს მრავალი შვილი და კეთილი განზრახვა, რომ მოხდეს მრავალშვილიანი ოჯახისთვის ფინანსური დახმარება, ჰაერში დარჩება.

მეორე მნიშვნელოვანი მიმართულება, რაზეც მინდა შევაჩერო ყურადღება, გახლავთ განათლება. 2012 წელს საქართველოში დაფიქსირდა 40 000 აბორტი. ამხელა რიცხვი, თანაც დემოგრაფიულად ასეთ რთულ პერიოდში, ძალიან მძიმე მაჩვენებელია. ვერც კანონი აბორტის აკრძალვის შესახებ, რაზეც რამდენიმე თვის წინ იყო საუბარი, ვერც ფინანსური წახალისება მესამე შვილის ყოლაზე ვერ მოაგვარებს დემოგრაფიულ პრობლემას, თუ სათანადო ყურადღება არ მიექცა განათლებას. სისტემატურად უნდა მოხდეს საზოგადოების გაცნობიერება და ინფორმირება, რომ ქვეყანა დეპოპულაციის საფრთხის წინაშეა. ერი უნდა გამოფხიზლდეს, დაირაზმოს, იგრძნოს პასუხისმგებლობა.

იმ მცირედ ფულად სტიმულთან ერთად, საწყის ეტაპზე მაინც, აუცილებელია უფრო საგრძნობი, ქმედითი მატერიალური წახალისება, რათა ახალგაზრდებს მიეცეთ ოჯახის შექმნისა და მრავალი შვილის ყოლის საშუალება. არანაკლებ მნიშვნელოვანია არამატერიალური სტიმულები ახალგაზრდა ოჯახებისთვის, ახალშობილთა და ბავშვთა აღზრდისა და მოვლის, მათი ჯანმრთელობის დაცვის საკითხების სრულყოფა; ქალთა ჯანმრთელობის დაცვის სფეროს მნიშვნელოვანი გაუმჯობესება. ცნობილია ის საგანგაშო მონაცემები, რაც წლებია ფიქსირდება ჩვენს ქვეყანაში. მხოლოდ ერთს წარმოგიდგენთ — ჩვილთა სიკვდილობის მაჩვენებელი 12,5; 21-ე საუკუნეში საქართველოში ავადობით გამოწვეულ ბავშვთა სიკვდილობას შიმშილით ბავშვის სიკვდილიც დაემატა.

დაბოლოს, ეკონომიკური წინსვლა, ახალი სამუშაო ადგილები, კანონის შემოღებით, განათლებით, წახალისებით, შეიძლება ეფექტის მიღწევა, მაგრამ არა მნიშვნელოვნის, რადგან მოსახლეობას სჭირდება, მყარად იდგეს ფეხზე. მას შემდეგ, რაც გააცნობიერებს და გაითავისებს ერის წინაშე არსებულ პრობლემას, თავად უნდა ჰქონდეს იმის შესაძლებლობა, რომ იშრომოს და შეინახოს საკუთარი ოჯახიც და ქვეყნის დოვლათის შემქმნელიც იყოს.

მსოფლიოს მრავალ ქვეყანას აქვს ამა თუ იმ სახის დემოგრაფიული პრობლემა. მთავარია, ჩვენ, ყველამ, საზოგადოებამაც, ხელისუფლებამაც ვიგრძნოთ ეს ეროვნული საფრთხე, გავითავისოთ, გავხადოთ საზოგადოებრივი განსჯის საგანი, ჩამოვაყალიბოთ ერის ფიზიკური გადარჩენის სრულყოფილი პოლიტიკა და შემდგომ ის განვახორციელოთ. წინა ხელისუფლებამ ამის გაკეთება ვერ შეძლო. კარგია, რომ დღევანდელმა ხელისუფლებამ დაგვიანებით, მაგრამ მაინც დაიწყო საკითხზე ფიქრი.

# ავთანდილ უნგიაძე: საქართველოს ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონებას აიძულებენ“

მარიკა მჭედლიშვილი

### ინტერვიუ მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის“ თავმჯდომარე ავთანდილ უნგიაძესთან

***– ამ დღეებში ყოფილმა პოლიტპატიმარმა ლევან ჩაჩუამ ჩვენს გაზეთთან ინტერვიუში განაცხადა, რომ ამ ხელისუფლების პირობებში გართულდა მდგომარეობა სულიერებისა და ეროვნული ცნობიერების განვითარების მხრივ. თქვენც ასე ფიქრობთ?***

– ვერ ვიტყვი, რომ წინა ხელისუფლებასთან შედარებით ვითარება უფრო გართულდა. თუმცა, სერიოზული პრობლემებია. იმას, რასაც ბოლომდე ვერ აკეთებდა ნაციონალური ხელისუფლება, ესენი აგვირგვინებენ.

***– რა გქვთ მხედველობაში?***

– თუნდაც, გახმაურებული „აიდი ბარათები“-ს უალტერნეტივოდ დაკანონების; რეგიონული ენების შემოღების; მეჩეთის მშენებლობის საკითხები. ყველა ამ საკითხზე მუშაობა ნაციონალებს დაწყებული ჰქონდათ და როგორც ჩანს, „ქართული ოცნება“ ახალი ძალებით აგრძელებს. „ქართული ოცნება“, ფაქტიურად, „ნაციონალების“ საქმეს ამთავრებს. ოცნებაში უფრო სერიოზული ხალხია, ვიდრე ნაციონალებში .ახლანდელები უფრო სერიოზულად უდგებიან ამ საკითხებს და აქედან გამომდინარე, ჩვენთვის, მორწმუნეებისთვის, უფრო პრობლემატური გახდა ეროვნული ცნობიერების შენარჩუნება და ბრძოლა, თუნდაც, „აიდიზაციის“ წინააღმდეგ.

***– „აიდი ბარათებთან“ დაკავშირებით ვისაუბროთ. თქვენ ალტერნატიული საბუთების დაშვებას მოითხოვთ?***

– რა თქმა უნდა. ჩვენ „აიდი ბარათების“ გაუქმებას არ მოვითხოვთ. გვინდა, რომ სახელმწიფომ დაუშვას ალტერნავივა. ამაზე უფრო დემოკრატიული მოთხოვნა რა უნდა იყოს? მაგრამ, ამასაც არ გვიკმაყოფილებენ.

***– იუსტიციის მინისტრისგან ხომ იყო ალტერნატიული პირადობის მოწმობების დაპირება?***

– ნამდვილად იყო ასეთი დაპირება. ხელისუფლების წარმომადგენლები სხვა რამეებსაც შეგვპირდნენ, მაგრამ დაპირებებს არ ასრულებენ. კონკრეტულად „აიდი ბარათებზე“ შემიძლია ვთქვა, რომ ეს არის დაკვეთა დასავლეთიდან. თეა წულუკიანი როცა ამბობს არანაირი დაკვეთა არ არისო, უკაცრავად, მაგრამ, ტყუის. თუ ასე არ არის, გაუგებარია ასეთი წინააღმდეგობა და სიჯიუტე.

***– დასავლეთში ვის გულისხმობთ?***

– ევროკავშირს. თუმცა, ევროკავშირის თავზე აშშ-ია. ევროკავშირი ამერიკის დანამატია.

***– თუმცა, აზრთა სხვადასხვაობა მათ შორისაც არის ხოლმე...***

– რა თქმა უნდა. მთლიანობაში, აშშ მართავს ევროკავშირს გერმანიის საშუალებით. მაგრამ, მათ შორის მოსალოდნელია წინააღმდეგობების გაღრმავება. ამას მოჰყვება ევროკავშირის დაშლა. ჩვენ მაინცდამაინც ამ ნანგრევებში უნდა მოვყვეთ?

***– ეკონომიკური პრობლემების გამო ვარაუდობთ ევროკავშირის დაშლას?***

– ევროკავშირში ხალხს კეთილდღეობის დაპირებით იზიდავენ. ეს არის მტკნარი ტყუილი.

***– რატომ?***

– ამ ორგანიზაციის წევრ ქვეყნებში რა ხდება, ხომ ვხედავთ? უნგრეთმა პარლამენტის შენობიდან ევროკავშირის დროშები გადმოყარა და პროტესტი გამოუცხადა ამ ორგანიზაციას. უნგრეთში ევრაზიულ კავშირში შესვლაზეც კი საუბრობენ. ევროკავშირმა განადგურებამდე მიიყვანა საბერძნეთი. მძიმე დღეშია იტალია, ესპანეთი, პორტუგალია. ევროკავშირი დაშლის პირასაა ჩვენ რა კეთილდღეობა უნდა მოგვიტანოს?

***– საქართველოს ინტეგრაციასთან დაკავშირებით დიდი მუშაობა მიმდინარეობს...***

– ამით უნდათ, საქართველო გამოაცალონ რუსეთს. რუსეთი პრობლემებს გვიქმნის. რუსეთზე მზე და მთვარე არ ამომდის. მაგრამ, აქ საუბარია ამერიკა-რუსეთის ბრძოლაზე და არა საქართველოს კეთილდღეობაზე, ან სიმპათია-ანტიპათიებზე.უკრაინის ამბები მაინც ხომ ვნახეთ? იქაც ეს ბრძოლაა. ზნეობრივი თვალსაზრისითაც არ არის სახარბიელო ევროკავშირი.

***– ევროკომისარმა შტეფენ ფულემ ცოტა ხნის წინ გვითხრა, რომ ჩვენგან ერთსქესიანთა ქორწინებების აღიარებას არ მოითხოვენ...***

– მეც მოვისმინე ეს განცხადება. ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებაში შეიძლება ეს მოთხოვნა არ წერია, მაგრამ, თუ ორგანიზაციის წევრი გახდება საქართველო, ერთსქესიანი ქორწინებები სავალდებულო იქნება.

***– ევროკავშირის წევრ ზოგიერთ ქვეყანას კონსტიტუციით აქვს აკრძალული ერთსქესიანი ქორწინებები..***

–ჩვენ ეს კონსტიტუციაში არ გვიწერია. თუ დაგვავალდებულებენ, ვერანაირ წინააღმდეგობას ვერ გავწევთ. განსაკუთრებით, ასეთი ხელისუფლების პირობებში.

***– „აიდიზაციის“ თემას დავუბრუნდეთ. აქციები ამასთან დაკავშირებით გაგრძელდება? აქციებს, ძირითადად, ზაზა ნანობაშვილის „მართლმადიდებელთა კრებული“ მართავდა...***

– ჩვენ ერთი ჯგუფი არა ვართ, მაგრამ, ალტერნატიული საბუთების დაშვების საკითხში ერთი აზრი გვაქვს. ჩვენს შორის აზრთა სხვადასხვაობაცაა. ჩვენ ამაში ანტიქრისტეს ბეჭედს ვერ ვხედავთ.ზაზა ნანობაშვილის ჯგუფია ამ აქციების ინიციატორი და ეს ჯგუფი ბრძოლას აგრძელებს. აქციებს ჩვენც შევუერთდებით. ალტერნატიული საბუთის აღების უფლება დემოკრატიული მოთხოვნაა. წარმოუდგენელია, რომ ამ მოთხოვნას არ ასრულებს ხელისუფლება, რომელიც ამბობს, რომ დემოკრატიის გზას ადგას. ჩვენსა და მეორე ჯგუფს შორის ნიუანსებშია სხვაობა, თორემ, ამ მოთხოვნას ჩვენც ვუერთდებით.

***– ლევან ჩაჩუამ ვითარების გართულებაში საპატრიარქოსთან გამართული უხამსი პერფორმანსებიც იგულისხმა...***

– ეს მიუღებელი აქციაა. თუმცა, საერთოდ, საპატრიარქოს წინააღმდეგ ბრძოლა წინა ხელისუფლების დროსაც ძალიან მძაფრი იყო. „ნაციონალები“ წმინდა სინოდის კრებაზეც კი იჭრებოდნენ. ბუნებრივია, არც ახლაა სახარბიელო მდგომარეობა და პროცესები უფრო აშკარა და თვალნათელი გახდა. ყველამ მოისმინა ბატონი ბიძინას განცხადებაც საპატრიარქოს გაკრიტიკებასთან დაკავშირებით. ახლა ახალი არაფერი ხდება. უბრალოდ, სხვა ფაზაში გადავიდა დაპირისპირება. ახლა უკვე ღია ბრძოლაა. მადლობა ღმერთს, რომ ეს გამოაშკარავდა და ხალხს უკვე აღარ აქვს ილუზიები. აშკარა ბრძოლაა ეროვნული ცნობიერებისა და ეკლესიის წინააღმდეგ. კარგია, რომ ბევრ რამეს ნათელი მოეფინა.

***– არაერთი წელია, განათლების პრობლემებს იკვლევთ. განათლების სისტემაში თუ არის ცვლილებები?***

– უკეთესობისკენ არანაირი ცვლილება არ არის. არის დაპირებები, მაგრამ, საქმე არ ჩანს. სკოლებში ჯერჯერობით არც სახელმძღვანელოები შეუცვლიათ და არც კადრები. ახლა მეტ საშიშროებასაც ვხედავ.

***– რა საშიშროებას ხედავთ?***

– ვფიქრობ, რომ ახალი ხელისუფლება გააქტიურდება იმ საკითხებშიც, რომელთა განხორციელება „ნაციონალურმა მოძრაობამ“ საზოგადოების ძლიერი ზეწოლის გამო ვერ მოახერხა. მოგეხსენებათ, წინა ხელისუფლებას უნდოდა სკოლებში სექსუალური განათლების შეტანა, მაგრამ, ეს ვერ განახორციელა.

***– მთავრობა აცხადებს, რომ ეს საკითხი დღის წესრიგში არ დგას...***

– მართლაც, ამ თემაზე განცხადებები არ კეთდება. თუმცა, გამართული შეხვედრები, გამოკვლევები ამ საკითხებზე მიანიშნებს, რომ სკოლებში სექსუალური განათლების დანერგვისთვის ემზადებიან. ღიად ამაზე საუბარი არ მიდის. მთავარი, იცით, რა არის? თუ ევროკავშირში შევდივართ, ასეთი მზადება აუცილებელია. ჩვენ გამოვეცით ბროშურა „სექსუალური განათლების ევროპული სტანდარტები“. სტანდარტები აღწერს, რა უნდა ასწავლონ ბავშვებს ამა თუ იმ ასაკში. 9 წლამდე სექსუალური საფუძვლებია, შემდეგ საფეხურზე-ჰომოსექსუალური სწავლება, ფაქტიურად, პროპაგანდა. ევროკავშირში თუ შევედით, ეს გახდება სავალდებულო. საფრთხე დიდია იმიტომაც, ეს ხელისუფლება ასე გულმოდგინედ ახდენს პროცესების დაჩქარებას. ადრე ეს პროცესი საზოგადოების საპროტესტო გამოსვლების გამო შენელდა. სექსუალურ განათლებაზე საუბარი ჯერ კიდევ შევარდნაძის დროს დაიწყო. ლომაიას პერიოდშიც აქტუალური გახდა პრობლემა, მაგრამ მაშინ მაშინ საზოგადოება აქტიურობდა და მერე ამაზე საუბარი შეწყდა. ახლა რა და როგორ იქნება, არ ვიცი.

## ლევან ქარდავას, გიორგი მაზმიშვილსა და დათა ახალაიას აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდათ

კუდ-ის ყოფილ მაღალჩინოსნებს ლევან ქარდავას, გიორგი მაზმიშვილს და დათა ახალაიას თბილისის საქალაქო სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა. დაცვის მხარე განჩინებას გაეცნობა და ამის შემდეგ გადაწყვეტს გასაჩივრდება თუ არა მოსამართლის გადაწყვეტილება აღკვეთის ღონისძიებასთან დაკავშირებით. სასამართლო პროცესს ლევან ქარდავა და გიორგი მაზმიშვილი ესწრებოდნენ, რაც შეეხება დათა ახალაიას, ის ძებნაში იმყოფება. საქმეზე წინასასამართლო სხდომა 1-ელ მაისს, 12:00 საათზე გაიმართება.

პროკურატურამ, დამამძიმებელ გარემოებებში განზრახ მკვლელობის, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების და მტკიცებულებათა ფალსიფიკაციის ფაქტებზე, კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ყოფილი მაღალჩინოსნები ლევან ქარდავა და გიორგი მაზმიშვილი 13 მარტს დააკავა. ასევე, გამოიტანა დადგენილება კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ყოფილი დირექტორის დავით ახალაიას ბრალდებულად ცნობის შესახებ.

საქმე ეხება 2006 წლის 12 იანვარს, „ნავთლუღის“ ავტოსადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის მიერ ჩატარებულ სპეცოპერაციას, რომლის დროსაც განსაკუთრებული სისასტიკით იქნა მოკლული სამი ახალგაზრდა, მარად ართმელაძე, რომან სურმანიძე და მურად გორგაძე.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის „ა“ და „თ“ ქვეპუნქტებით, სსკ-ის 333-ე მუხლის პირველი ნაწილით, სსკ-ის 333-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და 369-ე მუხლის მესამე ნაწილით მიმდინარეობს, რაც სასჯელის სახით ათიდან ოც წლამდე, ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ნიუსპრესი

## ირაკლი სესიაშვილი: რუსეთს ყირიმი, ფაქტობრივად, ოკუპირებული აქვს“

თავდაცვისა და უშიშროების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარის ირაკლი სესიაშვილის განცხადებით, ყირიმის ტერიტორია რუსეთს ფაქტორბრივად უკვე ოკუპირებული აქვს. ამის შესახებ სესიაშვილმა უმრავლესობისა და პრემიერ-მინისტრთი ირაკლი ღარიბაშვილის შეხვედრის დროს, ჟურნალისტებთან განაცხადა.



მან ყირიმში მიმდინარე მოვლენებსა და ე.წ სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში განვითარებულ მოვლენებს შორის პარალელი გაავლო და აღნიშნა, რომ პროცესები, რომლებიც ყირიმში მიმდინარეობს, შესაძლოა, რუსეთის მიერ ყირიმის ტერიტორიის დამოუკიდებლობის აღიარებით დასრულდეს.

„ყირიმში სიტუაცია რთულია. ფაქტობრივად, რუსეთს ყირიმის ტერიტორია უკვე ოკუპირებული აქვს. იქ თავისი სამხედრო ბაზები აქვს განთავსებული და შესაბამისად, სიტუაციას დე-ფაქტო აკონტროლებს. საუბარია, მხოლოდ იმაზე, რომ დღევანდელი რეფერენდუმი რუსეთისთვის ვითომდა ლეგალური დოკუმენტია, რადგან თუ შემდეგში ამის საჭიროება დადგა, ეს ტერიტორია გადაიფორმოს. ზუსტად იგივე სიტუაციას მივიღებთ, რაც აფხაზეთსა და სამაჩაბლოსთან მიმართებაში იყო“- განაცხადა ირაკლი სესიაშვილმა.

ნიუსპრესი

## შინაგან საქმეთა მინისტრი წვევამდელთა ფიცის მიღების ცერემონიას დაესწრო

შინაგან საქმეთა სამინისტროს ე.წ. „მოდულის“ შენობასთან ორასთხუთმეტმა წვევამდელმა ფიცი საზეიმო ვითარებაში დადო. ფიცის მიღების ცერემონიას შინაგან საქმეთა მინისტრი ალექსანდრე ჭიკაიძე დაესწრო.

წვევამდელებმა საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი შეასრულეს და სამხედრო მარშით ჩაიარეს, შემდეგ კი საკუთარი საბრძოლო უნარების დემონსტრირება მოახდინეს. ცერემონიი დასრულებისას ახალწვეულები მამა დავითმა დალოცა.

შსს-ს ინფორმაციით, წვევამდელები ერთწლიან სავალდებულო სამხედრო სამსახურს შსს-ს სტრატეგიული ობიექტების დაცვის დეპარტამენტში გაივლიან. ისინი შეისწავლიან სამხედრო საქმეს, უზრუნველყოფილი იქნებიან უფასო სამედიცინო მომსახურებით, უფასო კვებით, ადგილობრივ სპორტულ ღონისძიებებში მიიღებენ მონაწილეობას.

სავალდებულო სამსახურის გავლის პერიოდი ყოველ მესამე დღეს 24 საათიან მორიგეობას გულისხმობს. სამხედროები ასევე ისარგებლებენ მოკლევადიანი შვებულებით. სამხედრო სავალდებულო სამსახურის დასრულების შემდეგ კი, წარჩინებული ვადიანი სამხედრო მოსამსახურეები შესაბამისი კონკურსის გავლის შემთხვევაში, შსს-ს სხვადასხვა დანაყოფებში დასაქმდებიან.

ნიუსპრესი

## ნაციონალურმა მოძრაობამ“ რუსთავის მერობის კანდიდატი წარადგინა

„ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ რუსთავის პარტიული კონფერენციის შეკრებაზე, რუსთავის მერობის კანდიდატად მამუკა ჩიქოვანი აირჩია. პარტიამ შიდა პრაიმერი გუშინწინ გამართა, სადაც აღნიშნული გადაწყვეტილება 800-მდე დელეგატმა ერთხმად მიიღო.

პარტიის პოლიტიკური საბჭოს თავმჯდომარის დავით ბაქრაძის განცხადებით, მამუკა ჩიქოვანი რუსთაველების მიერ არჩეული კანდიდატია.

„რუსთავში გვყავს ხალხის არჩეული კანდიდადტი, რომელმაც წინა წლებში ძალიან ბევრი გააკეთა რუსთავში პრობლემების მოგვარებისთვის, ადამიანების დასაქმებისთვის და მჯერა, რომ რუსთაველებისთვის დღესაც მთავარი გახლავთ სწორედ ეს – ქალაქის პრობლემების გადაწყვეტა, ქალაქის ამუშავება, ადამიანების დასაქმება და ყველა იმ დადებითი პროცესის გაგრძელება, რომელიც გაპარტახების და კრიმინალის შემდეგ ძლივს დაიწყო რუსთავში“– განაცხადა ბაქრაძემ.

მამუკა ჩიქოვანი სხვადასხვა დროს რუსთავის მერის, საკრებულოს თავმჯდომარის, ქვემო ქართლის გუბერნატორის მოადგილის თანამდებობებზე მუშაობდა.

ნიუსპრესი

## რუსეთის საელჩოს შენობასთან მომხდარი დაპირისპირებისას ორი ადამიანი დააკავეს

კიევში მიმდინარე რეფერენდუმთან დაკავშირებით, გუშინ რეფერენდუმის მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს შორის თბილისში დაპირისპირება მოხდა, რომლის დროსაც ორი ადამიანი დააკავეს.

ერთმანეთს „თავისუფალი ზონის“ წევრები და კოალიცია „ევრაზიული არჩევანის“ წარმომადგენლები დაუპირისპირდნენ. „თავისუფალმა ზონამ“ აქცია ყირიმის რეფერენდუმის წინააღმდეგ, უკრაინის ერთიანობის მხარდაჭერის მიზნით გამართა. „ევრაზიული არჩევანი“ კი, აქციის გამართვას 15:00 საათზე რეფერენდუმის მხარდასაჭერად გეგმავდა.

რუსეთის საელჩოს შენობასთან, „ევრაზიული არჩევანის“ წარმომადგენლებთან ერთად, გორიდან ჩამოსული მოქალაქეებიც იმყოფებოდნენ და გორის ცენტში სტალინის ძეგლის დაბრუნებას ითხოვდნენ. მეორე ჯგუფის გაღიზიანება სწორედ ამ ფაქტმა გამოიწვია, რის შემდეგაც ფიზიკური დაპირისპირება დაიწყო.

„ევრაზიული არჩევანის“ წარმომადგენლების მიერ დაგეგმილი აქცია სახელწოდებით – „ყირიმი რუსეთია“ აღარ გაიმართება. მათი თქმით, აქციის გამართვის საშუალებას ყირიმის რეფერენდუმის მოწინააღმდეგეები არ აძლევენ.

ნიუსპრესი

## ცხინვალის ყოფილ მერს სახლი დაუწვეს

ე.წ. სამხრეთ ოსეთში ცხინვალის ყოფილი დე-ფაქტო მერის რობერტ გულიევის სახლი დაიწვა. სააგენტო „რესის“ ცნობით, შეთხვევა 15 მარტის ღამით მოხდა.

ე.წ. სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო საგანგებო სიტუაციების სამსახურის ინფორმაციით, მეხანძრეებმა ხანძრის ჩაქრობა შეძლეს, თუმცა სახლის მეორე სართული სრულიად დაიწვა. შემთხვევას მსხვერპლი არ მოჰყოლია.

დე-ფაქტო საგანგებო სიტუაციების სამსახურში აღნიშნავენ, რომ ცეცხლი სახლში არ გაჩენილა და ის გარედან შეიტანეს, რის შემდეგაც ხანძარი ერთდროულად ორ ადგილას გაჩნდა.

„თუმცა ჩვენ არ შეგვიძლია მომხდარს განზრახ გაჩენილი ხანძრის კვალიფიკაცია მივცეთ, რადგან ეს პრეროგატივა შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო ორგანოებს ეკუთვნით“– აცხადებენ ე.წ. საგანგებო სიტუაციების სამსახურში.

მედიანიუსი

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეომიელიტის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართრიტის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და არაოპერაციულ სტადიაზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65. ქალბატონი ქეთათო

# ალექსანდრე მარგიშვილი: საყდრისში სამუშაოები განახლდება“

ეკა ირემაშვილი

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა ალექსანდრე მარგიშვილმა და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალურმა დირექტორმა ნიკოლოზ ანთიძემ საყდრისი-ყაჩაღიანის ტერიტორიაზე არსებული პრობლემის გადაწყვეტის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება მასმედიის წარმომადგენლებს გააცნეს.

არსებული მრავალრიცხოვანი დოკუმენტისა და საექსპერტო შეფასებების ანალიზზე დაყრდნობით სააგენტომ მოამზადა დასკვნა, რომლის მიხედვითაც საყდრისი-ყაჩაღიანში არ დადასტურდა უძველესი ოქროს მაღაროს ან ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის ძეგლის არსებობა.

– „არემჯი გოლდი“ საყდრისში სამუშაოებს განაახლებს. მიღებული გადაწყვეტილება, კერძოდ კი დადებითი დასკვნა სამუშაოების განახლებაზე ინვესტორთან უკვე გაგზავნილია. სახელმწიფოს შეუძლებლად მიაჩნია, მითზე დაფუძნებით ხელი შეუშალოს ათასობით ადამიანის დასაქმებას და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებას. სამინისტროს გადაწყვეტილებით მოწვეული იქნებიან საერთაშორისო რეპუტაციის მქონე დამოუკიდებელი ექსპერტები, რომლებიც კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსთან ერთად მონიტორინგს გაუწევენ კომპანია „არემჯი გოლდ“-ის მიერ წარმოებულ სამუშაოებს. მაღაროს მიდამოებში რაიმე აღმოჩენის შემთხვევაში სააგენტო ჩაატარებს შესაბამის კვლევებს და კომპეტენტური კომისიის დასკვნის შემდეგ საჭიროების მიხედვით არტეფაქტები განთავსდება ან არსებულ მუზეუმში, ან ამ დანიშნულებით სპეციალურად შექმნილ ახალ დაწესებულებაში, – განაცხადა კულტურის მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა.

კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოს თავმჯდომარის ნიკა ანთიძის თქმით:

– საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის სააგენტო ჩართული იყო იმ პროცესებში, რომელიც 2013-2014 წლებში საყდრისი-ყაჩაღიანის გარშემო მიმდინარეობდა. ჩემი დანიშვნის შემდეგ მოხდა უკვე იმ მთლიანი დოკუმენტაციის გაანალიზება, რაც საყდრისი-ყაჩაღიანის გარშემო არსებობს და დადგინდა, რომ საყდრის-ყაჩაღიანში ოქროს უძველესი მაღაროს არსებობა არ დასტურდება.

საყდრისს, 2006 წლიდან 2013 წლის 5 ივლისამდე, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი ჰქონდა და უძველეს ოქროს მაღაროდ მიიჩნეოდა. 5 ივლისს კი, კულტურის მინისტრმა მას მხოლოდ არქეოლოგიური ძეგლის სტატუსი მიანიჭა, თუმცა 1 ოქტომბერს ეს სტატუსიც მოეხსნა. კულტურული მემკვიდრეობის შესახებ კანონის მიხედვით კი, ლიცენზიის მფლობელ კომპანიას კულტურის სამინისტროს ნებართვის გარეშე ეკრძალება წიაღისეული მოიპოვოს იმ ადგილას, სადაც არქეოლოგიური ობიექტი მდებარეობს.

ამ ინფორმაციის გავრცელებისთანავე კულტურის სამინისტროს შენობასთან ახალგაზრდები მივიდნენ და კვერცხები დაყარეს. აქციაში მონაწილე სტუდენტებმა განაცხადეს, რომ მათ 30 კვერცხი სიმბოლურად მიიტანეს ნიშნად იმისა, რომ საყდრისის უძველესი მაღარო ხელისუფლებამ გაყიდა.

– შევიტყვეთ, რომ საყდრისის მაღაროს უძველესი, კულტურული ძეგლი უკვე დაზიანებულია. მივმართავთ მინისტრს, არ შეგარჩენთ ამ უპასუხისმგებლო, არაადამიანურ და დამამცირებელ გადაწყვეტილებას. თქვენ გგონიათ, რომ თავი გადაირჩინეთ და შვებულებაში წახვედით, მაგრამ კარგად არ დაგიმთავრდებათ, ეს თქვენი შვებულება. მოვუწოდებთ კულტურის სამინისტროს თანამშრომლებს საყდრისის დაცვისკენ, – განაცხადეს სტუდენტებმა, რომლებსაც აქციაზე მიტანილი ჰქონდათ ბანერი წარწერით „დაიცავი საყდრისი“.

საპროტესტო აქციაზე კულტურის მონისტრის ყოფილი მოადგილე მარინე მიზანდარიც იმყოფებოდა, რომელმაც განმარტა, რომ საყდრისის ძეგლის დაზიანების გამო ხელისუფლების პასუხიმგებლობის საკითხი უნდა დადგეს.

სტუდენტების პროტესტს საგანგებო წერილით შეუერთდა ახალგაზრდული მოძრაობა „დავითიანნი“:

„ახალგაზრდული მოძრაობა „დავითიანნი“ აქტიურად ადევნებდა თვალ-ყურს საყდრისის მაღაროს ირგვლივ განვითარებულ მოვლენებს, მის ყველა ეტაპზე. იმედი გვქონდა, რომ პრობლემის გადაწყვეტა მოხდებოდა გონივრული გზით. ამ დრომდე თავს ვიკავებდით მკვეთრი პოზიციის დაფიქსირებისა და განცხადებების გაკეთებისგან, რადგანაც კარგად ვაცნობიერებდით, რომ ერთი მხრივ იდგა უძველესი ქართული ისტორიული ძეგლის ხელყოფის საშიშროება, მეორეს მხრივ კი კერძო კომერციული ინტერესები და დასაქმებული ადამიანების უფლებები. სამწუხაროდ, როგორც ირკვევა აღნიშნული პრობლემა გადაწყდა ცალმხრივად და უპასუხისმგებლოდ. კულტურის სამინისტრომ, კომპანია არემჯი გოლდს, საკითხის მართლზომიერად შესწავლის გარეშე, მისცა სამუშაოების გაგრძელების უფლება იმ მოტივით, რომ საყდრის-ყაჩაღიანში ოქროს უძველესი მაღაროს არსებობა არ დასტურდება. არგუმენტი მხოლოდ აღნიშნული განცხადებაა. მივიჩნევთ, რომ გადაწყვეტილება ნაჩქარევად არის მიღებული და სასწრაფო გადახედვასა და ადეკვატურ რეაგირებას საჭიროებს.



არემჯი გოლდ -სთვის კულტურის სამინისტროს მიერ წაყენებული ერთ-ერთი პირობა არის ის, რომ საერთაშორისო მასშტაბის ექსპერტებსა და სპეციალისტებს ექნებათ საშუალება მონიტორინგი განახორციელონ იმ სამუშაოებზე, რომელსაც ინვესტორი უახლოეს პერიოდში განახორციელებს. ამ ფონზე, ჩვენ გაუგებრად მიგვაჩნია, თუ რატომ არ იქნა გათვალისწინებული და მხედველობაში მიღებული ისეთი საერთაშორისო მასშტაბის ექსპერტის განცხადებები, როგორიც მაგალითად, პრუსიის კულტურული მემკვიდრეობის ფონდის პრეზიდენტი პროფესორი ჰერმან პარცინგერია და რომელიც სამინისტროს მოუწოდებდა ობიექტზე შეჩერებულიყო სამუშაოები, ვიდრე საკითხი სრულად გაირკვეოდა. იგივე პოზიცია დაიჭირა ბოხუმის რურის უნივერსიტეტის რექტორმა პროფესორმა ელმარ ვაილერმაც და გერმანიის არქეოლოგიის ინსტიტუტის პროფესორმა სვენდ ჰანსენსმა. ისე გამოდის, რომ ერთის მხრივ მართებულია კულტურის სამინისტრო და კომპანია არემჯი გოლდ და მეორეს მხრივ მცდარია, ამ დარგის საერთაშორისო დონის ექსპერტების, პროფესორების, ასევე ადგილობრივი მეცნიერებისა და საზოგადოების დიდი ნაწილის ინტერესები. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ჩვენს მიერ დასახელებული პიროვნებები არ მოღვაწეობენ საქართველოში და შესაბამისად არ ამოძრავებთ კერძო ინტერესი, გარდა მსოფლიოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა, რომელსაც შესაძლებელია საქართველო ფლობდეს.

თუნდაც მხოლოდ ის ფაქტი, რომ საყდრისის თემამ გავლენიანი უცხოური ორგანიზაციებისა და მეცნიერების ამგვარი გამოხმაურება გამოიწვია, კულტურის სამინისტროს ვალდებულს ხდიდა, ჩაეტარებინა საფუძვლიანი კვლევა ამ ისტორიულ ტერიტორიაზე, კვალიფიციური ექსპერტების ჩართულობით და მხოლოდ ამის შემდეგ მიეღო გადაწყვეტილება. საზოგადოება გაურკვევლობაშია, არ არსებობს ლოგიკა და არგუმენტები. ბევრ კითხვას ბადებს ის ფაქტიც, რომ ასეთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება სამინისტრომ მაშინ გაახმაურა, როდესაც მინისტრი შვებულებაში გახლდათ და შესაბამისად, განხილვების დასკვნით ეტაპში პირადი მონაწილეობა არ მიუღია.

„დავითიანნი“ მიმართავს ახალგაზრდებს აქტიურად დაინტერესდნენ ამ თემით. გაერკვიონ საქმის ვითარებაში და მიიღონ ყველა ზომა, რომ დავიცვათ ჩვენი სიმდიდრე, ჩვენი კულტურული მემკვიდრეობა და არ მოვეკიდოთ უპასუხისმგებლოდ ასეთ უმნიშვნელოვანეს საკითხებს. დავითიანნი მოუწოდებს ასევე საქართველოს პრემიერ მინისტრს, ბატონ ირაკლი ღარიბაშვილსა და პრეზიდენტს ბატონ გიორგი მარგველაშვილს, რომ პირადად დაინტერესდნენ ამ საკითხით. მოგმართავთ თხოვნით, რომ გადაწყვეტილებები იყოს არგუმენტირებული და გასაგები ყველასთვის. ვიდრე საკითხი გაირკვევა, მიღებულ იქნას ზომები, დაუყოვნებლივ გაჩერდეს სამუშაოები და ობიექტის მიზანმიმართული დაზიანება. ჩვენის მხრივ, ყველაფერს გავაკეთებთ, რომ არ იქნას დაშვებული გამოუსწორებელი შეცდომა. იცვლებიან ხელისუფალნი, მაგრამ მსგავსი სახის შეცდომა, თუ ეს დაშვებულ იქნა, ვერ გამოსწორდება. ჩვენ ვგრძნობთ პასუხისმგებლობას ჩვენი ქვეყნის, მომავლის წინაშე. დღეს შესაძლოა თაობებს უდიდესი მნიშვნელობის კულტურული ძეგლი გაუნადგურდეს, რომელსაც მსოფლიო სერიოზული კვლევის ობიექტად აღიარებს“.

საყდრისთან დაკავშირებით განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით, საგანგებო წერილი მისწერა გურამ ოდიშარიას ბოხუმის რურის უნივერსიტეტის რექტორმა პროფესორ-დოქტორმა ელმარ ვაილერმა:

„ბატონო მინისტრო, პროფესორ შტოლნერისაგან ეხლახან შევიტყვე, რომ საყდრისის ოქროს მაღაროსათვის მინიჭებული კულტურული მემკვიდრეობის სტატუსი გაუქმდა და დაგეგმილია ტერიტორიის გამოყენება ღია სამთამადნო მრეწველობისათვის. ნება მომეცით მოგმართოთ, როგორც ჩემი, ასევე ჩვენი უნივერსიტეტის სახელით და გთხოვთ, რომ გამოიყენოთ ყველა შესაძლებლობა, რათა არ დაუშვათ კულტურული ძეგლის ამგვარი გამოუსწორებელი განადგურება და აღადგინოთ საყდრისის, როგორც დაცული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის, სტატუსი.

როგორც ბოლო დროს განხორციელებულმა პროექტებმა (როგორიცაა „ოქრო საქართველოში“ და „მარილის, სპილენძისა და ოქროს სამთამადნო მრეწველობის დასაწყისი კავკასიაში“) გვიჩვენეს, ეჭვგარეშეა ის ფაქტი, რომ საყდრისში ოქროს მოპოვება ქრისტეს შობამდე მეოთხე საუკუნიდან წარმოებდა. აქედან გამომდინარე, საქართველოს მფარველობაში იმყოფება ჩვენთვის ცნობილი მსოფლიოს უძველესი ოქროს მაღარო.

საქართველოს არქეოლოგიის ინსტიტუტის (თბილისი), ბოხუმის რურის უნივერსიტეტის და გერმანიის სამთამადნო მუზეუმის ერთობლივი ძალებით ბოლო წლებში განხორციელებული მაღაროს შესწავლა, რომელიც შესრულებული იყო ქართველი და გერმანელი მკვლევარების მიერ, შთამბეჭდავი დემონსტრირებაა იმისა, რომ საერთაშორისო და დისციპლინათშორისი თანამშრომლობა მეტად მნიშვნელოვანია ევროპაში მეცნიერებისა და კვლევების წინსვლისათვის, რომ მედია დღემდე აშუქებს საყდრისთან დაკავშირებულ მოვლენებს და რომ დაფინანსება უზრუნველყოფილი იყო ფოლკსვაგენის ფონდისა და გერმანიის კვლევის ფონდის მიერ.

ჩვენი უნივერსიტეტი დიდად არის დაინტერესებული იმით, რომ საყდრისის ოქროს მაღარო, როგორც მსოფლიოს უნიკალური კულტურის ძეგლი, დაცული იყოს სამომავლო კვლევისა და შესწავლისათვის. ჩვენი აზრით, ტრაგედია იქნებოდა თუ ამას ხელს შეუშლიდა ძეგლის კომერციული მიზნით, ღია სამთამადნო მრეწველობისათვის გამოყენება, რაც ამ ეტაპზეა დაგეგმილი. კიდევ ერთხელ მოგმართავთ თხოვნით, რომ გამოიყენოთ თქვენს ხელთ არსებული ყველა შესაძლებლობა, რათა არ დაუშვათ ძეგლის განადგურება და შეუნარჩუნოთ საყდრისი, როგორც თქვენი ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის ნაწილი, მომავალი თაობის მკვლევარებსა და მთლიანად ქართველ ხალხს“.

# საქართველო ლაიფციგის წიგნის საერთაშორისო ბაზრობაზეა

ეკა ირემაშვილი

„საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის“ ორგანიზებით და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით, ლაიფციგის წიგნის საერთაშორისო ბაზრობაზე საქართველოს სტენდი ოფიციალურად გაიხსნა. კულტურის სამინისტროს დელეგაციას ლაიფციგში ქართული წიგნისა და ლიტერატურის პროგრამის მენეჯერი მედეა მეტრეველი ხელმძღვანელობს.

ლაიფციგის წიგნის ბაზრობის ფარგლებში, გაიმართა ქართველი ავტორების ანა კორძაია-სამადაშვილის წიგნის „მე, მარგარიტა“ და ბესო ხვედელიძის „თაგვის გემო“ საჯარო კითხვა. ამავე წიგნების კითხვა დაიგეგმა ლაიფციგის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ ლიტერატურულ სალონში „ტელეგრაფი“. წიგნები გერმანულ ენაზე საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით ითარგმნა და გამოიცა გასულ წელს.

ლაიფციგის წიგნის ბაზრობის ფარგლებშივე გაიმართა ოთარ ყარალაშვილის უნიკალური საგანმანათლებლო პროგრამის „ვირგამი“ (ვირტუალური გამომცემლები) პრეზენტაცია, რომელიც ახალგაზრდა ილუსტრატორთათვის არის განკუთვნილი.

ასევე შედგა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ ჩატარებული დრამატურგთა საერთაშორისო კონკურსის „საუბარი საზღვრების გარეშე“ პრეზენტაცია და კონკურსში გამარჯვებული პიესის კითხვა. ნაწყვეტები დათა თავაძის პიესიდან „დედა ომი“ ქალაქ ნიურნბერგის თეატრალურმა დასმა წაიკითხა. პრეზენტაციას უძღვებოდნენ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს საერთაშორისო პროგრამებისა და ქართული კულტურის პოპულარიზაციის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე ხათუნა ხუნდაძე და კონკურსის ავსტრიელი თანაორგანიზატორი კრისტიან პაპკე.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ქართული წიგნისა და ლიტერატურის პროგრამის ხელმძღვანელმა მედეა მეტრეველმა შეხვედრა დაგეგმა ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის ვიცე-პრეზიდენტთან ტობიას ვოსთან და სტუმარი ქვეყნის სტატუსის პროგრამის ხელმძღვანელთან სიმონე ბიულერთან. მხარეების ძირითად სასაუბრო თემად განისაზღვრა 2018 წელს, ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე საქართველოს სტუმარი ქვეყნის სტატუსით მონაწილეობა. ასევე დაიგეგმა შეხვედრები გერმანელ გამომცემლებთან და მწერლებთან, რომელთაც ქართული პოეზიის ანთოლოგიის გამოცემის სურვილი გამოთქვეს.



წლის და 9 თვის ელისაბედ დარჩიას სასწრაფოდ ესაჭიროება გადაუდებელი მკურნალობა საზღვარგარეთ, შესაძლოა დასჭირდეს განმეორებითი ოპერაციაც. გოგონა დაიბადა შინაგანი ჰიდროცეფალიის დიაგნოზით, ჩატარებული აქვს თავის ტვინის შუნტირება, რამაც სასურველი შედეგი ვერ გამოიღო. ელისაბედს ჰყავს სრულიად ჯანმრთელი ტყუპისცალი ძმა. უმორჩილესად გთხოვთ, თუნდაც მცირედით დავეხმაროთ პატარა ელისაბედს:

თანხის ჩარიცხვა შესაძლებელია „ლიბერთი ბანკის“ ანგარიშზე: GE95LB071115428681940

☎ 577-544-222, 598-204-570

უფყნ[ფლტ,ტ,ბ

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია..

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 218-14-90 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 218-14-90 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● გახდომა-გასუქება 5-15 კგ თვეში, სიმაღლეში ზრდა 5-25 წლამდე მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენებების გარეშე. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (ოფისი), ექიმი ქ-ნი სალომე.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულსარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

● მკურნალობა ძვალ-სახსართა ნებისმიერ პრობლემაზე, კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, ართრიტების და ა.შ. დაზიანებული და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის მოხსნა, ასევე წონის დაკლება 5-15 კგ თვეში, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-156-333; 218-46-08 ექიმი ქ-ნი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571720311– ქ-ნი მარიამი.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასლებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორ პუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● გახდომა 5-20 კგ-მდე დიეტის გარეშე, გასუქება 2-5 კგ თვეში, 3-ჯერადი კვებით, უვნებლად, მადის დარეგულირებით, შედეგის 100%-ით მუდმივად შენარჩუნებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ქ-ნი ქეთევანი 599-90-54-78; 234-02-38.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

## ოქტავიან მორარიუ: მზად ვართ, საჭიროების შემთხვევაში გვერდში დაგიდგეთ“

საქართველოში პირველად იმყოფებოდა რუმინეთის სამთავრობო დელეგაცია პრემიერ-მინისტრ ვიქტორ პონტას ხელმძღვანელობით. რუმინელი კოლეგა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის ადმინისტრაციაში მიიღო, სადაც დახვედრის საზეიმო ცერემონია გაიმართა. რუმინეთის სამთავრობო დელეგაციაში საგარეო საქმეთა, ეკონომიკის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრები, პრემიერ-მინისტრის მრჩევლები, პარლამენტის წევრები არიან. ასევე გაიმართა შეხვედრები საქართველოს პრეზიდენტთან და პარლამენტის თავმჯდომარესთან.

რუმინეთის სამთავრობო დელეგაციასთან ერთად თბილისში რუმინეთის რაგბის კავშირის პრეზიდენტი ალინ პეტრაჩე და ვიცე-პრეზიდენტი მატეი კალინიც ჩამოვიდნენ.

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ლევან ყიფიანი კი, სამინისტროში ფირა აერის (ევროპის რაგბის ასოციაცია) პრეზიდენტს, ევროპის ოლიმპიური კომიტეტის აღმასრულებელი კომიტეტის წევრს, ოქტავიან მორარიუს შეხვდა. შეხვედრას საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტი – გიორგი ნიჟარაძე და მინისტრის მოადგილეები – აკაკი ლოდია და თამაზ თევზაძე ესწრებოდნენ.

მხარეებმა ყურადღება ასევე გაამახვილეს საქართველოსა და რუმინეთის რაგბის სამომავლო განვითარების პერსპექტივაზე და იმ ფაქტზე, რომ ორივე ქვეყანა უკვე მაქსიმალურად მიუახლოვდა ევროპის სარაგბო ელიტას. ითქვა, რომ აუცილებელია ქმედითი ნაბიჯების გადადგმა, ქართული და რუმინული სარაგბო კლუბების ევროტურნირებში ჩართვის მიმართულებით და ზოგადად ქართული და რუმინული რაგბის კიდევ უფრო დაახლოვებით ევროპის ელიტარულ სარაგბო ქვეყნებთან.

მორარიუ თავისი ქვეყნის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრი და ევროპის ოლიმპიური კომიტეტების აღმასრულებელი კომიტეტის წარმომადგენელიც არის.

ბუნებრივია, მორარიუ საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტისაც სტუმრობდა, სადაც პრეზიდენტმა ლერი ხაბელოვმა უმასპინძლა. შეხვედრას ასევე ესწრებოდა „თბილისი 2015“-ის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე ალექსი ახვლედიანიც. ცნობისათვის, ოქტავიან მორარიუ საქართველოს დედაქალაქს 2009 წელს, სეოკ-ის 20 წლის საიუბილეო ღონისძიებების დროსაც სტუმრობა.

**ლერი ხაბელოვი:**

– საქართველოში სპორტი ძალიან უყვართ, თუმცა რაგბიში გამარჯვებებს გულშემატკივარი განსაკუთრებულად აღიქვამს. სპორტის ეს სახეობა ჩვენში მეტად დაფასებულია და ამის დასტურია ისიც, რომ სპორტისთვის გამოყოფილი ბიუჯეტის 1.3 სწორედ რაგბის კიდევ უფრო წინსვლისთვის არის მიმართული. რაც შეეხება ზოგადად ქართული სპორტისა და ოლიმპიური მოძრაობის განვითარებას, ყველაზე დიდი გამოცდის 2015 წელს გველის, როდესაც თბილისი ევროპის ახალგაზრდობის ზაფხულის ოლიმპიურ ფესტივალს უმასპინძლებს. „თბილისი 2015“ ერთ-ერთი მძლავრი სტიმული იქნება ქვეყანაში სპორტის კიდევ უფრო გამოცოცხლების საქმეში.

ოქტავიან მორარიუმ დასძინა, რომ ჩვენი ქვეყნები ერთმანეთს რაღაცით ჰგვანან, უპირველესად კი ალბათ მენტალური კუთხით.

**ოქტავიან მორარიუ:**

– პირველ რიგში მინდა გულთბილი მოკითხვა გადმოგცეთ ბატონი პატრიკ ჰიკისგან, ევროპის ოლიმპიური კომიტეტების პრეზიდენტისგან. გაისად ზაფხულში მართლაც მნიშვნელოვანი სპორტული ფორუმის ორგანიზება გმართებთ და დიდი პასუხისმგებლობაც გაკისრიათ. რუმინეთისთვის ეს უცხო ხილი არ არის, რადგან 2013 წელს, ანალოგიური ზამთრის ფესტივალი ჩავატარეთ ბრაშოვში, რაც ადვილად შესასრულებელი დავალება ნამდვილად არ ყოფილა. ნიშანდობლივია, რომ პოლიტიკური რყევების კუთხითაც იდენტურ ვითარებაში ვიყავით, როგორც თქვენ. ფესტივალამდე ერთი წლით ადრე მოხდა ცვლილებები, რამაც მზადების მხრივ გარკვეული სირთულეები წარმოქნა. გულწრფელად გეტყვით, რომ ჩვენთვის მთავარი პრობლემა იყო ინფრასტრუქტურა და ტრანსპორტი, თუმცა ასე თუ ისე ფესტივალის ორგანიზებას თავი გავართვით და დიდი გამოცდილებაც დაგვიგროვდა. მზად ვართ საჭიროების შემთხვევაში გვერდში დაგიდგეთ და იგი გაგიზიაროთ.

„თბილისი 2015“-ის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ ალექსი ახვლედიანმა პრეზენტაციის სახით სტუმარს უფრო ახლოს გააცნო თუ როგორ მიმდინარეობს ფესტივალისთვის მზადების პროცესი.

შეხვედრის დასასრულს, ოქტავიან მორარიუმ, სეოკ-ის თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი მუზეუმიც დაათვალიერა.

# საქართველომ ორი თასი მოიგო და მესამეზე ადვილი ჯგუფი დაიბევა

**საქართველო – რუმინეთი 22:9**

**თბილისი. მიხეილ მესხი**

**საქართველო:** მერაბ კვირიკაშვილი (ლაშა მალაღურაძე 61), ირაკლი მაჩხანელი, დავით კაჭარავა, მერაბ შარიქაძე, თამაზ მჭედლიძე (თედო ზიბზიბაძე 57), ლაშა ხმალაძე, გიორგი ბეგაძე (ვაჟა ხუციშვილი 70); მიხეილ ნარიაშვილი (ანტონ ფეიქრიშვილი 57), ჯაბა ბრეგვაძე (შალვა მამუკაშვილი 52), დავით ზირაქაშვილი (ლევან ჩილაჩავა 57), კოტე მიქაუტაძე (გიორგი ნემსაძე 61), ლევან დათუნაშვილი, ვიტო კოლელიშვილი (გიორგი ჩხაიძე 67), მამუკა გორგოძე, დიმიტრი ბასილაია

**1 ლელო:** ზირაქაშვილი

**1 გარდასახვა:** კვირიკაშვილი

**5 ჯარიმა:** კვირიკაშვილი (4), მალაღურაძე



**რუმინეთი:** კატალინ ფერკუ, მადალინ ლემნარუ (კრისტიან დინიში 70), ქსაბა გალი, რობერტ დესკალუ (ფლორინ სურუჯუ 61), იონუც დუმიტრუ (დორინ მანოლე 52), ფლორინ ვლაიკუ, ვალენტინ კალაფეტიანუ; მიჰაიტა ლაზარი (ანდრეი ურსაჩე 61), ანდრეი რადოი (ეუჯინ კაპაცინა 74), პაულიცა იონი (ჰორაციუ პუნგეა 74), მარიუს სირბე, ვალენტინ პოპირლანი, ვიორელ ლუკაჩი, მიჰაი მაკოვეი, სტელიან ბურკეა

**მარქაფა:** კრისტიან მუნტეანუ, ვლად ნისტორი

**3 ჯარიმა:** ვლაიკუ

საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა ერთა თასის გადამწყვეტი მატჩი მოიგო და ამით ორ თასს დაეუფლა – ერთა თასთან ერთად „ბორჯღალოსნების“ ნადავლი „ანტიმოზ ივერიელის“ თასიც გახდა. ამის გარდა, ქართველებმა გაისად ინგლისში გასამართ მსოფლიოს თასზე უკეთესი ჯგუფი ირგუნეს და ნოემბერში ირლანდიელებთან ტესტ-მატჩი გაინაღდეს.

როდესაც ამ გუნდებმა ერთმანეთში რკენა დაიწყეს, რუმინელები აშკარად უკეთ გამოიყურებოდნენ, მაგრამ საქართველო თანდათან მომძლავრდა და უკვე 4 წელი ვლახებს მოგების გემო არ უგრძნიათ. აქამდე ურთიერთშეხვედრებში 8:8 იყო, შაბათის მატჩის შემდეგ კი „ბორჯღალოსნები“ პირველად გავიდნენ წინ – 9:8.

მხოლოდ 20 წუთი წინააღმდეგობა და შემდეგ რუმინელებს მინიმალური შანსიც არ მიცემიათ. არადა, ანგარიში მეტოქემ მე-3 წუთზე საჯარიმო დარტყმით გახსნა – ფლორინ ვლაიკუმ ზუსტად დაარტყა. ქართველებსაც მალევე მიეცათ შანსი გაეთანაბრებინათ ანგარიში, მაგრამ კვირიკაშვილს დარტყმა გაუცუდდა. სამაგიეროდ, მე-7 წუთზე მოპოვებული ჯარიმით იხეირა და – 3:3.

რუმინელებმა შეძლეს კიდევ ორი საჯარიმოს გამოყენება და 9:3 დაწინაურდნენ. ეს იყო და ეს. „ბორჯღალოსნებმა“ შეძლეს თამაშის სადავეების ხელთ გდება და საბოლოოდ მოახერხეს კიდეც მისი მოგება. 23-ე წუთზე მეკომ კარგად შეასრულა საჯარიმო და ანგარიში 6:9 გახადა. სამიოდე წუთში კი დავით ზირაქაშვილმა მატჩის ერთადერთი ლელო დადო და კვირიკაშვილმა ზუსტად გარდასახა – 13:9.

პირველი ტაიმის დასრულებამდე საქართველოს ნაკრებმა კიდევ ორჯერ მოიპოვა ჯარიმის დარტყმის უფლება. მეკომ ერთის გამოყენება შეძლო, მეორესი კი – ვერა.

მეორე ტაიმში ორივე გუნდმა ბევრი შეცდომა დაუშვა და თამაშიც საკმაოდ არეული და ქაოსური იყო. რუმინელებმა ვერცერთი ქულის აღება მოახერხეს. რაც შეეხებათ ქართველებს, ჩვენებმა 2 საჯარიმო ზუსტად შეასრულეს და თამაშში საბოლოო ანგარიშიც დააფიქსირეს – 22:9. პირველი დარტყმა თავზე მერაბ კვირიკაშვილმა აიღო და ზუსტადაც შეასრულა. მეორე კი კვირიკაშვილის ნაცვლად მოედანზე შემოსულმა ლაშა მალაღურიძემ გაიტანა.

ცნობისთვის, დღევანდელ თამაშს საქართველოსა და რუმინეთის მაღალჩინოსნები ესწრებოდნენ. თასი ქართველ მორაგბეებს ირაკლი ღარიბაშვილმა გადასცა.

**მილტონ ჰეიგი, საქართველოს მორაგბეთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი:**

– ძალიან დაძაბული მატჩი გამოვიდა და მიხარია, რომ გამარჯვება ჩვენ დაგვრჩა. საკმაოდ ცუდად ვითამაშეთ, მაგრამ ამას მარტო ბიჭებს ნამდვილად ვერ დავაბრალებ. ეს კვირა თითოეული ჩვენგანისთვის დაძაბული იყო, რადგან ესპანეთთან საკმაოდ უხარისხო მატჩი ჩავატარეთ. დღეს ვიცოდით, რომ რთული შეხვედრა გველოდა წინ და ასეც აღმოჩნდა. რუმინეთს ძალიან ძლიერი შერკინება ჰყავს, ეს ყველამ იცის, მაგრამ არც ჩვენ ჩამოუვარდებოდით. ც ჯგუფში ახალი ზელანდიის ნაკრებთან მოგვიწევს დაპირისპირება, რასაც ჩემთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რადგან ჩემს სამშობლოს ნაკრებს უნდა ვეთამაშო. ზელანდიას ძალიან ძლიერი შემადგენლობა ჰყავს. სანამ ამ თამაშამდე მივალთ, მანამდე ბევრმა წყალმა უნდა ჩაიაროს.

**ლინ ჰოუელსი, რუმინეთის მორაგბეთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი:**

– დღეს საქართველოს ნაკრები უფრო კარგად თამაშობდა და დაიმსახურა კიდეც გამარჯვება. ჩემი ნაკრების თამაშით ძალიან უკმაყოფილო ვარ. ჩვენი შერკინება უფრო ძლიერი იყო. ნაკრების მთავარი შეცდომა უბურთოდ თამაში იყო. სწორედ ამის გამო ბევრი შეცდომა დავუშვით, რაც მეტოქემ არ გვაპატია. საქართველოსა და რუმინეთის დასახული მიზნები მიღწევადია. ამ ნაკრებებმა მომავალში უფრო ძლიერ გუნდებთან უნდა ითამაშონ. ეს აუცილებელია იმისთვის, რომ გუნდებმა მეტი გამოცდილება მიიღონ.

**ირაკლი მაჩხანელი, საქართველოს ნაკრების კაპიტანი:**

– ძალიან გახარებულები ვართ. ემოციებს ვერ ვმალავ. ძალიან რთული შეხვედრა მოვიგეთ. ამ რთულ თამაშში უნდა გვეჩვენებინა, რომ ევროპის მე-7 გუნდი ვართ და ვფიქრობ გავამართლეთ კიდეც. სასურველი შედეგით დავასრულეთ ტურნირი. ახლა კარგად უნდა მოვემზადოთ ჩემპიონატისთვის. ჯერ წინასწარ ვერაფერს ვიტყვით, ჩვენს ჯგუფში ძლიერი ნაკრებები არიან. ზელანდიას ძლიერი შემადგენლობა ჰყავს და მათთან თამაში ჩვენთვის დიდი გამოცდილება იქნება.

საქართველოსა და რუმინეთის მატჩს ევროპული რაგბის მმართველი ორგანიზაცია ფირას რუმინელი პრეზიდენტი ოქტავიან მორარიუც დაესწრო. ის დარწმუნებულია, რომ საქართველო და რუმინეთი პირველი დონის სარაგბო ქვეყნებს მიუახლოვდნენ, მაგრამ საკლუბო რაგბის განვითარების გარეშე, სამომავლო პერსპექტივები ბუნდოვნად ეჩვენება.

**ოქტავიან მორარიუ:**

– საქართველოს ნაკრები ბევრად ჯობდა რუმინეთისას და დამსახურებულად გაიმარჯვა. ეს მატჩი განსაკუთრებით ჩემთვის და ჩვენი ორგანიზაციისთვისაა მნიშვნელოვანი. გვინდა მსოფლიოს დავანახოთ, რომ პროფესიონალები ვართ და გვინდა რაღაც შევცვალოთ, ამაზე უკეთეს რეკლამას კი, ვერც ვისურვებდით. წინა მსოფლიო თასის შემდეგ, ორივე გუნდი აშკარად გაიზარდა და დღეს უმაღლესი ხარისხის თამაში შემოგვთავაზა. ექვსი ერის გუნდები უკვე გრძნობენ ჩვენს სუნთქვას და ბევრი უნდა ვიმუშაოთ მათ შესავიწროვებლად. წელს თქვენ ირლანდიას შეხვდებით, ასეთი შანსები აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ და მიზანიც მიღწევადი იქნება. თუ ხარისხი სათანადო იქნა, ვიცი რა ექვსი ერის ორგანიზატორების პრაგმატულობა, ჩვენს დამატებაზე უარს აღარ იტყვიან.

**პორტუგალია-ესპანეთი 24:28**

**ბელგია-რუსეთი 20:34**

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.საქართველო | 10 | 9 | 1 | 0 | 286:106 | 41 |
| 2.რუმინეთი | 10 | 8 | 1 | 1 | 242:106 | 38 |
| 3.რუსეთი | 10 | 6 | 0 | 4 | 219:249 | 28 |
| 4.ესპანეთი | 10 | 2 | 2 | 6 | 159:243 | 15 |
| 5.პორტუგალია | 10 | 2 | 1 | 7 | 145:222 | 12 |
| 6.ბელგია | 10 | 0 | 1 | 9 | 124:259 | 6 |

# შედეგები

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ჰალი-სიტი ...... 0:2
სანდერლენდი-კრ.პალასი ...... 0:0
საუთჰემტონი-ნორვიჩი ...... 4:2
სტოკი-ვესტ ჰემი ...... 3:1
სუონსი-ვესტ ბრომვიჩი ...... 1:2
ფულემი-ნიუკასლი ...... 1:0
ევერტონი-კარდიფი ...... 2:1
ასტონ ვილა-ჩელსი ...... 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ჩელსი | 30 | 20 | 6 | 4 | 56-23 | 66 |
| 2.სიტი | 27 | 19 | 3 | 5 | 71-27 | 60 |
| 3.ლივერპული | 28 | 18 | 5 | 5 | 73-35 | 59 |
| 4.არსენალი | 28 | 18 | 5 | 5 | 52-28 | 59 |
| 5.ტოტენჰემი | 29 | 16 | 5 | 8 | 37-37 | 53 |
| 6.ევერტონი | 28 | 14 | 9 | 5 | 40-28 | 51 |
| 7.მანჩესტერი | 28 | 14 | 6 | 8 | 46-31 | 48 |
| 8.საუთჰემპტონი | 30 | 12 | 9 | 9 | 43-37 | 45 |
| 9.ნიუკასლი | 29 | 13 | 4 | 12 | 37-40 | 43 |
| 10.ასტონ ვილა | 29 | 9 | 7 | 13 | 32-38 | 34 |
| 11.სტოკი | 30 | 8 | 10 | 12 | 32-44 | 34 |
| 12.ვესტ ჰემი | 29 | 8 | 7 | 14 | 32-38 | 31 |
| 13.ჰალი | 29 | 8 | 6 | 15 | 30-37 | 30 |
| 14.სუონსი | 29 | 7 | 8 | 14 | 38-43 | 29 |
| 15.ნორვიჩი | 30 | 7 | 8 | 15 | 24-48 | 29 |
| 16.ვესტ ბრომვიჩი | 29 | 5 | 13 | 11 | 33-43 | 28 |
| 17.კრ.პალასი | 29 | 8 | 4 | 17 | 19-38 | 28 |
| 18.სანდერლენდი | 27 | 6 | 7 | 14 | 26-42 | 25 |
| 19.კარდიფი | 30 | 6 | 7 | 17 | 23-52 | 25 |
| 20.ფულემი | 30 | 7 | 3 | 20 | 30-65 | 24 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

ბარნლი-ლიდსი ...... 2:1
ბოლტონი-ბრაიტონი ...... 0:2
ბორმნუთი-მიდლსბრო ...... 0:0
იფსვიჩი-უიგანი ...... 1:3
ქპრ-იოვილი ...... 3:0
ლესტერი-ბლექპული ...... 3:1
მილუოლი-ჩარლტონი ...... 0:0
ნოტინგემი-დონკასტერი ...... 0:0
რედინგი-დერბი ...... 0:0
უოტფორდი-ბარნსლი ...... 3:0
ჰადერსფილდი-ბლექბერნი ...... 2:4
უენსდი-ბირმინგემი ...... 4:1

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ხეტაფე-გრანადა ...... 3:3
ლევანტე-სელტა ...... 0:1
რაიო-ალმერია ...... 3:1
მალაგა-რეალი ...... 1:3
ატლეტიკო-ესპანიოლი ...... 1:0
ელჩე-ბეტისი ...... 0:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეალი | 28 | 22 | 4 | 2 | 77-26 | 70 |
| 2.ატლეტიკო | 28 | 21 | 4 | 3 | 64-21 | 67 |
| 3.ბარსელონა | 27 | 20 | 3 | 4 | 74-22 | 63 |
| 4.ბილბაო | 27 | 15 | 6 | 6 | 50-31 | 51 |
| 5.ვილიარეალი | 27 | 13 | 5 | 9 | 47-33 | 44 |
| 6.სოსიედადი | 27 | 12 | 7 | 8 | 48-39 | 43 |
| 7.სევილია | 27 | 11 | 8 | 8 | 47-42 | 41 |
| 8.ვალენსია | 27 | 10 | 6 | 11 | 39-38 | 36 |
| 9.ესპანიოლი | 28 | 10 | 6 | 12 | 32-34 | 36 |
| 10.ლევანტე | 28 | 9 | 9 | 10 | 26-35 | 36 |
| 11.სელტა | 28 | 9 | 6 | 13 | 33-39 | 33 |
| 12.გრანადა | 28 | 9 | 4 | 15 | 27-39 | 31 |
| 13.ელჩე | 28 | 7 | 9 | 12 | 24-40 | 30 |
| 14.მალაგა | 28 | 7 | 8 | 13 | 26-36 | 29 |
| 15.ოსასუნა | 27 | 8 | 5 | 14 | 24-41 | 29 |
| 16.რაიო | 28 | 9 | 2 | 17 | 32-62 | 29 |
| 17.ხეტაფე | 28 | 7 | 7 | 14 | 26-45 | 28 |
| 18.ვალიადოლიდი | 27 | 5 | 11 | 11 | 29-44 | 26 |
| 19.ალმერია | 28 | 7 | 5 | 16 | 27-52 | 26 |
| 20.ბეტისი | 28 | 4 | 7 | 17 | 23-56 | 19 |

**ესპანეთი. მე-2 დივიზიონი**

ალავესი-მირანდესი ...... 0:2
ხაენი-ხიხონი ...... 3:2
უელვა-რეალი ბ ...... 2:3
დეპორტივო-ბარსელონა ბ ...... 0:0
ლას პალმასი-საბადელი ...... 5:0
ვერონა-ინტერი ...... 0:2
ატალანტა-სამპდორია ...... 3:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 27 | 23 | 3 | 1 | 63-19 | 72 |
| 2.რომა | 26 | 17 | 7 | 2 | 49-12 | 58 |
| 3.ნაპოლი | 27 | 16 | 7 | 4 | 52-29 | 55 |
| 4.ინტერი | 28 | 12 | 11 | 5 | 46-29 | 47 |
| 5.ფიორენტინა | 27 | 13 | 6 | 8 | 45-30 | 45 |
| 6.პარმა | 26 | 11 | 10 | 5 | 41-29 | 43 |
| 7.ვერონა | 28 | 12 | 4 | 12 | 43-46 | 40 |
| 8.ლაციო | 27 | 10 | 8 | 9 | 34-35 | 38 |
| 9.ტორინო | 27 | 9 | 9 | 9 | 39-35 | 36 |
| 10.მილანი | 27 | 9 | 8 | 10 | 39-38 | 35 |
| 11.ჯენოა | 27 | 9 | 8 | 10 | 31-34 | 35 |
| 12.სამპდორია | 27 | 9 | 7 | 11 | 33-39 | 34 |
| 13.ატალანტა | 27 | 10 | 4 | 13 | 28-38 | 34 |
| 14.უდინეზე | 27 | 9 | 4 | 14 | 30-39 | 31 |
| 15.კალიარი | 27 | 6 | 11 | 10 | 27-36 | 29 |
| 16.კიევო | 27 | 6 | 6 | 15 | 22-38 | 24 |
| 17.ბოლონია | 27 | 4 | 11 | 12 | 22-41 | 23 |
| 18.ლივორნო | 27 | 5 | 6 | 16 | 29-50 | 21 |
| 19.კატანია | 27 | 4 | 8 | 15 | 20-46 | 20 |
| 20.სასუოლო | 27 | 4 | 6 | 17 | 25-55 | 18 |

**იტალია. სერია ბ**

ბარი-აველინო ...... 1:0
ვარეზე-პადოვა ...... 0:3
ლანჩანო-ნოვარა ...... 2:1
ლატინა-ტრაპანი ...... 0:1
მოდენა-ემპოლი ...... 0:0
პალერმო-ბრეშა ...... 2:0
რეჯინა-კროტონე ...... 1:4
ჩიტადელა-კარპი ...... 1:0
იუვე სტაბია-ტერნანა ...... 2:3
სიენა-ჩეზენა ...... 1:0

**გერმანია. ბუნდესლიგა**

ბრაუნშვაიგი-ვოლფსბურგი ...... 1:1
დორტმუნდი-გლადბახი ...... 1:2
ვერდერი-შტუტგარტი ...... 1:1
ჰერტა-ჰანოვერი ...... 0:3
ჰოფენჰაიმი-მაინცი ...... 2:4
ბაიერნი-ლევერკუზენი ...... 2:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 25 | 23 | 2 | 0 | 74-12 | 71 |
| 2.დორტმუნდი | 25 | 15 | 3 | 7 | 56-29 | 48 |
| 3.შალკე | 25 | 14 | 5 | 6 | 48-36 | 47 |
| 4.ლევერკუზენი | 25 | 14 | 2 | 9 | 41-29 | 44 |
| 5.მაინცი | 25 | 12 | 5 | 8 | 37-38 | 41 |
| 6.ვოლფსბურგი | 25 | 12 | 4 | 9 | 42-39 | 40 |
| 7.გლადბახი | 25 | 11 | 6 | 8 | 43-32 | 39 |
| 8.აუგსბურგი | 25 | 11 | 5 | 9 | 38-36 | 38 |
| 9.ჰერტა | 25 | 10 | 6 | 9 | 35-31 | 36 |
| 10.ჰოფენჰაიმი | 25 | 7 | 8 | 10 | 54-56 | 29 |
| 11.ჰანოვერი | 25 | 8 | 5 | 12 | 34-43 | 29 |
| 12.ვერდერი | 25 | 7 | 8 | 10 | 29-47 | 29 |
| 13.აინტრახტი | 24 | 6 | 8 | 10 | 27-40 | 26 |
| 14.ნიურნბერგი | 24 | 4 | 11 | 9 | 27-42 | 23 |
| 15.შტუტგარტი | 25 | 5 | 6 | 14 | 39-52 | 21 |
| 16.ჰამბურგი | 24 | 5 | 5 | 14 | 39-53 | 20 |
| 17.ფრაიბურგი | 24 | 4 | 7 | 13 | 22-45 | 19 |
| 18.ბრაუნშვაიგი | 25 | 4 | 6 | 15 | 20-45 | 18 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

კოტბუსი-კარლსრუე ...... 1:0
აუე-მიუნხენ 1860 ...... 2:2

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

ლილი-ნანტი ...... 0:0
აიაჩო-გენგამი ...... 1:2
ნიცა-ბასტია ...... 2:0
რენი-ტულუზა ...... 2:3
სოშო-ლორიანი ...... 2:0
ევიანი-ვალანსიენი ...... 0:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 28 | 20 | 7 | 1 | 67-18 | 67 |
| 2.მონაკო | 28 | 17 | 8 | 3 | 46-22 | 59 |
| 3.ლილი | 29 | 15 | 8 | 6 | 33-18 | 53 |
| 4.სტ.ეტიენი | 28 | 14 | 6 | 8 | 38-24 | 48 |
| 5.ლიონი | 28 | 12 | 9 | 7 | 42-32 | 45 |
| 6.მარსელი | 29 | 12 | 8 | 9 | 39-31 | 44 |
| 7.რეიმსი | 29 | 11 | 10 | 8 | 38-37 | 43 |
| 8.ტულუზა | 29 | 11 | 9 | 9 | 37-40 | 42 |
| 9.ბორდო | 28 | 11 | 7 | 10 | 35-33 | 40 |
| 10.ნიცა | 29 | 11 | 4 | 14 | 26-33 | 37 |
| 11.ბასტია | 29 | 10 | 7 | 12 | 31-43 | 37 |
| 12.ლორიანი | 29 | 10 | 6 | 13 | 36-40 | 36 |
| 13.გენგამი | 29 | 9 | 8 | 12 | 28-30 | 35 |
| 14.მონპელიე | 28 | 6 | 15 | 7 | 33-33 | 33 |
| 15.ნანტი | 29 | 9 | 6 | 14 | 25-32 | 33 |
| 16.რენი | 29 | 7 | 10 | 12 | 34-37 | 31 |
| 17.ევიანი | 29 | 7 | 9 | 13 | 28-44 | 30 |
| 18.ვალანსიენი | 29 | 7 | 7 | 15 | 30-46 | 28 |
| 19.სოშო | 29 | 6 | 7 | 16 | 25-50 | 25 |
| 20.აიაჩო | 29 | 2 | 9 | 18 | 25-53 | 15 |

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

ანჟე-კრეტეი ...... 2:2

**ჰოლანდია. ეშედივიზიონი**

ვიტესი-პსვ ...... 1:2
დენ ჰააგი-გრონინგენი ...... 2:1
ერაკლესი-როდა ...... 2:1

**პორტუგალია. ა ლიგა**

აკადემიკა-ბრაგა ...... 1:1
ჟილ ვისენტე-რიუ ავე ...... 1:2
ეშტორილი-მარიტიმუ ...... 1:0
გიმარაეში-ფერეირა ...... 1:2

**რუსეთი. პრემიერლიგა**

კრ.სოვეტოვი-როსტოვი ...... 0:2
ცსკა-ზენიტი ...... 1:0
ყუბანი-დინამო ...... 1:1
ამკარი-ლოკომოტივი ...... 0:0

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

დ.იუნაიტედი-სტ.მირენი ...... 3:2
პარტიკი-ჰიბერნიანი ...... 3:1
სტ.ჯონსონი-როსი ...... 0:1

**შვეიცარია. სუპერლიგა**

სტ.გალენი-იანგ ბოიზი ...... 1:1
თუნი-ლოზანა ...... 2:2

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

გროდიგი-ინსბრუკი ...... 1:1
ადმირა-ნოიშტადი ...... 3:0
რაპიდი-რიდი ...... 1:0
შტურმი-ავსტრია ...... 1:1

**თურქეთი. სუპერლიგა**

ქაშიმფაშა-გენჩლერი ...... 1:2
აკხისარი-ანთალია ...... 0:0
რიზე-ბეშიქთაში ...... 2:2

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

ვერია-ატრომიტოსი ...... 1:1
ოფი-აპოლონი ...... 2:0
ოლიმპიაკოსი-პანთრათიკოსი ...... 2:0

**ჩეხეთი. გამბრინუსლიგა**

პრჟიბრჟამი-სპარტა ...... 0:1

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

ლეჩნა-ვიძევი ...... 2:0
გურნიკი-პოგონი ...... 1:1

**უკრაინა. პრემიერლიგა**

კარპატი-ვოლინი ...... 0:1
მეტალურგი(დ)-ილიჩევეცი ...... 1:1
დნიპრო-სევასტოპოლი ...... 3:0

**დანია. სუპერლიგა**

ნორდსიელანდი-ვესტშელანი ...... 1:2

**ჩოგბურთი**

**აშშ. ინდიანა უელსი**

ჯოკოვიჩი-ისნერი ...... 7:5;6:7;6:1

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

# ვინ იყენებს ზაზა ურუშაძის სახელს?

ეკა ირემაშვილი

ქართველი კინორეჟისორი ზაზა ურუშაძე აცხადებს, რომ ვიღაც მის სახელს იყენებს და გოგონებს ფილმში მონაწილეობას სთავაზობს. ამაში ალბათ უცნაური არაფერია, თუმცა ფაქტი, რის გამოც რეჟისორი გაღიზიანდა, პირველ რიგში მისი სახელის გამოყენებაა, მეორე რიგში კი ის, რომ ზაზა ურუშაძის ორეული ორეული გოგონებს ეროტიკულ ფილმში მონაწილეობას სთავაზობს:

– ვიღაც ავადმყოფი აფერისტი, თურმე, ქუჩაში აჩერებს გოგოებს, ეუბნება, ზაზა ურუშაძე ვარო და სთავა-



ზობს კინოში გადაღებას, თან ეკითხება, თუ ითამაშებს ეროტიკულ ეპიზოდში! ეს ტიპი რაღაცით მგავს თურმე, შავი სათვალე უკეთია, შავი ჯიპით მოძრაობს, – ეს განცხადება რეჟისორმა რამდენიმე დღის წინ გააკეთა და ჩათვალა, რომ პრობლემა გადაჭრილია, რადგან საზოგადოება საქმის კურსში ჩააყენა, თუმცა როგორც აღმოჩნდა, ზაზა ურუშაძის ორეული კვლავ აგრძელებს გოგონების „შერჩევას“ თავისი ეროტიკული ფილმისთვის:

– ესე იგი, ეს ვიღაც მანიაკი ისევ აჩერებს გოგოებს და ახლა უკვე ეუბნება ზაზა ურუშაძის ძმა ვარო, ხან ბიძაშვილიო! ვერცხლისფერი ჯიპით მოძრაობს, ნომერიც გავიგე მგონი. ვაი, მაგის პატრონს! რა დაემართება არ იცის, თუ ჩამივარდა ხელში!, – აცხადებს რეჟისორი.

# სამებაში შემეცნებითი საუბრები განახლდა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ბები“, სადაც მომხსენებლებმა საქართველოს ეროვნული აკადემიის პრეზიდენტმა ლადიუს რამიშვილმა და თანამომხსენებლებმა გურამ მეტეხელმა, ზურაბ კირვალიძემ, ნუკრი ცერცვაძემ, გიორგი ლილუაშვილმა ამ სფეროში არსებულ პრობლემებსა და სამომავლო გეგმებზე ისაუბრეს. სიტყვით გამოსვლის სურვილი გამოთქვეს საქართველოს ეროვნული აკადემიის წევრებმა ლეილა ნაჭყებიამ, დავით ძამუკაშვილმა, ნოდარ მამისაშვილმა, ირინა თურქიამ, ალექსანდრე ფერიაშვილმა.

– ჩვენს ცენტრში მთელი წლის განმავლობაში სხვადასხვა ღონისძიებები იმართება. მათ შორისაა, საქველმოქმედო საღამოები, ლიტერატურული შეხვედრები, სახვითი ხელოვნების ნიმუშების გამოფენები, ახალი გამოცემების წარდგინებები. ჩვენ უკვე ვუმასპინძლეთ არქიმანდრიტ იოანეს (კოგანი) წიგნის „ტყვეობიდან სინათლისკენ ანუ ერთი ადამიანის აღსარება“ წარდგინებას. წიგნი მოგვითხრობს არქიმანდრიტი იოანეს განვლილი ცხოვრების შესახებ, დაბადებიდან მონაზვნობამდე. წიგნის თარგმანზე მუშაობდნენ მზია თამაზაშვილი, თინათინ ცანკაშვილი, თამარ ერისთავი. კრებული დაიბეჭდა შ.პ.ს. „ფავორიტი სტილში“. ჩვენ ვუმასპინძლეთ ნინო კობახიძის წიგნის „დედამიწაზე ემიგრანტებად გაბნეული ასურელები“ წარდგინებას. გამოცემაში მხატვრულადაა გადმოცემული უძველესი ისტორიული ერის ასურელების თავგადასავალი. ამავე ცენტრში მოეწყო გაბრიელ ჭინჭარაულის წიგნის „მაგროვდეს ლექსის სიტყვანი“ წარდგინება, რომელიც გამომცემლობა „მერიდიანში“ დაიბეჭდა. მისი რედაქტორია ამირან არაბული. ლექსების კრებულში შესულია სამშობლოსა და გმირების თემატიკაზე დაწერილი ლექსები. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს პოეტებმა თინათინ ჭინჭარაულმა, ხოშექა ჭინჭარაულმა, თამარ არაბულმა და მომღერლებმა დებმა წიკლაურებმა. თავისი წიგნი წარადგინა ჩვენს ცენტრში მაკა ჩხაიძემ, რომელსაც „ცხოვრება წმიდისა ნინოჲსი“ ეწოდება. წიგნი წმინდანის ცხოვრების ხუთ სხვადასხვა უძველეს წერილობით წყაროს ეფუძნება და მათ შეჯერებულ და გაერთიანებულ ვერსიას წარმოადგენს. წარმოდგენილი წიგნი პირველი მცდელობაა წყაროთა ასეთი გაერთიანებისა. ძველ წყაროებში განსხვავებული აქცენტით და სისავსით არის მოთხრობილი ცალკეული ფაქტი და მოვლენა. წარმოდგენილ წიგნში, წმიდა ნინოსთან და ქართლის მოქცევასთან დაკავშირებული, ყველა მოვლენა თანამიმდევრულად და უკლებლივაა გადმოცემული, რათა სრულად წარმოჩენილიყო და თანამედროვე ქართველთათვის უფრო ახლობელი, საყვარელი და მნიშვნელოვანი გამხდარიყო განმანათლებელი ქალწულის ცხოვრება და ღვაწლი, მისი მისია ქართველი ერის წინაშე. წიგნს დართული აქვს ვრცელი შენიშვნები და განმარტებები, უხვად არის ილუსტრირებული ავტორის მიერ და განკუთვნილია მკითხველთა ფართო წრისათვის. ჩვენს ცენტრში ხშირია ოიტერატურული საღამოებიც. დევნილთა სოლიდარობის ცენტრმა გამართა ლიტერატურული საღამო „შიდა ქართლი“, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს შიდა ქართლის რეგიონიდან დევნილობაში მყოფმა 7 შემოქმედმა. მათ შორის როგორც ფართო საზოგადოებისათვის კარგად ცნობილმა ავტორებმა, ისე დამწყებმა ლიტერატორებმა. დევნილთა სოლიდარობის ცენტრმა კი ლიტერატურული საღამოს თითოეული მონაწილე დააჯილდოვა. ეს საღამო მიეძღვნა მშობლიური საცხოვრებელის მონატრებას და მშობლიურ ჭერქვეშ დაბრუნების სამოქალაქო ინტერესს, რაც გაცხადებულ იქნა სამშვიდობო პოლიტიკის სულისკვეთებით და ხალხთა შორის მშვიდობიანი თანაცხოვრების მოთხოვნით. ღონისძიებაზე ნაჩვენები იქნა შიდა ქართლის შესახებ გადაღებული მოკლე სატელევიზიო ფილმიც. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს ორგანიზებით, გაიმართა ეროვნული გმირის ჟიული შარტავას 70 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ლიტერატურულ-შემოქმედებით კონკურსში „ომის გარეშე“ გამარჯვებული ნამუშევრების წარდგინება-დაჯილდოება. კონკურსი განხორციელდა ნომინაციებში საუკეთესო ლექსი და საუკეთესო თხზულება. გამარჯვებული ნამუშევრების ავტორები და კონკურსის მონაწილეები დაჯილდოვდნენ შესაბამისი სიგელებითა და ფულადი ჯილდოებით. საპატრიარქოს ახალგაზრდულ ცენტრში გაიმართა შაბურა არაბულის ხსოვნის საღამო, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს სკოლის მოსწავლეებმა. ამავე ღონისძიებაზე გაიმართა ელექტრონული ჟურნალის „შაბურა არაბულის პოეზია“ წარდგინება. საღამოს ესწრებოდნენ შაბურას ძმა ამირან არაბული, მისი თანაკურსელები, ფილოლოგის მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები, პოეტები, ჟურნალისტები, ლიტერატორები. საქართველო-იტალიის კულტურულ-ურთიერთობათა ასოციაცია „თბილისი-რომის“ პრეზიდენტმა მარინა ხონელიძემ პოეზიის საღამო სწორედ ჩვენს ცენტრში დაგეგმა, რომელსაც კულტურისა და ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწეები ესტუმრნენ. ახალგაზრდა პოეტებმა ნიკოლოზ კოპალიანმა, თამარ ლომთაძემ, თეიმურაზ ქორიძემ თავისი შემოქმედებითი საღამო ჩვენს ცენტრში მოაწყეს. ჩვენ ასევე გავიხსენეთ ჟურნალისტები ნესტან ჭელიძე და ბონდო გაგნიძე. ამ ღონისძიებაზე სიტყვით გამოსვლის სურვილი გამოთქვეს ლევან ფრუიძემ, როინ მეტრეველმა, ნიკო ლეკიშვილმა, გურამ გორდეზიანმა, თემურ ჩალაბაშვილმა, ანა ერისთავმა, ნუნუ გრძელიშვილმა, გია ჯოხაძემ. ხსოვნის საღამოში მონაწილეობა მიიღო ანსამბლმა „ძირიანი“, თეატრალურმა კვარტეტმა და ქართულმა ხმებმა, – განაცხადა ახალგაზრდული ცენტრის წარმომადგენელმა.

მიმსივე თქმით, ჟურნალმა „კარიბჭემ“ 10 წლის იუბილე საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის დარბაზში აღნიშნა:

– ჟურნალიმა „კარიბჭემ“ 10 წლისა იუბილესთან დაკავშირებით გამართა შეხვედრა მკითხველებთან, სამღვდელოებასთან, ჟურნალის ყველა გულშემატკივართან და მედიის წარმომადგენლებთან. წლების განმავლობაში, „კარიბჭემ“ არსებითი წვლილი შეიტანა საზოგადოების მართლმადიდებლურ განათლებაში, სულიერების ჩამოყალიბებასა და სრულყოფაში. აღსანიშნავია ისიც, რომ ჟურნალ „კარიბჭეს“ საეკლესიო ცხოვრების ამსახველ მედიაში სავსებით გამორჩეული და თვითმყოფადი ადგილი უჭირავს. ჩვენმა ცენტრმა აღნიშნა ვოლფგანგ ამადეუს მოცარტის გარდაცვალების 222 წლისთავიც. ამ თარიღს მიეძღვნა სამეცნიერო-მხატვრული ვიქტორინა-კონცერტი: „გენიოსები არ კვდებიან“. ღონისძიების ავტორი და წამყვანი გახლდათ ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, ილია ჭავჭავაძის სახელობის საეთაშორისო სამეცნიერო კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოება „ცოდნა“-ს პროფესორი, ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი ღირსების ორდენის კავალერი ნიკო მუმლაძე. ღონისძიებას კი ესწრებოდნენ კულტურისა და ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწეები, – აღნიშნა ნათია გოგუაძემ.

მისივე განმარტებით, მთელი წლის განმავლობაში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია მეორის ინიციატივით, სამებაში იმართება შეხვედრები მცირე და საშუალო ბიზნესის დაწყებისა და განვითარების საკითხით დაინტერესებულ პირთათვის, რომელიც ამ სფეროში გაერთიანებულ ყველა სფეროს ეტაპობრივად წარმოადგენს.

# ჩინეთის ხელოვნების დასი თბილისში ჩამოვიდა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ვდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩს ბინ იუეს და ჩინეთის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საშემსრულებლო ხელოვნების დასის წარმომადგენლებს ძინ ვანის და ლინ ლის. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა კოლექტივები ასევე შეხვდნენ ყრუთა კავშირის, უსინათლოთა კავშირის წარმომადგენლებს.

– საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით საქართველოს ესტუმრა ჩინეთის შშმ პირთა საშემსრულებლო ხელოვნების დასი „იუნესკოს არტისტები მშვიდობისათვის“. დასი მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესოა და ის ასზე მეტ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე შემსრულებლს აერთიანებს. მუსიკალური შოუ დასს მსოფლიოს 60 ქვეყანაში აქვს წარმოდგენილი. შოუს პროგრამაში შედის პეკინის ოპერის მუსიკალური და ცეკვის დრამატული წარმოდგენები, ასევე ნიშნების ენით შესრულებული პოეზია და მხედველობადაქვეითებულ პირთა მიერ შესრულებული ცეკვა. ჩინეთის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ხელოვნების დასი 1987 წელს. ფართომასშტაბიანი წარმოდგენა „ჩემი ოცნება“ დასმა 2000 წელს დადგა და მალევე მოიპოვა საზოგადოების აღიარება. 2004 წელს დასმა საქველმოქმედო ფონდი შექმნა და გადაიღო დოკუმენტური ფილმი „ჩემი ოცნება“, ასევე გამოსცა წიგნები და ბროშურები, რომლებიც შშმ შემსრულებელთა ცხოვრებას ეძღვნება. დასი „იუნესკოს არტისტები მშვიდობისათვის“ მრავალი საერთაშორისო ტიტულის მფლოებალია: „სილამაზისა და ჰუმანურობის მაცნე“, „მსოფლიოს 600 მილიონი შშმ ადამიანის ელჩი“ და „განსაკუთრებული ხელოვნების ჩირაღდნის მატარებელი“. ეს დასი ატარებს საპატიო სახელს „იუნესკოს არტისტები მშვიდობისათვის“, – განაცხადა დასის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა ლინ ლიმ.

# ფაჩულია თამაშით აგებს, შენგელია უთამაშებლად იგებს

ამერიკის საკალათბურთო ასოციაციაში მორიგი მატჩები გაიმართა. ითამაშა ორივე ქართელის გუნდმა და ტრადიციული სცენარი გათამაშდა: ზაზა ფაჩულიას გუნდი დამარცხდა, თორნიკე შენგელიას „ჩიკაგომ“ კი იმარჯვა, ოღონდ ქართველი ფორვარდის დაუხმარებლად.

„მილუოკიმ“ სეზონის 53-ე წაგება „მედისონ სკვერ გარდენში“, „ნიუ იორკ ნიქსთან“ განიცადა. ფაჩულიას გუნდმა ამჯერად ისე წააგო, ბოლომდე იბრძოლაო, ვერ ვიტყვით. ნიუიორკელებმა პირველი ტაიმი 18 ქულით მოიგეს და საფინალო სირენამდე ისე მივიდნენ, სტუმართაგან საფრთხე არ დამუქრებიათ – 115:94 იმარჯვეს.

ქართველმა ცენტრმა სასტარტო ხუთეულში ითამაშა, თუმცა მოედანზე 20 წუთი დაჰყო. ფაჩულიამ 3-დან 2 ორქულიანი ჩააგდო, ჯამში 4 ქულა დააგროვა და ამას 5 მოხსნა, 4 პასი და 1 ჩაჭრა მოაყოლა. საერთოდ, მილუოკელებმა შედეგიანობა ვერ გამოავლინეს. ყველაზე მეტი (15 ქულა) ნეიტ ვოლტერსმა დააგროვა.

„მილუოკი“ მომდევნო მატჩს შინ „შარლოტთან“ გამართავს, რის შემდეგაც დასავლურ ტურნეში გაემგზავრება. რაც შეეხება „ჩიკაგოს“, შენგელიას გუნდმა დასავლეთის ერთ-ერთ მაჩანჩალა „საკრამენტოს“ უმასპინძლა და გვარიანი გაჭირვებით – 94:87 დაამარცხა.

შენგელია განაცხადში იყო, თუმცა მოედანზე არ გასულა. ჩიკაგოელებს დიდად წაადგათ ჟოაკიმ ნოას თითქმის სამმაგი დუბლი – 23 ქულა, 11 მოხსნა და 8 პასი. ასევე ტაჯ გიბსონის 27 წუთში მოხვეჭილი 19 ქულა და 9 მოხსნა.

37 მოგებით და 29 მარცხით „ჩიკაგო“ აღმოსავლეთ კონფერენციის მე-4 საპატიო ადგილზეა და რეგულარულ ჩემპიონატში დარჩენილ 16 მატჩში მთავარ მიზნად ოდნავ წინ მყოფი „ტორონტოს“ გადასწრება აქვს. შენგელიას გუნდი მომდევნო მატჩს შინ, „ოკლაჰომასთან“ გამართავს.

შ. ჟ.

# ზურაბ აზმაიფარაშვილი საევროპოდ ემზადება

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილის ზურაბ აზმაიფარაშვილის ევროპის საჭადრაკო ფედერაციის საარჩევნო კამპანიის ოფიციალური წარდგენა 16 მარტს გაიმართება.

ევროპის 2003 წლის ჩემპიონი ზურაბ აზმაიფარაშვილი წარადგენს იმ ადამიანებს, ვისთან ერთადაც მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში იბრძოლებს.

ევროპის ჭადრაკის ფედერაციის არჩევნები 12 აგვისტოს ტრომსოში (ნორვეგია) მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის მსვლელობის დროს გაიმართება. არჩევნების წესდების თანახმად, კანდიდატი, რომელიც არჩევნებში მონაწილეობას აპირებს, აუცილებლად გუნდთან ერთად რეგისტრირდება.

ქართველი დიდოსტატის გარდა, პრეზიდენტის პოსტისთვის ევროპის ჭადრაკის ფედერაციის მოქმედი პრეზიდენტი სილვიო დანაილოვიც იბრძოლებს, ხოლო, კანდიდატთა დარეგისტრირების ვადა 5 მაისს იწურება.

ზურაბ აზმაიფარაშვილის საარჩევნო კამპანიის ოფიციალური პლატფორმის წარდგენას ლეგენდარული უნგრელი მოჭადრაკე იუდიტ პოლგარიც დაესწრება, რომელიც თბილისში სპეციალურად ამ ღონისძიებაზე დასასწრებად ჩამოვიდა. წარდგენას ასევე დაესწრება მსოფლიოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი კირსან ილუმჟინოვი.

აღსანიშნავია, რომ ზურაბ აზმაიფარაშვილის საარჩევო კამპანიის პლატფორმის წარდგენაზე მოწვეული იყო მსოფლიოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტობის კანდიდატი გარი კასპაროვიც, თუმცა, მან თბილისში ჩამოსვლა ვერ მოახერხა.

შ. ჟ.

# სკანვორდი



1. მრავალრიცხოვანი ხალხის გარკვეული სვლა; 2. შინაური ფრინველი; 3. ლანგარი; 4. ... დუმბაძე; 5. იგივეა, რაც კნუტი; 6. ესპანურად „ბატონს“ ნიშნავს; 7. ნადირობა ან მოგზაურობა აფრიკაში; 8. ღამის პეპელა; 9. ჭადრაკის ფიგურა; 10. კუნძული ინდოეთის ოკეანეში; 11. პოლიტიკური ბრძოლის ხერხები; 12. ძვირფასი ქვა; 13. ადამიანის ბიოველი; 14. ნატეხი შაქარი; 15. „სამი ...“ (რემარკი); 16. გემის კორპუსის ნაწილი; 17. მდიდრული ცხოვრების მოყვარული ფრანგ თავადაზნაურებში; 18. სატურნის თანამგზავრი; 19. ... პაჩინო; 20. ვულკანიდან ამონთხეული გავარვარებული მასა; 21. ტროპიკების ცხოველი ხორთუმისებრი ცხვირ-ტუჩით; 22. სოლო სიმღერა ოპერაში; 23. საზოგადოებრივი წონა, ავტორიტეტი; 24. მამულიშვილი; 25. თბილი ქვეყნების ხე ან ბუჩქი; 26. ეგვიპტელთა მზის ღვთაება; 27. ციფრი; 28. სოფელი გარდაბნის რაიონში; 29. მოკლე ალეგორიული მოთხრობა ან ლექსი; 30. უეცარი შიში, თავზარი; 31. მეექვსე ნოტი.

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები

### კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. აღდგომა; 2. უბისა; 3. კარაკასი; 4. ჩაპალა; 5. მაღრაძე; 6. ფარვანა; 11. ანოდი; 13. წალკოტი; 14. ზეთისხილი; 15. ბუდაპეშტი; 17. ასკოტი; 18. თარაზო; 19. ზებუ.

**თარაზულად:** 7. დღეობა; 8. კაპაბლანკა; 9. ეგრისი; 10. ჯაბადარი; 12. სარწყუნისი; 14. ზნეობა; 16. ტაილანდი; 18. თეთნულდი; 20. ბრასი; 21. სპა; 22. პორტრეტი; 23. ვიში; 24. გუბაზოული.

### კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. კიქსი; 2. პლისკა; 4. დიაფანი; 5. პრუსია; 6. დინდგელი; 7. მანგლისი; 10. აზოტი; 12. პაიჭაძე; 13. პროლოგი; 16. ლიმიტი; 17. კვაზარი; 18. ნადუღი; 19. „კაჭიჭი“; 21. ოდიში.

**თარაზულად:** 3. პიკადელი; 8. ფიკუსი; 9. აბსოლუცია; 11. „ნიანგი“; 12. პლზენი; 14. ლაისტი; 15. მერინოსი; 20. ძლოკვი; 22. ჭორვილა; 23. მანე; 24. პირსინგი; 25. კივი; 26. კორომი; 27. სიამი.

# ყირიმი: რეფერენდუმი ძალადობის თანხლებით

## რუსეთი აღმოსავლეთ უკრაინის ოკუპაციისათვის ემზადება, — თვლიან კიევში

— რეფერენდუმის მოახლოებასთან ერთად რუსების აგრესია იზრდებოდა, — იტყობინება რადიო „თავისუფლება“.

უკრაინული მედიის ცნობით, რუსი ჯარისკაცები და ე.წ. „ყირიმის თავდაცვის რაზმები“ სულ უფრო თავხედურად იქცეოდნენ. პარალელურად რუსული სპეცსამსახურები უკრაინის სხვა რეგიონებშიც აქტიურდებოდნენ.

— პროვოკაციები დონეცკსა და ხარკოვშიც მოეწყო. ხარკოვში იქაურმა ექსტრემისტებმა თავიანთი ე.წ. „რეფერენდუმი“ ჩაატარეს. დონეცკელმა სეპარატისტებმა კი პუტინს რუსული არმიის შემოყვანა მოსთხოვეს, — იტყობინება „ინტერი“.

რუსეთ-უკრაინის საზღვართან დიდძალი სამხედრო ტექნიკა და ცოცხალი ძალაა თავმოყრილი. რადიო „თავისუფლების“ ცნობით, იქ 80 000 რუსი ჯარისკაცია კონცენტრირებული. უკრაინული სახმელეთო ჯარები დღეისათვის სულ 40 000 მებრძოლს ითვლის.

### ცოცხალი ჯაჭვი აგრესიის წინააღმდეგ

ბობოქარი მოვლენები განვითარდა ხარკოვში. რუსული აგენტურის წყალობით, აქ შეტაკებების პროვოცირება მოხდა, დაიღუპნენ ადამიანები. თავად ყირიმში კი ტერორი გრძელდებოდა. ჟურნალისტებზე თავდასხმამ ფართომასშტაბიანი ხასიათი მიიღო. უკრაინული მასმედიის წარმომადგენელთა გარდა ექსტრემისტები თავს უცხოელებსაც ესხმოდნენ. 15 მარტს ფრანგ ჟურნალისტებს სასტიკად სცემეს. უკრაინის ტელეკომპანია მე-5 არხის ცნობით დღეისათვის ნაცემია 20-ზე მეტი ჟურნალისტი. მათ ართმევდნენ კამერებს, ძარცვავდნენ. პარალელურად მიმდინარეობდა ზეწოლა ყირიმელ თათრებსა თუ უკრაინელ პატრიოტებზე. მათ ლიდერებს იტაცებდნენ ფიზიკურად უსწორდებოდნენ. ექსტრემისტები აშკარად იმუქრებიან, რეფერენდუმის შემდეგ ყირიმელ თათრებს ფიზიკურად გავუსწორდებითო.

— მიუხედავად ამისა, არც თათრები, არც ნახევარკუნძულზე მცხოვრები უკრაინელი პატრიოტები ფარ-ხმალს არ ყრიან, — იტყობინება რადიო „თავისუფლება“.

15 მარტს სიმფეროპოლში, იტალაში, ბახჩისარაისა თუ სხვა ქალაქებში ე.წ. რეფერენდუმის საწინააღმდეგო მასიური აქციები ჩატარდა. ქუჩებში ათასობით ადამიანი გამოვიდა, რომლებმაც ცოცხალი ჯაჭვი გააკეთეს.

— არა რეფერენდუმს, ყირიმი უკრაინის განუყოფელი ნაწილია! — სკანდირებდნენ ისინი.

15 მარტს მილი-მეჯლისის სხდომა ჩატარდა. მან ყირიმელ თათართა პოზიცია კიდევ ერთხელ დააფიქსირა: ჩვენ რუსეთთან შეერთების კატეგორიულად წინააღმდეგნი ვართ, ოკუპაციისა და ძალადობის პირობებში ჩატარებულ რეფერენდუმსაც ბოიკოტს ვუცხადებთ, — ნათქვამია მილი-მეჯლისის განცხადებაში.

### რუსული დესანტი

15 მარტს მსოფლიო ახალმა ცნობამ შეძრა: ხერსონის ოლქში რუსული დესანტი (80 ჯარისკაცის ოდენობით) გადმოსხეს. უკრაინულმა არმიამ კონტრზომები უმალ განახორციელა და რუსებიც იძულებულნი გახდნენ, უკან დაეხიათ.

— ესაა გაუგონარი თავხედობა! როგორც ჩანს, კრემლი კონფლიქტის ესკალაციაზე მიდის! — ასეთი იყო თეთრი სახლის პოზიცია.

აღშფოთებას თავად ხერსონელებიც ვერ მალავდნენ. ისინი ქუჩაში გამოვიდნენ, რათა თავიანთი აღშფოთება გამოეხატათ:

— რა უნდათ აქ მოსკალებს?! ვინ დაპატიჟა? — ამბობდნენ ისინი.

თავად კრემლმა მომხდარი ასე ახსნა: ყირიმის თავდაცვის ძალებმა ანტი-ტერორისტული ოპერაცია ჩაატარეს, ჩვენ ამასთან საერთო არაფერი გვაქვს. თუმცა ამისა არავის სჯეროდა.

— დღეს რუსეთი მარტოა! — განაცხადა გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა, — თუკი პუტინმა მომავალშიც ასეთი მოქმედება გააგრძელა, ეს რუსეთისათვის ცუდად დამთავრდება!

### რუსეთი იზოლაციაში ექცევა

რუსულ-უკრაინულ კონფლიქტს 15 მარტს გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომა მიეძღვნა. უკრაინული მხარე კატეგორიულად მოითხოვდა, რომ ყირიმის რეფერენდუმი უკანონოდ ეცნოთ. ამას ბევრი წამყვანი ქვეყნის წარმომადგენელი იზიარებდა:

— ის, რაც დღეს ყირიმში ხდება, საერთაშორისო კანონმდებლობის უხეში დარღვევაა! პუტინის საქციელი ადოლფ ჰიტლერის მოქმედებას მაგონებს, — განაცხადა დიდი ბრიტანეთის პრემიერმა ქემერონმა.

გერმანიის კანცლერი მერკელი უფრო თავშეკავებული იყო, თუმცა შექმნილი ვითარება მასაც აიძულებდა ხისტი ყოფილიყო:

— თუკი რუსეთი ყირიმის ანექსიაზე წავა, ევროპა მის წინააღმდეგ სანქციებს შემოიღებს, თუმცა ეს ჩვენ არ გვსურს, — თქვა მერკელმა.

გერმანიამ ყირიმთან დაკავშირებით გაეროს რეზოლუციის მომზადებაში აქტიური მონაწილეობა მიიღო. მასთან ერთად რეზოლუციის ტექსტზე აქტიურად მუშაობდნენ ინგლისი, საფრანგეთი, თურქეთი, ბულგარეთი, ხორვატია და, რასაკვირველია, უკრაინა. ერთადერთი ქვეყანა, რომელმაც ამას მხარი არ დაუჭირა, რუსეთი გახლდათ.



— მოსკოვმა ვეტოს უფლება გამოიყენა, — იტყობინება რადიო „თავისუფლება“.

კენჭისყრისას რუსეთი მარტო დარჩა და ვეტოს გარდა სხვა გამოსავალი უბრალოდ აღარ დარჩა. თვით ჩინეთმაც კი მას მხარი არ დაუჭირა.

— ამ ეტაპზე ჩვენ თავი შევიკავეთ, — განაცხადა ჩინეთის წარმომადგენელმა.

### შოუ

— რეფერენდუმი მშვიდ ვითარებაში მიმდინარეობს, ექსცესებს ადგილი არა აქვს. საარჩევნო უბნებთან დიდი რიგებია. მოსახლეობა იმედითა და ენთუზიაზმითაა სავსე, — იტყობინება ტელეკომპანია „როსია 24“.

რუსი ჟურნალისტები, როგორც ყოველთვის, სასურველს სინამდვილედ ასაღებენ. რეალობა ბევრად განსხვავებულია. რეფერენდუმის დღეს ყირიმის ქალაქების ქუჩები შეიარაღებული ხალხით იყო სავსე. ესენი იყვნენ როგორც ე.წ. „ყირიმის თავდაცვის“ მებრძოლები, ასევე რუსი ჯარისკაცები. ყველა საარჩევნო უბანი მათი კონტროლის ქვეშ იმყოფებოდა. პრორუსული აგიტაცია რეფერენდუმის დღეს დღისით-მზისით მიმდინარეობდა. ამას მუქარაც ერთვოდა.

— ვინც რუსეთს მხარს არ დაუჭერს, იმას მალე გავუსწორდებით! ჩვენი უშიშროება კარგად მუშაობს. ზუსტად ვიცით, ვინ რით სუნთქავს, ვინ რას ლაპარაკობს, — აცხადებდნენ შეიარაღებული ჯარისკაცები.

16 მარტს სევასტოპოლში უცნობმა პირებმა უკრაინული პატრიოტული ორგანიზაცია „უდარის“ რამდენიმე აქტივისტი გაიტაცეს. მათი ადგილსამყოფელი ჯერჯერობით უცნობია. იმავე დღეს სიმფეროპოლში შეიარაღებულმა პირებმა ბერძნულ-კათოლიკური ეკლესიის მღვდელი მამა ნიკოლოზი დააკავეს. მას დესტაბილიზაციის ორგანიზებასა და ანტი-რუსულ პროპაგანდაში დასდეს ბრალი. მამა ნიკოლოზის გათავისუფლება მოხერხდა, „უდარის“ წევრების ბედი კი ჯერჯერობით უცნობია. ძალადობის ფაქტები ამით როდი ამოიწურა. რადიო „თავისუფლების“ ცნობით, უკრაინელ სამხედროებზე ზეწოლა და შანტაჟი გრძელდება.

— მათ აიძულებენ, რეფერენდუმში მონაწილეობა მიიღონ. არგუმენტი, სხვა ქვეყნის მოქალაქეები ვართო, არ ჭრის. რუსი ჯარისკაცები პასუხობენ, რომ ამას მნიშვნელობა არა აქვს, მალე ყველანი ერთ სახელმწიფოში ვიცხოვრებთ და ერთ არმიაში ვიმსახურებთო, — იტყობინება რადიო „თავისუფლება“.

ძალადობის მიუხედავად უკრაინელ სამხედროთა უმრავლესობა ფიცის ერთგული დარჩა და რეფერენდუმად წოდებულ შოუში მონაწილეობა არ მიიღო. რუსმა ჯარისკაცებმაც უკრაინულ ნაწილების ბლოკადა გააძლიერეს. ფეოდოსიაში უკრაინული საზღვაო-ქვეითთა ნაწილთან მისასვლელი მთელი გზა დანაღმეს.

— ეს რუსმა სამხედროებმა გააკეთეს, ყველაფერი ტანკსაწინააღმდეგო მინებითაა დანაღმული, — იტყობინება რადიო „თავისუფლება“.

მუქარა და ზეწოლა ყირიმელი თათრების მიმართაც ხორციელდებოდა. მიუხედავად ამისა, მათი უმრავლესობა აცხადებდა, რომ რეფერენდუმი ცირკია და ამაში მონაწილეობას არ მივიღებთო. ბახჩისარაიში ყირიმელი თათრებით დასახლებულ მასივებში არანაირი რეფერენდუმი არ ჩატარებულა.

— აქსიონოვს ვუთხარი, ტყუილ-უბრალოდ ნუ გაირჯები, წინასწარ ვიცი, რეფერენდუმს ჩატარებულად გამოაცხადებ, რუსეთში შესვლასაც მხარს 70 პროცენტი დაუჭერს-მეთქი, თუმცა რეალობა სხვაა და რეფერენდუმი იმას როდი ნიშნავს, რომ ყირიმი რსფსრ-ს შემადგენლობაში შევა, — აცხადებს მილი-მეჯლისის ლიდერი რაფატ ჩუბაროვი.

### რა მოხდება შემდეგ?

— ყირიმის შემდეგ რუსეთი უკრაინის აღმოსავლეთ და სამხრეთ რეგიონების ოკუპაციას შეეცდება. მხედველობაში მქვს ოდესის, ხერსონის, ნიკოლაევის ოლქები, აგრეთვე ხარკოვი და დონბასი, — თვლის უკრაინის უშიშროების საბჭოს მდივანი ანდრეი პარუბიი.

რა მოხდება ე.წ. „რეფერენდუმის“ შემდეგ? ექსპერტთა უმრავლესობა ყველაზე რეალურად ორ სცენარს მიიჩნევს. პირველი ვარიანტია, რომ პუტინი ყირიმის ანექსიას რეალურად შეეცდება, მეტიც, აგრესიას უკრაინის სამხრეთ და აღმოსავლეთ რეგიონებზეც გაავრცელებს. ამ შემთხვევაში რუსეთი უკრაინელთა გააფთრებულ წინააღმდეგობას წააწყდება. ბრძოლა ხანგრძლივი და სისხლისმღვრელი იქნება. საერთაშორისო საზოგადოებაც იძულებული გახდება, მოსკოვის მიმართ რეალური სანქციები შემოიღოს. შედეგად რუსეთი ახალ „ცხელ წერტილს“ მიიღებს და ეკონომიურადაც უმძიმეს მდგომარეობაში ჩავარდება.

— თუკი რუსეთმა ჩვენი ტერიტორიების ანექსია მოინდომა, ეს ძალიან ძვირი დაუჯდება, — აცხადებს უკრაინის თავდაცვის ყოფილი მინისტრი კუზმუკი.

სუკის ყოფილი ოფიცერი, ამჟამად ინგლისში მცხოვრები ოლეგ გორდიევსკი მიიჩნევს, რომ მეორე ვარიანტი გამორიცხული არაა, როცა რუსეთი ყირიმის ანექსიისაგან თავს შეიკავებს და დასავლეთთან ხანგრძლივ დიპლომატიურ ვაჭრობას დაიწყებს.

— ამ შემთხვევაში დასავლეთი სიმბოლური სანქციებით შემოიფარგლება, დაიწყება ვაჭრობა, რომელიც დიდხანს გაგრძელდება. ბოლოს რუსეთიცა და უკრაინაც იძულებული გახდებიან, კომპრომისებზე წავიდნენ, — ამბობს გორდიევსკი.

დღეისათვის უდავოა ერთი: დაძაბულობა სავარაუდოდ 20 მარტამდე გაგრძელდება. ამის შემდეგ გამოიკვეთება, თუ რა მიმართულებით განვითარდება მოვლენები.

**ნიკა თევზაძე**

---

# ცფვუკჯდბფჳჯ უფყნ[ფლჶ,ჶ,ბ



მეუღლე ტარიელ შონია, შვილები ზაალი, ლელა და ლანა, რძალი ნინო ტაბაძე, სიძეები გია ნიკვაშვილი, ჯონი პარასკევაშვილი, შვილიშვილები ნიკა, გია, სანდრო, ელენე და ნინო, რძალი სულიკო გაბელია, ძმისშვილები მიშა, ბესო მესხიები, დისშვილი ცირა დიდიშვილი, მძახლები ელენე ნიკვაშვილი, ამირან პარასკევაშვილი, ავთანდილ ტაბაძე ოჯახებით იუწყებიან

**გიული მიხეილის ასულ მესხია-შონიას**

გარდაცვალებას.

პანაშვიდი: 18, 19 მარტს, 16 საათიდან.

დაკრძალვა: 20 მარტს, 14 საათზე.

მისამართი: ვარკეთილი III მასივი, IX კვარტალი, 3ა კორპუსი, ბინა 96.

ლუტუნა, ლუიზა, სოსო, კოტე, თემურ, ომიკო, კობა და კახა ნაყოფიები მწუხარებით იუწყებიან მამიდაშვილის

**გიული მიხეილის ასულ მესხია-შონიას**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ცფვუკჯდბფჳჯ უფყნ[ფლჶ,ჶ,ბ ჳბბქჶ,ფ .ჯდჶკლქჶ7
რდბპბც უფპლფ7!@-ლფყ!& ცფფსფვლჶ8

---

# ფრანკოფონია 2014“ იწყება

**ეკა ირემაშვილი**

„ფრანკოფონია 2014“ იწყება. ღონისძიებები, რომელიც სხვადასხვა სფეროს აერთიანებს 31 მარტის ჩათვლით გაგრძელდება და მასში, ტრადიციულად საქართველოს სხვადასხვა ქალაქები იქნება ჩართული. თბილისის გარდა, ფრანკოფონიის მიერ დაგეგმილ ღონისძიებებს ზუგდიდი, ქუთაისი, ბათუმი უმასპინძლებენ.

— საფრანგეთის საელჩო, საქართველოს ფრანგული ინსტიტუტი და შვეიცარიის კონფედერაციის საელჩო მთელი მარტის თვის განმავლობაში ფრანგული ენისა და ფრანკოფონიის დღესასწაულს აღნიშნავენ საქართველოს სასკოლო და საუნივერსიტეტო დაწესებულებთან ერთად. პროგრამაშია მრავალფეროვანი კულტურული, ლიტერატურული, კინემატოგრაფიული, მუსიკალური და საგანმანათლებლო ღონისძიებები. ფრანკოფონია 2014 წლის ფარგლებში გაიმართება კონკურსები მოსწავლეებისა და სტუდენტებისთვის. გამარჯვებულებისთვის დაწესებულია მრავალფეროვანი პრიზები. ფრანკოფონიის დღეების დაწყებასათან დაკავშირებით დაიგეგმა საფრანგეთის ელჩის საქართველოში რენო სალენსისა და შვეიცარიის კონფედერაციის ელჩის საქართველოში გიუნტერ ბეხლერის სტუმრობა თბილისის 85-ე საჯარო სკოლაში, რომელიც სარგებლობს დაწყებით კლასებში ფრანგული ენის სწავლების პროგრამით. პროგრამა ხორციელდება საქართველოში ფრანგული ენის სწავლების ხელშეწყობისა და განვითარების ფონდის მხარდაჭერით, — განაცხადა ფრანგული ინსტიტუტის წარმომადგენელმა მარიამ კვესელავამ.

მისივე ინფორმაციით, საქართველოს ფრანგული უნივერსიტეტი უმასპინძლებს საჯარო ლექციებს, კონკურსებს, წერის სახელოსნოს, ვიზუალურ ხელოვნებას, თეატრს, კინოხელოვნებას, მუსიკას. თბილისში დაგეგმილი ღონისძიებები გაიმართება ილიას უნივერსიტეტში, ქარვასლაში, ევგენი მიქელაძის სახელობის ეროვნულ მუსიკალურ ცენტრში, თეატრისა და კინოს უნივერსიტეტში, კავკასიის ფრანგულ სკოლაში, მაგთი კლუბში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ფრანკოფონიაში ჩაერთვებიან თბილისის სკოლებიც. მათ შორის, კავკასიის ფრანგული სკოლა, სენტ-ეგზიუპერის სკოლა.

20 მარტს ფრანკოფონიის საერთაშორისო დღე აღნიშნება. ამ თარიღთან დაკავშირებით, კონკურსების გამარჯვებულთა დაჯილდოება გაიმართება. ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდება კონკურსები, ლექციები, ფილმების ჩვენებები, ფოტოგამოფენები, ვიდეოკონფერენციები. ზუგდიდის თეატრი პრინც მიურატის ფრანგულ-ქართული სკოლის მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენას უმასპინძლებს, რომელიც მიუზიკლის წარმოდგენით დასრულდება. ბათუმში კი პრეზენტაციები, კონფერენციები, ფრანგული ფილმების ჩვენება, ლიტერატურული საღამოები და ფრანკოფონიის დღეების დახურვაა დაგეგმილი.

---

## TV პროგრამა

**ოიშაბათი 17 მაიტი**

**07.30** "ჩვენი დილა" **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **10.30** "დღეს" **14.00** მხ/ფ **"უკანასკნელი საზღვარი"** **17.00** დ/ფ "როგორ არის მოწყობილი სამყარო" **18.00** ტ/სერ. **"სიკეთე და ბოროტება"** **19.30, 04.30** "ქართული ჯარი" **21.00** ტ/სერ. **"მეამბოხე მიწა"** **22.00** სოციალური თოქ-შოუ: "რეალური სივრცე" **23.30** "საფეხბურთო მიმოხილვა" (პ/ე) **00.30** მხ/ფ **"ჟილბლონი"** **02.20** "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა (გ/ჩვ) **05.00** სოციალური თოქ-შოუ: "რეალური სივრცე" (გ/ჩვ) **06.30** დ/ფ "დიდი ხელოვნება"

**08.00** დ/ფ "მსოფლიო ქალაქები" – "მეხიკო" **08.45** მხ/ფ **"მე არ ვლაპარაკობ ინგლისურად"** **10.15** დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" – "საბერძნეთი – ათენი" **10.45** მხ/ფ **"კუზიანი"** **12.25** მხ/ფ **"სვავებს შორის"** **14.00** "ეპიცენტრი" (შაბ. გ/ჩვ) **15.00, 17.00, 21.00** "ბრიფინგის დრო" **16.00** ტ/სერ. **"მაგდა ემი"** **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე)

**07.00** მხიარული კამერა **07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა. **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.50** ქრონიკა. **10.05** სერ. **"ბედის ანაბარა"** **11.20, 12.05** სერ. **"შურისმაძიებელი"** **12.30,13.03** დღის შოუ (პ/ე) **14.40, 15.05, 16.03** სერ. **"სიყვარული ცა და მიწა"** **6** სერ. **17.50, 19.05** სერ. **"მარგალიტი"** **21.00** სერ **"სილა"** **22.00** ორი ვარსკვლავი **00.00 2014** წლის ოქროს გლობუსის დაჯილდოების ცერემონია **02.00** მხ/ფ **"რემბო - 2"** (ს.სტალონე)

**07.30** დილამშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. **"ვარდისფერი ბრილიანტი"** **11.00** სერ. **"ბრაზილიის გამზირი"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00** სერ. **"დასასრული"** **17.00** ქ.მხ/ფ. **"დათა თუთაშხია"** **18.55** სერ. **"ტიტების დრო"** **20.00** სერ. **"ქალბატონი დილა"** **22.00** ქ.მხ/ფ. **"მისტერ ძიძა"** **00.00** სპორტ ტაიმი **01.00** შიშის ფაქტორი **02.00** მხ/ფ. **04.00** კურიერის დაიჯესტი

**06.10** დოკ/ფ "ველური ბუნება" **06.35** დოკ/ფ "ოსტატები" **07.50** მხ/ფ **"ლომა"** **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.00** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.10** პატრიარქის ქადაგება **10.40** საკვირაო სახარების განმარტება **10.50** კვირიაკე **12.05** მხ/ფ **"მოკვეთილი"** **13.30** "შუადღე" ერთსულოვნებაზე **15.05** სპექტაკლი - "საქართველოს უკანასკნელი დედოფალი" **17.40** საწინასწარმეტყველო საკითხავის განმარტება(გ.გვასალია) **17.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **19.20** მხ/ფ **"გლახის ნაამბობი"** **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** პატერიკი **21.25** სახლი ღვთისა **21.40** სალვთისმსახურო წელიწადი **22.25** პორტრეტები ერთსულოვნების გალერეიდან **23.00** სალამოს ლოცვა **23.15** დოკ/ფ "ვარდისფერი კაცი" გოდერძი ჩოხელი **00.30** განთიადის სტუმარი **01.00** "შუადღე" ერთსულოვნებაზე.

**მაესტრო** **0.00, 1.00, 4.00, 5.00, 6.00, 7.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **5.30, 6.30, 7.30** ფარული კამერა **8.00** მულტფილმი "რბოლა" **9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები **9.15 სერიალი "ჩემი შვილები"** **10.15, 16.00 სერიალი "სიყვარული და სასჯელი"** **13.00, 18.25, 0.30, 3.15** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" (გამ) **13.40, 21.30, 1.30, 3.45** "ყოველდღიური აბები" (გამ.) **14.00** სტუდია "მონიტორის/ ჟურნალისტური გამოძიება (გამ.) **14.30, 1.45, 4.30** NX სპიკერი **19.00 სერიალი "აკრძალული სიყვარული"** **20.00 სერიალი "დაკარგული დრო"** **21.45 სერიალი "დიდებული საუკუნე"** **23.00, 2.15 სერიალი "კრიმინალური აზროვნება"**

ghjuhfvt,b b,tzlt,f
cffutynj 3byajpfdhbc4
yt,fhsdbs

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში: http://www.opentext.ge/akhalitaoba

17 marti


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1.7317

ევრო — 2.4050

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2.8769

100 რუსული რუბლი — 4.7264

## ამინდის პროგნოზი 17 მარტისთვის




# 18 მარტიდან

## დიდი საოჯახო ენციკლოპედია ახალ თაობასთან“ ერთად



## ჩინეთის ხელოვნების დასი თბილისში ჩამოვიდა

ეკა ირემაშვილი

ჩინეთის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საშემსრულებლო ხელოვნების დასის „იუნესკოს არტისტები მშვიდობისათვის“ თბილისში ჩამოვიდა და გრიბოედოვის სახელობის რუსულ დრამატულ თეატრში წარ-



მოადგინა ფართომასშტაბიანი წარმოდგენა „ჩემი ოცნება“. ღონისძიება საქართველოში ჩინეთის კულტურის დღეების ფარგლებში დაიგეგმა და მისი მხარდაჭერა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ ითავა.

კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი ალექსანდრე მარგიშვილი შეხ-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

## სტოპ რაშა — უკრაინის სოლიდარობის კონცერტი თბილისში

ეკა ირემაშვილი

თბილისში პარლამენტის შენობის წინ ქართველმა ხელოვანებმა რუსეთის მიერ უკრაინაში განხორციელებული ოკუპაციური ქმედებები გააპროტესტეს. აქცია-კონცერტი ორგანიზაციამ „ჩვენი თავისუფლება“ მოაწყო და მასში არაერთი მუსიკალური ჯგუფი თუ მომღერალი ჩაერთო. აქცია-კონცერტზე მისული საზოგადოება და მონაწილეებიც უკრაინის დროშის ფერებში იყვნენ შემოსილი. ორგანიზატორთა განცხადებით, ამ ფორმით ხელოვნების სფეროს წარმომადგენლებმა და შეკრებილმა მსმენელმა უკრაინელ ხალხს სოლიდარობას გამოუცხადა და ყირიმის ტერიტორიაზე რუსეთის მიერ განხორციელებული სამხედრო ინტერვენცია დაგმო.

**ელენე ხოშტარია:**

– რისთვისაც დღეს უკრაინელები იბრძვიან, რისთვისაც საქართველო 2008-ში იბრძოდა, რისთვისაც ლიტველები, ქართველები, უკრაინელები და სხვები 89 წელს ვიბრძოდით, ეს არის თავისუფლება, თავისუფლება იმის, რომ ვიცხოვროთ ისე, როგორც ჩვენ გადავწყვეტთ და არა როგორც კრემლში გადაწყვეტენ. უკრაინელების წარმოუდგენელმა გამძლეობამ და რწმენამ თავისუფლების იდეაში მთელი მსოფლიო გამოაფხიზლა და თავისუფლებისთვის ბრძოლაში ჩვენს გვერდზე დააყენა. ამიტომ დღეს ჩვენი ვალია ამ ბრძოლაში დაღუპულების წინაშე და ჩვენი ქვეყნის მომავლის წინაშე, რომ საბჭოთა კავშირის, მისი ნარჩენების ნგრევა ბოლომდე მივიყვანოთ. სტოპ რაშა!



**ქეთა გაბუნია:**

– არ არსებობს არანაირი ორი რუსეთი, რუსულ-ქართული კულტურული ურთიერთობები. არსებობს მხოლოდ აგრესორი, იმპერიალისტური სახელმწიფო, რომელიც საბჭოთა კავშირის აღდგენისკენ ისწრაფვის. რუსეთის ხელოვნების მუშაკები მხარს უჭერენ პუტინის ამ მანიაკალურ ახირებას, მათ შორის, წარმოშობით ქართველებიც. ნუ დავემსგავსებით მათ, მხარში დავუდგეთ უკრაინელებს და ამით დავიცავთ ჩვენ ქვეყანასაც. ყირიმის წართმევა იგივეა, რაც აფხაზეთის და სამაჩაბლოსი.

**შოთა დიღმელაშვილი:**

– ჩვენი და უკრაინის ფრონტი ერთიანია. ისინი ჩვენ ომში მონაწილეობენ. მე აქ ვზივარ, დეზერტირი. თუმცა ჯდომა გასაკიცხი არ არის. ვსხედვართ და ისე ვფიქრობთ. ვსხედვართ და ისე ვსაუბრობთ საქმეზე, ვსხედვართ, როცა ვვაჭრობთ ჩვენი უფლებებისთვის. ვსხედვართ, როცა ვმუშაობთ, ვსხედვართ, როცა ვისვენებთ. ჩვენი ცხოვრების უმნიშვნელოვანეს განცდებსა და შთაბეჭდილებებს მსხდომარენი ვიღებთ. ფაქტობრივად, ჩვენი ცხოვრების გზის ყველა მოსახვევი ჩვენი სხვადასხვა პოზაში ჯდომის რეტროსპექტივაა. და არა მხოლოდ ჩვენი ცხოვრების გზა, სხვისიც: მსხდომარენი წერენ ისტორიას, მსხდომარენი ხატავენ რუქას, მსხდომარენი განაგებენ ძალაუფლებას, მსხდომარენი ქმნიან! მაგრამ უეცარ ცვლილებებს მხოლოდ ფეხზე ამდგრები ახდენენ. ძალიან უსუსურად ვგრძნობ თავს და პატივმოყვარეობა მელახება, როცა ჩემი ბედი წყდება და მე მისთვის ბრძოლას ვერ ვახერხებ. მესმის, აქ, თბილისში აქციაზე დგომა ნამდვილი მოქმედების კოფეინგამოცლილი იმიტაციას ჰგავს. ვიცი, რომ რამე უნდა მოვიფიქროთ, რამე ქმედითი, რითიმე უნდა დავეხმაროთ იმ ხალხს, რომლებიც ახლა ჩემს მაგივრად იბრძვის ჩვენს საერთო ომში, მაგრამ გონებას ვერ ვიკრებ. ვერ ვიფიქრებ როგორ შევძინო ამ ჟესტს სინაღდე. ახლა, დღითიდღე მზარდი უსამართლობისა და ტირანიის შემხედვარეს, მხოლოდ ყვირილი შემიძლია ნაღდი. ჰოდა მოდი, ერთად ვიყვიროთ.

**დავით პაიჭაძე:**

– კარგია, როცა გამხნევებენ, გახალისებენ და შეჭირვებას გიმსუბუქებენ. გავამხნევოთ და სიტყვა მივაწვდინოთ უკრაინის მოქალაქეებს, რომელთა გმირულმა უტეხობამ გაგვიჩინა იმედი, რომ აგრესორსა და მოძალადეს ამჯერად კუთვნილი მიეზღვება. პროტესტი მტერს და სოლიდარობა მეგობრებს! სტოპ რაშა!

## ·ღტჯფ3 უფბსღფჯბცობყცს= ეს დღე მშვიდად გაატარეთ

## fcnhjghjuyjpb 17 მარტისთვის

**ვერძი** – სახლში დიდი სიხარული გელით. **კურო** – ფული გაქვთ, პრობლემა არ გაწუხებთ. **ტყუპები** – ნურავის ენდობით, საკუთარი თავის გარდა. **კირჩხიბი** – ის საქმე მიიყვანეთ ბოლომდე, რომელიც წამოიწყეთ. **ლომი** – სახლში კარგი ამბები გელით, ბედი გწყალობთ. **ქალწული** – არ გარისკოთ, დღეს არ ღირს. **სასწორი** – გადაიხალისეთ გარდერობი, საქმიანი შეხვედრა ისევ გაქვთ. **ღრიანკალი** – დაისვენეთ და გაერთეთ. **მშვილდოსანი** – ფულის პრობლემა არ გაქვთ, მაგრამ მაინც შემოინახეთ. **თხის რქა** – სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **მერწყული** – ახალი პროექტი გაამართლებს. **თევზები** – მოაწყვეთ განტვირთვის დღე, გადაღლილი ხართ.

უბცე3ღტ,ს ,ტცყბტ3 ცქტს=

## h3xცღx3ცბ

**თარაზულად:** 1. ზღვის წვრილი თევზი; 5. დიდი კრემიანი ნამცხვარი; 7. ორი არამეზობელი ბგერის სწრაფი მონაცვლეობა ან რაიმე ბგერის ძალიან სწრაფად გამეორება; 9. თავშესაფარი თხრილი ომის დროს, საიდანაც ისვრიან; 10. სიტყვის სუფიქსი, პრეფიქსი ან ძირი (ლინგვ.); 13. ვასილ ... (მწერალი); 14. ძვირფასი ქვების წონის ერთეული; 15. ქამანდი; 19. გრძელ დისტანციებზე მორბენალი ან მოცურავე სპორტსმენი; 20. რისამე ნაირსახეობა; 21. სარქველი გემის წყალქვეშა ნაწილში; 22. ახლომხედველობა.

**შვეულად:** 1. ცოლის დის ქმარი; 2. დამღა; 3. სპილენძის სასულე საკრავი; 4. ალგორითმული ენა; 6. გამომწვარი ფერადი თიხა; 8. სისხლის შენადედი სისხლძარღვში; 11. ქვის, აგურის და მისთ. შენობის მშენებელი ხელოსანი; 12. ვაჭრობის სახეობა; 16. ზოდიაქოს ნიშანი; 17. წყვილთა სამეჯლისო ცეკვა; 18. აფრიკული ხანჯალი.

*შეადგინა ოლივერ კოხიამ*



## სამებაში შემეცნებითი საუბრები განახლდა

ეკა ირემაშვილი

საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრში შემეცნებითი საუბრები განახლდა. შეხვედრები იმართება ყოველდღე და მასში სხვადასხვა სფეროში მოღვაწე დამსახურებული პიროვნებები და სასულიერო პირები იღებენ მონაწილეობას. პირველი ლექციის წარმართვის პატივი ცაგერისა და ლენტეხის მთავარეპისკოპოს სტეფანეს ერგო თემაზე „ლოცვა-კურთხევის მნიშვნელობა ეკლესიაში“. ამ ღონისძიებების ფარგლებში დაიგეგმა თამარ თაგვაძის ფილმის ჩვენება „გრიგოლ ლორთქიფანიძე“



– 17 მარტს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ჯემალ გამახარია საუბარს წარმართავს თემაზე „სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ამბროსი ხელაიას ეპოქა“. 18 მარტს დაგეგმილია შეხვედრა მცირე და საშუალო ბიზნესის დაწყებისა და განვითარების საკითხით დაინტერესებულ პირთათვის თემაზე „სანერგე მეურნეობის განვითარება“. 19 მარტს ახალგაზრდა პოეტის ვაჟა მალაციძის შემოქმედებითი საღამო გაიმართება, 20 მარტს რუბრიკაში ღვთისმეტყველება და ფილოსოფია თემაზე „წმინდანების კანონიზაციის შესახებ“ საუბარს წარმართავს ჯვართამაღლების ტაძრის წინამძღვარი დეკანოზი თეოდორე გიგნაძე. 21 მარტს რუბრიკაში ქრისტიანული ოჯახი და ბავშვთა აღზრდა თემაზე „გარდატეხის ასაკის თავისებურებანი“ საუბარს წარმართავს წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის ფსიქოლოგიური დახმარების ცენტრის ხელმძღვანელი ნინო კანდელაკი, 23 მარტს კი შემეცნებითი საუბრების შეხვედრებს დაასრულებს თამარ თაგვაძის ფილმი „ნიკო ნიკოლაძე“, – განაცხადა ცენტრის წარმომადგენელმა ნათია გოგუაძემ.

საპატრიარქოს ახალგაზრდულ ცენტრში საქართველოს ეროვნული აკადემიის ორგანიზებით, გაიმართა სამეცნიერო კონფერენცია, თემაზე „ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემა, არსებული პრობლემების აღმოსაფხვრელად ჩასატარებელი აუცილებელი ღონისძიე-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

## ტორპედოს არ შეუმცირეს, დილას დაუმძიმეს

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა გაიმართა. განსახილველ თემებს შორის ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატის ოცდამეერთე ტურში მომხდარი ინციდენტები იყო.

აღმასკომმა არ გაითვალისწინა ქუთაისელთა თხოვნა და გადაწყვიტა: 9 მარტს, ტორპედო-დინამოს შეხვედრაზე მომხდარი არეულობის გამო, ქუთაისური კლუბი მომდევნო ხუთ საშინაო მატჩს ნეიტრალურ მოედანზე ჩაატარებს. „ტორპედო“ პირობითად მასპინძელი, ამასთან გულშემატკივრების გარეშე, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე იქნება.

„დილასა“ და „ვიტ ჯორჯიას“ შეხვედრაზე მომხდარი ინციდენტის გამო, გორელები მომდევნო შეხვედრას დავით ყიფიანის სახელობის თასის გათამაშებაზე მაყურებლის გარეშე გამართავენ.

აღმასკომმა დღევანდელ სხდომაზე სადისციპლინო კოდექსში ცვლილება შეიტანა. ამიერიდან მკაცრდება სტადიონზე ღირსების შეურაცხმყოფელი სკანდირება. სასჯელი 1.000 ლარის ნაცვლად, 5.000 ლარით განისაზღვრა. ფაქტის განმეორების შემთხვევაში კი საჯარიმო სანქცია 10.000 ლარი იქნება.

მ. ჟ.

